852 ~ 16232

# სარბიელი

ყოველკვირეული სპორტული გაზეთი | 26 იანვარი — 1 თებერვალი, 2009 №4 (3497) | ფასი 1 ლარი

## კესანიმ იმდენი ქნა, რომ ითამაშა!



ზესტაფონი კი ფიფას ელის

## ასათიანს ნაკრებმა ინგლისი ჩაუშალა!

არცთუ კარგი ამბავი მალხაზ ასათიანისთვის: საქართველოს ეროვნული ნაკრების ერთ-ერთ ლიდერს ინგლისის პრემიერლიგაში გადასვლა ჩაეშალა. ასათიანი მოსკოვის „ლოკომოტივის" საკუთრებაა, მაგრამ გუნდის გამოცვლას ლამობს და ამაში არც რკინიგზელები უშლიან ხელს. პირიქით, „ლოკომოტივი" მალხაზს კონტრაქტის გაწყვეტასაც სთავაზობდა, ოღონდ სანაცვლოდ ჩვენიანს კომპენსაცია არ უნდა მოეთხოვა, რაზეც უარი მიიღო.

მოკლედ, საქმე ასეა: ასათიანი „ლოკომოტივში" აღარ ითამაშებს და... სწორედ ამ დროს ინგლისიდან ორი ვარიანტი გამოჩნდა. რეალურზე რეალურები — ჩასვლა და კონტრაქტის გაფორმება რომ იყო საჭირო, ისეთები. თუ ასეა, რატომ ჩაიშალაო, იკითხავთ და, თუ ფიფა-„კოკა-კოლას" რეიტინგს ჩახედავთ, პასუხს თავადაც მიხვდებით. ბრიტანული წესებით, ინგლისურ პრემიერლიგაში თამაშის უფლება პირველი 75 ქვეყნის ნაკრების წარმომადგენელს აქვს. საქართველოს ეროვნული გუნდი კი ახლა 108-ე ადგილზეა... კი შეიძლებოდა, ასათიანის მხარეს აპელაცია შეეტანა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციასა და შრომის დეპარტამენტში, მაგრამ გარანტია არ იყო, რომ პასუხი მალე მიეღო. ანუ, შესაძლოა, საქმე ორი-სამი (ან მეტი) თვე გაწელილიყო, რაც, ცხადია, არც მალხაზს აძლევდა ხელს და არც მის მსურველ კლუბს... სამწუხაროა, მაგრამ ქართველ ფეხბურთელს ახალი ვარიანტების ძებნა მოუწევს...



## აქაური მსოფლიო ჩვენია!

### საქართველომ თბილისი არავის გაატანა



# დინამო შინ და გარეთ

**თურქულ** შეკრებაზე გამგზავრებამდე თბილისის „დინამო" ბათუმს ეწვია და ამხანაგური მატჩი გამართა — დედაქალაქელებმა პირველლიგელ „ბათუმს" 4:0 სძლიეს.

გოლები გულვერდ თომაშვილმა, დონალდ ჯიუსმა და გიორგი მერებაშვილმა (ორჯერ) გაიტანეს.

რაინერ ცობელმა „დინამო" ასეთი შემადგენლობით ათამაშა: *ოვონო (ლორია 46), თომაშვილი (მინდორაშვილი 46), გ. კაშია, კრშკო, ჩარასი, ტომიჩი, დილმელაშვილი (ნემსაძე 46), კოშკაძე, ლომაია (ჯიშკარიანი 46), მერებაშვილი, ჯიუსი.*

24 იანვარს „დინამო" ტრაპიზონიდან ანთალიაში გადაფრინდა და სასტუმრო „საილენ ბიჩში" დაბინავდა. ორჯერად. ვარჯიშებთან ერთად, თბილისელებს ოთხი ამხანაგური მატჩი აქვთ დაგეგმილი: 28 იანვარს „ამკართან" (რუსეთი), 30-ში „მეტალურგსთან" (ლატვია), 3 თებერვალს „ქეტისუსთან" (ყაზახეთი), 5-ში კი „ტავრიასთან" (უკრაინა).

გუნდი უკვე დატოვეს გასინჯვაზე მყოფებმა, სერბმა ფუად სალიჰოვიჩმა და კამერუნელმა ქევ მეგონტმა. ოდესის „ჩერნომორეცში" წასული შოთა კაშია კი მობრუნდა და სეზონს „დინამოში" ჩაამთავრებს.

რაც შეეხება ჩერნოგორიელ დანილო ტომიჩს, მასთან კონტრაქტის გაფორმება ანთალიაში იგეგმება.

ცობელი ანთალიაშივე გაარკვევს არგენტინელი გონსალო მარკოს ჩარასის ბედსაც.

აი, თბილისელთა სათურქეთო შემადგენლობაც: *დიდიე ოვონო, გიორგი ლორია, გურამ მინდორაშვილი, გულვერდ თომაშვილი, გურამ კაშია, მილოშ კრშკო, მარკოს ჩარასი, ლევან კაკუბავა, ლევან ხმალაძე, გიორგი ნერგაძე, დავით დილმელაშვილი, ვაჟა ნემსაძე, ალექსანდრე კოშკაძე, დანილო ტომიჩი, გიორგი მერებაშვილი, შოთა ლომაია, შოთა კაშია, ოლეგ გველესიანი, ნიკოლოზ ჯიშკარიანი, დონალდ დერინგ ჯიუსი, ილია სპასოევიჩი, მათე ვაწაძე, ჟორჟ აკიერემი, ზვიად ქანთარია.*

# შემოტრიალებული პანდურიი და... ტობოლი

**ჩემპიონატის** ლიდერმა „ვიტ ჯორჯიამ" თურქული ბელეკის შეკრებაზე პირველი მატჩი გამართა — რუმინეთის უმაღლესლიგელ „პანდურიის" 2:1 სძლია.

თავიდან რუმინელებმა იხეირეს, თუმც ტაიმი 1:1 მორჩა — გიორგი დათუნაიშვილის ჩაწოდებულზე ვახტანგ კვარაცხელიამ იმარჯვა.

გადამწყვეტი გოლი კი შეცვლაზე შესულმა ბექა ზაქრაძემ მიითვალა: გიგა ბეჭვაიას დარტყმული ბურთი მეკარეს გაუვარდა და ახალგაზრდა თავდამსხმელმა დაამატა.

„ვიტ ჯორჯიას" შემადგენლობა ასეთი იყო: *ბედიაშვილი (ა. მიქაბერიძე 46), ჯაფარიძე, დ. ლომაია (ნ. მგელაძე 46), ა. კვახაძე (ყველაშვილი 46), ხურცილავა, ბეჭვაია, კლიმიაშვილი (მაისაშვილი 46), გ. დათუნაიშვილი (ჯანელიძე 46), გ. მელქაძე (ვასაძე 46), ლიპარტია (როსტიაშვილი 46), ვ. კვარაცხელია (ზაქრაძე 46).*

კვირას კი ვიტელები ყაზახურ „ტობოლს" გაეჯიბრნენ და უიმედოდ, 0:3 დამარცხდნენ.

„საინტერესო თამაში იყო. ანგარიში ვითარებას სრულად არ ასახავს, თუმცა წაგება ლოგიკური კი იყო. ეს შეკრებაა და წაგებისგან ტრაგედიას არ შევქმნით" — განაცხადა „ვიტ ჯორჯიას" მწვრთნელმა ნესტორ მუმლაძემ.

ვიტელთა შემადგენლობა: *ბედიაშვილი (ა. მიქაბერიძე 46), ჯაფარიძე, დ. ლომაია, ა. კვახაძე (ყველაშვილი 75), ბეჭვაია, კლიმიაშვილი, მაისაშვილი (ხურცილავა 66), გ. დათუნაიშვილი, გ. მელქაძე, ლიპარტია (ზაქრაძე 70), ვ. კვარაცხელია.*

**ილია ნანობაშვილი**

# გაგრას პლუს-მინუსი

**თურქულ** შეკრებაზე მყოფმა „გაგრამ" მორიგი საკონტროლო შეხვედრები გამართა. ქართველების ჯერ ალბანური „აპოლონია" იყო.

მეტოქე ორი გოლით დაწინაურდა, მაგრამ „გაგრამ" პირველივე ტაიმში შეძლო მდგომარეობის გამოსწორება — ბაჩანა ცხადაძემ და ლექსო აბაშიძემ იმარჯვეს.

მეორე ტაიმი ქართველების უპირატესობით წარიმართა და ალბანელებს კიდევ სამი გოლი გაუტანეს.

ჯერ ჟიორგი ცხადაიამ გამოიჩინა თავი, მერე თამაზ ჩარგეიშვილმა, ბოლოს კი გასინჯვაზე მყოფმა უკრაინელმა მცველმა ვლადიმირ კოზლენკომ შეაგდო — 5:2.

გაგრელთა სასტარტო თერთმეტეული ასეთი იყო: *თევდორაძე, ქაჯაია, გიგაური, კოზლენკო, კუპრეიშვილი, ჩარგეიშვილი, შარიქიძე, ტყეშელაშვილი, გაბედავა, ცხადაძე, აბაშიძე.*

„გაგრამ" მესამე ტესტ-მატჩიც გამართა და ხორვატულ „ზაგრებთან" 0:3 დათმო.

მომდევნო მატჩს ვლადიმერ ხაჩიძის გუნდი ყაზახურ „ქაისართან" 28 იანვარს გამართავს, 1 თებერვალს კი თბილისში ჩამოვა.

# მესხეთის ხავსი ლოკომოტივია

**ახალციხის** „მესხეთი" ერთ-ერთი გაჭირვებულთაგანი იყო უმაღლეს ლიგაში და პირველი წრის ბოლოს დაშლაზეც იყო ლაპარაკი.

არც წლეულს ჩანდა იმედი, თუმც ახალციხელები მაინც ითამაშებენ უმაღლეს ლიგაში. მართალია, გუნდიდან წავიდა ლიდერი შოთა გრიგალაშვილი, რომელსაც ლადო ახალაია, გოგიტა სომხიშვილი და თემურ რაქვიაშვილიც მიჰყვნენ, მაგრამ...

„დანარჩენები ადგილზე არიან. ჩემი ვაჟი, ლევან თედიაშვილი „ოლიმპში" იყო, თუმც მობრუნდა და სეზონს აქ ჩაამთავრებს. „ლოკომოტივიდან" ოთხ ფეხბურთელს ვიმატებთ, ოთხივე გამოცდილია, თუმც გვარებს ვერ გეტყვით" — ასეთი ინფორმაცია მოგვაწოდა „მესხეთის" მწვრთნელმა კობა თედიაშვილმა.

ახალციხელები ხვალ შეიკრიბებიან და ბორჯომში ივარჯიშებენ. თედიაშვილმა, ბორჯომშივე გავმართავთ სამ ამხანაგურ მატჩსო.

და ფინანსები? კლუბს პრეზიდენტი შეეცვალა — გია მესხელი წავიდა და მის ნაცვლად ახალი მოვიდა. „მესხეთს" სამცხე-ჯავახეთის ადმინისტრაცია დააფინანსებს.

**ილია ნანობაშვილი**

ეს ადრე იყო, 30 წელს რომ გადაცდებოდა ფეხბურთელი, აგრძნობინებდნენ, უნდა წახვიდეო. დღეს კი იშვიათად, 30 წლის ასაკში კარიერას ასრულებდე. ვიტალი დარასელია ფეხბურთს დაემშვიდობა...



# ვიტალი დარასელია ფეხბურთს შეეშვა!

ვიტალი იყო შუშაკის თბილისის „დინამოში" მთავარკაცი იყო, კარგად თამაშობდა ვლადიკავკაზის „ალანიაშიც", აი, ბოლო წლებში კი მისი კარიერა დაღმა დაეშვა. ველარ იყო ისეთი ხიფათიანი, ჯანი და სისწრაფე იმდენად აღარ ჰქონდა, თუმც საქართველოს ჩემპიონატში „ეპიზოდურ როლებში" ნაღდად არ ყოფილა — ერთ-ერთი გამორჩეული გახლდათ „ლოკომოტივში" და მთლიანად ჩემპიონატშიც...

— გადაწყვეტილება საბოლოოა, ფეხბურთს თავი დავანებე.

— რატომ?

— ფეხმა არ მომასვენა. საზარდულის ზემოთ მტკივა და ზოგჯერ ღამეებს მათენებინებდა. დავიღალე.

— ბოლოს აღარ ვარჯიშობდი?

— არა. ექიმებმა დიაგნოზი ვერ დამისვეს. ერთმა სხვა მიზეზი მითხრა, მეორემ სხვა, მესამემ კი სულ სხვა და... ველარ ვუძლებდი.

— არ გგონია, რომ ნაჩქარევი გადაწყვეტილება მიიღე?

— რაღა აზრი აქვს. პატარა რომ ვიყო, კიდევ მესმის, მაგრამ ჩემს ასაკში ფეხმტკივანმა ცალკე ექიმებთან ვირბინო, ცალკე საქართველოს ჩემპიონატში ვითამაშო, მიუღებელია. ეს ხომ ჩემპიონატი აღარაა...

— ჩემპიონატი აღარააო, რას გულისხმობ?

— საქართველოში არ არის მთავარი — ფული. ამის გარეშე ფეხბურთის განვითარება არ არსებობს, აქ ეტყობა, ფეხბურთი არავის უნდა.

**ილია ნანობაშვილი**

# ზესტაფონი თამაშ-თამაშ

**„ზესტაფონმა"** თურქულ შეკრებაზე პირველი ამხანაგური მატჩი 21 იანვარს გამართა და უკრაინული „ვორსკლა" 2:1 დაამარცხა.

პირველი გოლი იმერლებმა 53-ე წუთზე გაიტანეს — მურთაზ დაუშვილმა თავურით იყოჩაღა. ორიოდ წუთში კი ალექსი ბენაშვილმაც გაისროლა — 2:0.

უკრაინელებმა პენალტით გაქვითეს ერთი ბურთი, ეს იყო და ეს თავიდენის გლავინამ გამოიჩინა — 2:1

გია გეგუჩაძემ ასეთი შემადგენლობა ათამაშა: *მამალაძე, უ. ლობჟანიძე, ს. თოდუა, მაკარიანი, დაუშვილი, გ. ხიდეშელი (კაჭკაჭიშვილი 76), ძარია (გორგიაშვილი 71), ბენაშვილი (გ. ჭელიძე 64), ნ. კვასხვაძე (სტეფანიშვილი 76), იონანიძე (ლ. მელქაძე 62), გელაშვილი (ა. ტეტუნაშვილი 80).*

მორიგი მატჩი „ზესტაფონმა" ლუგანსკის „ზარიასთან" გამართა.

გეგუჩაძემ ამჯერად განახლებული შემადგენლობა ათამაშა და უკრაინელებმაც ქართველები აშკარად დაჯაბნეს — 5:0.

*რ. კვასხვაძე, კვეხეიშვილი (ა. ტეტუნაშვილი 39), შ. ლონლაძე, კაჭკაჭიშვილი, ელბაქიძე, შ. გრიგალაშვილი (სტეფანიშვილი 46), გ. ჭელიძე (ლაბაძე 67), გორგიაშვილი, ჩასემი (სუხიაშვილი 46), ლ. მელქაძე (ჩიმაკაძე 39), კაკალაძე (ჭანკოტაძე 58)* — ასეთი იყო იმერელთა შემადგენლობა.

კრასნოდარის „კუბანთან" კი „ზესტაფონმა" ძირითადი გუნდით ითამაშა — 0:0.

ჩვენებს რამდენიმე მომენტი ჰქონდათ, შოთა გრიგალაშვილმა ხარიხასაც გაარტყა ბურთი, მაგრამ გოლის გატანა ვერაფრით შეძლეს.

„ზესტაფონის" საამმატჩო შემადგენლობა ეს იყო: *მამალაძე, უ. ლობჟანიძე, ს. თოდუა, მაკარიანი, დაუშვილი, გ. ხიდეშელი, ძარია (შ. გრიგალაშვილი 74), ბენაშვილი, ნ. კვასხვაძე (ჩიმაკაძე 80), იონანიძე (კაკალაძე 60), გელაშვილი.*

ზესტაფონელები მორიგ შეხვედრას 28 იანვარს გამართავენ კრივოი როგის „კრივბასთან".

**კახა შალამბერიძე**

# სარბიელის კვირის რეიტინგი

1. ვარლამ ლიპარტელიანი (მსოფლიო თასის გამარჯვებული 90 კგ-ში), 2. ადამ ოქრუაშვილი (მსოფლიო თასის გამარჯვებული +100 კგ-ში), 3. ამირან პაპინაშვილი (მსოფლიო თასის გამარჯვებული 60 კგ-ში), 4. ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (საქართველოს ჩემპიონი ჭიდაობაში 55 კგ-ში), 5. ელდარ კურტანიძე (საქართველოს ჩემპიონი ჭიდაობაში 96 კგ-ში), 6. გელა საღირაშვილი (საქართველოს ჩემპიონი ჭიდაობაში 74 კგ-ში), 7. დავით ოთიაშვილი (საქართველოს ჩემპიონი ჭიდაობაში 120 კგ-ში), 8. ვაჟა თარხნიშვილი (თანამეგობრობის თასის გამარჯვებული), 9. კახა ცხადაძე (საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ახალი მწვრთნელი), 10. გიორგი ჭანტურია („ზესტაფონთან" სკანდალური დავის მომგები)



# კესანიმ იმდენი ქნა, რომ... ითამაშა



„ზესტაფონიდან“ გაქცეულმა პოლ კესანიმ იმდენი ქნა, რომ უთამაშებლობას თავი დააღწია — შაბათს ისრაელის უმაღლეს ლიგაში კირიათ შმონას „ჰაპოელის“ მაისურა მოირგო და ფეთაჰ თიკვას „ჰაპოელთან“ (0:0) 63 წუთი იბურთავა.

ვინც საქმის კურსში ნაკლებადაა ჩახედული, იმათთვის: გასულ ზაფხულს გაბონის ნაკრების კაპიტანი პოლ ულრიხ კესანი „ზესტაფონიდან“ წავიდა, რათა ქვეყნის ეროვნულ ნაკრებში ეთამაშა, მაგრამ იქიდან დაბრუნებული აღარავის უნახავს.

ფეხბურთელმა განაცხადა, „ზესტაფონში“ მცემდნენ და რასისტულ შეურაცხყოფას მაყენებდნენო, მოგვიანებით ფოტომასალაც გააგზავნა ფიფაში და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში, სადაც ჩალურჯებული სხეულის ნაწილები მოჩანს.

თავის მხრივ, „ზესტაფონმაც“ იჩივლა ფიფაში და დღესაც საქმის განხილვას ელის.

მსოფლიო ფეხბურთის მთავარმა ორგანიზაციამ კი ბრძანა: სანამ კესანიზე განაჩენს გამოვიტანთ, თამაშის ნება დროებით მიეცესო.

კირიათ შმონამ „ჰაპოელმა“ შარშან შემოდგომაზე გაუფორმა პირადი კონტრაქტი გაბონელ ნახევარმცველს, მაგრამ, ცხადია, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისგან პოლ კესანის გათავისუფლების სერთიფიკატი ვერაფრით მიიღო და კესანიც უთამაშებელი დარჩა.

ეს დროებით.

აგერ, გაბონელმა ითამაშა, თუმც მისი საქმე ჯერ არ დამთავრებულა.

**ილია ნანობაშვილი**

# სიონის ფრე და წაგება

**ბოლნისის** „სიონმა“ წამყვანი ძალა, ალეკო კოშკაძე და კიდევ რამდენიმე ფეხბურთელი კი მოისაკლისა, მაგრამ ნამატიც აქვს და, სავარაუდოდ, ოთარ კორღალიძის გუნდი უეფას თასის საგზურისთვის ბრძოლაში უნდა ჩაერთოს.

ბოლნისურ მიდი-მოდიზე წინა ნომერში ვწერდით და მას შემდეგ მხოლოდ ის შეიცვალა, ამ „ოლიმპიდან“ 33 წლის კახა ალადაშვილი გადაიყვანეს.

ქვემოქართლელები ქობულეთში არიან შეკრებაზე და მორიგი ტესტ-მატჩი გამართეს. კორღალიძის გუნდმა „მგლებთან“ 0:1 დათმო, შემადგენლობა კი ასეთი ჰყავდათ: *ბობღიაშვილი, კაკაშვილი, ორბელაძე, სვანიძე, ჯ. მუჯირი, სანიკიძე, დიდავა, გ. ხიდეშელი, შალამბერიძე, დავითაშვილი, რ. გოცირიძე.*

*შეცვლაზე შევიდნენ: ალადაშვილი, ი. შენგელია, ლ. ბაჯელიძე.*

გუშინ კი „სიონმა“ 1:1 ითამაშა „ბათუმთან“. ჯერ ზღვისპირელებმა გახსნეს ანგარიში, შესვენების მერე კი რევაზ გოცირიძემ გაათანაბრა.

კორღალიძემ ასეთი შემადგენლობა ათამაშა: *გ. ჭანტურია, კაკაშვილი, სვანიძე, ქემოკლიძე, ჯ. მუჯირი, შალამბერიძე, დიდავა, ზ. ჭელიძე, შავგულიძე, რ. გოცირიძე, გ. ხიდეშელი.*

*შეცვლაზე შევიდნენ: ლ. ბაჯელიძე, ი. შენგელია, რუსიეშვილი, ნაყოფია, დავითაშვილი.*

# მგლები მგლურად: არაფერს დავთმობთ

**ქობულეთში** შეკრებაზე მყოფმა „მგლებმა“ ტესტ-მატჩში ბოლნისის „სიონს“ 1:0 სძლია. ერთადერთი გოლი დავით ქირიამ მე-10 წუთზე გაიტანა.

„ახლა უკვე სათამაშო ნიუანსები უნდა დავხვეწოთ, ტესტ-მატჩებით არ გადავიტვირთებით. მხოლოდ 29 იანვარს გვექნება თამაში „სამტრედიასთან“. ერთს ვიტყვი: „მგლები“ ყველასთვის ანგარიშგასაწევი გუნდი იქნება და იოლად არავის არაფერს დავუთმობთ. ჩვენთან ლიდერებსაც კი გაუჭირდებათ“ — გვითხრა „მგლების“ თავკაცმა ბესიკ შეროზიამ.

უკრაინელი ფორვარდი ალექსანდრ ომელიანოვი პირველი წრის ბოლოს ზუგდიდურ კლუბში იყო, თუმც საქართველოში თამაში აღარ ისურვა, რაკილა სამშობლოში გამოჩენია კარგი ვარიანტი.

„მგლების“ ახალი ფეხბურთელებიდან ერთ-ერთი ფორვარდი გიორგი ჭედიაა, რომელიც ბელარუსულ ჟოდინოს „ტორპედოში“ თამაშობდა და ახლაც ამ გუნდს ეკუთვნის.

„ჭედიას იჯარით აყვანა გვსურს და, სავარაუდოდ, მივაღწევთ კიდეც. ბელარუსებთან შეუთანხმებლობის შემთხვევაში კი სხვა თავდამსხმელს დავიმატებთ“ — გვაცნობა შეროზიამ.

ზუგდიდელებმა „სიონთან“ ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: *სომხიშვილი, ჭითანავა, აქუბარდია, რ. ონიანი, რაქვიაშვილი, გულორდავა, ჯოჯუა, ინჯგია, ბ. ნოზაძე, ქირია, გ. თოდუა.*

*შეცვლაზე შევიდნენ: ხუბია, ჯანაშია, ბაკარაძე, გოგიბერიძე, ხარჩილავა, დ. ჯიშკარიანი.*

გოგიტა სომხიშვილი და თემურ რაქვიაშვილი „მესხეთიდან“, რომან ონიანი „ზესტაფონიდან“, ბექა ნოზაძე „სიონიდან“, პაატა ბაკარაძე ფოთის „კოლხეთიდან“, ზურაბ ინჯგია კი „ვიტ ჯორჯიადან“ — ესენი „მგლების“ ახალწვეულები არიან.

**ილია ნანობაშვილი**

# ლოკომოტივი ჯერ მხოლოდ იცლება

**რა** ხდება ჩემპიონატის ოდინდელ ლიდერ „ლოკომოტივში“? ჯერჯერობით, გუნდიდან ფეხბურთელები მხოლოდ მიდიან, ახალწვეული კი არავინაა.

გიორგი კიკნაძის გუნდმა ქვედალიგელ „შავი ზღვის უნივერსიტეტთან“ ამხანაგურში 4:2 მოიგო.

რატი ალექსიძე უნგრულ „დიორ ეტოში“ მიდის, ვიტალი დარასელიამ კი ფეხბურთის თამაშს თავი დაანება — ხომ წარმოგიდგენიათ, რა ძნელია ამ ფეხბურთელების შეცვლა?

გიორგი კიკნაძე: „საუბარი იყო ლევან ცქიტიშვილისა და გიორგი ლომაიას წასვლაზეც, თუმც სავარაუდოდ, ისინი გუნდში დარჩებიან. გვინდოდა ირაკლი კიკნაძის შეძენა, რომელიც „ბორჯომში“ შედეგიანად თამაშობდა, მაგრამ ეს ბიჭი „ვიტ ჯორჯიას“ ეკუთვნის და შეთანხმება ვერ მოხერხდა“.

26 იანვარს „ლოკომოტივი“ ორმხრივ მატჩს გამართავს საგურამოს ბაზაზე.

**ილია ნანობაშვილი**

# ოლიმპმა შევსება დაასრულა

**რუსთავის** „ოლიმპმა“ სხვა გამორჩეულ ქართულ კლუბებს ვერ მიბაძა და უცხოური შეკრება ვერ გაახერხა — ვარლამ კილასონიას გუნდი თბილისში ემზადება და ტესტ-მატჩებსაც მართავს.

შუა კვირაში „ოლიმპმა“ „ნორჩ დინამოელს“ 6:0 სძლია, შაბათს კი გორის „დილას“ 1:0 მოუგო გიორგი ონიანის პენალტით.

გორელებთან კილასონიამ ასეთი შემადგენლობა ათამაშა:

*პირველი ტაიმი: მ. ალავიძე, გ. რეხვიაშვილი, მაჭავარიანი, ჩიკვილაძე, გ. ონიანი, სილაგავა, თედიაშვილი, უგრეხელიძე, დეკანოსიძე, მიკუჩაძე, გ. მიქაბერიძე*

*მეორე ტაიმი: შეყრილაძე, ზ. ხორეუაშვილი, გ. ონიანი, მაჭავარიანი, ჩიკვილაძე (კაკულია 75), ხუბუა, გ. სთურიძე, დობროვოლსკი, ძაბუნაშვილი, გ. ჩხეტიანი, მეგრელაძე*

„ოლიმპმა“ „სიონში“ გაუშვა ვეტერანი კახა ალადაშვილი. გოგი ფიფია და მირზა მერლანი კი აზერბაიჯანულ „გაბალაში“ არიან გასინჯვაზე, ლევან თედიაშვილი კი „მესხეთში“ გაბრუნდა.

კილასონიამ გვითხრა, მეტ ფეხბურთელს აღარ დავიმატებთ, შესაძლოა, პირიქით, გუნდიდან კიდევ გავუშვათ რამდენიმეო.

შეყრილაძე, ალავიძე და ზვიად სტურუა — სამი მეკარე ჰყავთ რუსთაველებს და, სავარაუდოდ, ერთ-ერთს დაემშვიდობებიან.

# ბორჯომი საბავშვო ბაღს ამზადებს

**გუნდი,** რომელიც 2005 წელს ავიდა უმაღლეს ლიგაში და პირველივე სეზონში კინაღამ უეფას თასის საგზურს გამოჰკრა ხელი, დაშლილია. „ბორჯომში“ დღეს სიტუაცია იმდენად უფერულია, კლუბის დირექტორმა ვახტანგ მაისურაძემ გვითხრა — თუ მაინც გამოვალთ ჩემპიონატში, ვაი, ასეთ გამოსვლასო...

რა შეკრება, რის ამხანაგური მატჩი... „ბორჯომი“ დაცარიელებულია. გუნდის მწვრთნელ გიორგი სუხიაშვილს რომ დავუკავშირდით, მე ვერაფერს გეტყვით, სჯობს, ხელმძღვანელობას ესაუბროთო...

— კატასტროფული მდგომარეობაა. ფული არ არის, გუნდი ვერ იკრიბება. ჩემპიონატის განახლებამდე კი რაღა დარჩა — გვითხრა მაისურაძემ.

— მიიღებს „ბორჯომი“ ჩემპიონატში მონაწილეობას?

— ალბათ, მივიღებთ, მაგრამ ვაი ასეთ მონაწილეობას. მეორე ლიგისა და ბავშვთა ლიგის გუნდები უკვე ვარჯიშობენ და ესენი თუ ითამაშებენ...

— რისი იმედი გაქვთ?

— რაიონის ბიუჯეტიდან არავითარი დახმარების იმედი არ გვაქვს. ისევ ქარხნებიდან ან კერძო ბიზნესიდან თუ მოხერხდება რამე.

— რა თქმა უნდა, გუნდიდან ყველა ფეხბურთელი წავიდოდა...

— ჩვენ მათთან ექვსთვიანი კონტრაქტები გვქონდა და, ცხადია, ასეთ გაჭირვებაში არავინ დარჩებოდა. თუ ფული იქნება, შევთავაზებთ ამ ბიჭებს ჩვენთან თამაშს. მოკლედ, სპონსორი გვჭირდება, რაც დღესდღეობით იდეაშიც არ ჩანს, მაგრამ თუ გამოჩნდა, მწვრთნელად ისევ სუხიაშვილი დარჩება და ფეხბურთელებსაც მოვიყვანთ. თუ არადა, ბავშვებით ჩავამთავრებთ სეზონს...

**ილია ნანობაშვილი**



# ალექსიძე ოდიკაძესთან: დიორ ეტოში ქართველები მრავლდებიან

**„ჩვენთან** „ჩელსის“ ექს-ვარსკვლავი ჩამოდის“ — ასე უწერია უნგრული „დიორ ეტოს“ ვებგვერდს.

საუბარია რატი ალექსიძეზე, რომელიც ამჟამად თბილისის „ლოკომოტივს“ ეკუთვნის, თუმც როგორც გუნდის თავკაცმა გიორგი კიკნაძემ გვითხრა, რატის უნგრეთში წასვლა გადაწყვეტილი ამბავია.

საქართველოს ეროვნული ნაკრების ფორვარდი 27 იანვარს მიდის უნგრეთში და „დიორ ეტოსთან“ გასინჯვის გარეშე გააფორმებს კონტრაქტს.

„დიორ ეტო“ ის გუნდია, სადაც ამასწინათ დავით ოდიკაძე გადავიდა...

**ილია ნანობაშვილი**

# ვაჟა: ტიტულის კაცი!



**მოლდოვის** „შერიფმა“ მეორედ მოიგო თანამეგობრობის თასი, ფინალში ყაზახურ „აქტობეს“ პენალტებით 5:4 (ძირითადი დრო 1:1) სძლია და ცხადია, თასი პირველმა ვაჟა თარხნიშვილმა ასწია.

მოლდოვის საუკეთესო კლუბის კაპიტანმა თავისი წილი პენალტი გაიტანა.

ეს 37 წლის თარხნიშვილის მე-19(!) ტიტულია „შერიფში“, სადაც 2001 წლიდან თამაშობს. 8-ჯერ — ქვეყნის ჩემპიონი, 5-ჯერ — თასი, 4-ჯერ — სუპერთასი, 2-ჯერ — თანამეგობრობის თასი.

**ილია ნანობაშვილი**

# სპარტაკი ქობულეთში უხმაუროდაა

**ცხინვალის** „სპარტაკი“ ქობულეთშია დაბანაკებული და თბილისის „დინამოსთან“ მატჩის შემდეგ გუნდს ტესტ-მატჩი აღარ ჩაუტარებია.

როგორც კლუბის გენერალურმა მენეჯერმა ჯემალ ჭიპაშვილმა გვითხრა, ცვლილებებიც არ არის შემადგენლობაში.

სერგო გაბელაიას გუნდი 26 იანვარს პირველლიგელ „სამტრედიას“ შეხვდება ამხანაგურად.

**ილია ნანობაშვილი**

# ირლანდიასთან თამაშს არავინ გადაგვიტანს

## კობიაშვილი და ყენია ტრავმებს ებრძვიან

**გელზენკირხენის „შალკეს" ორი ქართველი — ლევან კობიაშვილი და ლევან ყენია — ტრავმებმა შეაწუხა. ჩვენებს შეკრება, ფაქტობრივად, ჩაუვარდათ: კობიაშვილს აქილევსი აწუხებს, ყენიას კი კუნთი. არადა, ყველამ ვიცით, რა მნიშვნელოვანია გუნდთან ერთად მოსამზადებელი შეკრების გავლა. სწორედ ამ დროს უნდა მოახერხო ძალების მოკრება და ამხანაგურ მატჩებში მწვრთნელისთვის თავის მოწონება...**

**კობიაშვილმაც და ყენიამაც თითო ტესტ-მატჩის ჩატარება მოასწრეს ესპანურ შეკრებაზე და იმედია, დიდი ხნით უქმობა აღარ მოუწევთ.**

**ამის იმედი აქვს თავად ლევან კობიაშვილსაც, ვისაც გერმანიაში დავუკავშირდით...**


ლევან კობიაშვილი და ლევან ყენია

— რამდენიმე დღე გამიცდა და უკვე ძალიან ვნერვიულობ. აქილევსი ისევ მტკივა. რამდენიმე დღის წინ ვცადე ვარჯიშის დაწყება, მაგრამ ისევ შემაწუხა.

**— ექიმები რას გეუბნებიან?**

— 26-27 იანვრიდან ვარაუდობენ ვარჯიშის დაწყებას და მეც ამის იმედი მაქვს.

**— ანუ სერიოზული არაფერია...**

— არა, სერიოზული არ არის, მაგრამ დრო მიცდება და ეს მანერვიულებს...

**— ამ დროს კი „შალკე" სკანდალებმა მოიცვა. ჯერმენ ჯონსმა მწვრთნელი და კლუბის ხელმძღვანელობა შემადგენლობის არასწორად შერჩევის ბრალდებით გააკრიტიკა...**

— იყო ასეთი, დაძაბული სიტუაცია შეიქმნა, მაგრამ უკვე ყველაფერი დალაგდა. ახლა გუნდში ჩვეულებრივი, სამუშაო ატმოსფეროა...

**— ამის გამო ხომ არ მოხდა, რამდენიმე ფეხბურთელი სარეზერვო გუნდში რომ გადაიყვანეს, რამდენიმე კიდევ ტრანსფერზე დააყენეს?**

— არა, ეს არაფერ შუაშია. უბრალოდ, მწვრთნელმა ჩათვალა, რომ ესა თუ ის ფეხბურთელი ვერ აკმაყოფილებდა მის მოთხოვნებს და შეელია. რა თქმა უნდა, ყველა ფეხბურთელისთვის ცუდია, როცა გეუბნებიან, არ მჭირდებიო, მაგრამ რა ვქნათ — ეს ფეხბურთია და მსგავსი რამეები ყველა გუნდში ხდება.

**— „შალკეს" მიზანი არ იქნება მეორე წრეში? მაქსიმუმ რა შეუძლია გუნდს?**

— პირველი წრით ძალიან უკმაყოფილოები ვართ. ლიდერებს მაგრად ჩამოვრჩებით და უეფას თასიდანაც გამოვვარდით. ცხადია, ამას ხელმძღვანელობა ვერაფრით მოგვიწონებდა. ამიტომ მაქსიმალურად უნდა მოვინდომოთ და სიტუაცია გამოვასწოროთ. სამეულში მოხვედრა ჩვენი მთავარი მიზანია, რადგან მხოლოდ ასე შეგვიძლია ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება. გარდა ამისა, გერმანიის თასზეც ვთამაშობთ და იმედია, აქ მაინც გავაგრძელებთ წარმატებულ თამაშს.

**— როგორ ფიქრობ, ლევან ყენიას რა შანსი აქვს, რომ მეორე წრეში ბუნდესლიგაში რამდენიმე მატჩი მაინც ჩაატაროს?**

— ასე თქმა ძნელია. დავიწყოთ იქიდან, რომ ლევანს ისეთივე შანსი აქვს, როგორიც ყველა სხვას. ის ისეთივე წევრია გუნდისა, როგორც მე და ყველა დანარჩენი. ყენიას მთავარი პრობლემა ახლა ტრავმაა — კუნთი სტკივა და ორი კვირა მაინც გაუცდება. მისი იმედი რომ არ ჰქონდეთ, აქ არავინ გააჩერებდა. ყველა ამჩნევს და გვერდით უდგას, მწვრთნელსაც მოსწონს და ასე ძნელი სათქმელია, რამდენი აქვს შანსი და რამდენი არა. მთავარია, ლევანი მალე გამოჯანმრთელდეს და მზად იყოს. დანარჩენი მწვრთნელებმა იციან — დაკარგვით მას არავინ არაფერს დაუკარგავს.

**— ნაკრებზეც ვთქვათ: 11 თებერვალს ირლანდიასთან სტუმრად ურთულესი მატჩი გველის...**

— ძალიან ცუდ დროს გვიწევს ეს თამაში. 11 თებერვლისთვის ჩვენი ნაკრების თითქმის ყველა წევრი უთამაშებლად იქნება — ზოგს სეზონი არ ეწყება, ზოგი ტრავმირებულია, ზოგი უთამაშებელი... ასე რომ, პრობლემები ბლომად გვაქვს, მაგრამ ამაზე წუწუნი და ბევრი ლაპარაკი აღარ ღირს. თამაშს არავინ გადაგვიტანს. კარგი კი იქნებოდა, ცოტა გვიან გვქონოდა, მაგრამ... ახლა მთავარია, მოვინდომოთ და მაქსიმალურად ვეცადოთ, თამაშს მომზადებულები შევხვდეთ. ირლანდია რომ კარგი გუნდია და მძიმე თამაში გვექნება, ყველამ იცის. უნდა ვიბრძოლოთ!

**ბაჩა ზალამბერიძე**






## 1-86: პელედან შოთამდე

**შოთა არველაძე** მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირთა შორის 86-ე ადგილზეა — იგულისხმება ჩემპიონატების უმაღლეს ლიგებში გატანილი გოლები.

ტყუპისცალის მაჩვენებელი საკმაოდ შთამბეჭდავია: 430 მატჩში 263-ჯერ გაუტანია.

პოსტსაბჭოური ქვეყნებიდან შოთა პირველია...

საინტერესოა, რომ შარშან ამ დროს არველაძე მოქმედ ფეხბურთელთა შორის მეხუთე იყო გოლების რაოდენობით.

ყველა დროის ბომბარდირი კი ფეხბურთის მეფე პელე გახლავთ და ათეულში, მის გარდა კიდევ სამი ბრაზილიელია: რომარიო, რობერტო დინამიტი და ზიკო.

**ილია ნანობაშვილი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1 | პელე | ბრაზილია | 560 | 541 |
| 2 | იოზეფ ბიკანი | ჩეხოსლოვაკია | 341 | 518 |
| 3 | ფერენც პუშკაში | უნგრეთი | 533 | 511 |
| 4 | რომარიო | ბრაზილია | 612 | 489 |
| 5 | რობერტო დინამიტი | ბრაზილია | 758 | 470 |
| 6 | იმრე შოსლერი | უნგრეთი | 318 | 417 |
| 7 | გიულა ჟენგელერი | უნგრეთი | 394 | 416 |
| 8 | ჯეიმს მაკგრორი | შოტლანდია | 408 | 410 |
| 9 | ზიკო | ბრაზილია | 596 | 406 |
| 10 | გერდ მიულერი | გერმანია | 507 | 405 |

## ორჰუსის მწვრთნელი: დევდარიანი მაგარია!



**დავით დევდარიანს** „ორჰუსის" ძირითად გუნდში შანსი მისცეს და მშვენივრადაც გამოიყენა. ქართველი ბოსნიელ სანელ კაპიძიჩთან ერთად „ორჰუსის" სარეზერვოდან პირველ გუნდში გადაიყვანეს და დანიის ჩემპიონ „ოლბორგთან" ტესტ-მატჩშიც ათამაშეს.

დევდარიანმა 81 წუთი გაატარა მინდორზე, მარჯვენა ნახევარმცველი გახლდათ და, როგორც კლუბის ვებგვერდი წერს, პირველ ტაიმში ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

„ორჰუსის" მწვრთნელმა ერიკ რასმუსენმა დევდარიანის გარჯა საგანგებოდ აღნიშნა, მაგრამ ითამაშაო.

**ილია ნანობაშვილი**

## დარასელია და გეფერიძე: ქართველი ლიდერები

**ისრაელის** ჩემპიონატის მე-17 ტურში ჰაიფას „მაკაბიმ", რომლის ერთ-ერთი მწვრთნელი გიორგი დარასელიაა, შინ ბნეი სახნინის „ჰაპოელი" მიიღო და 2:1 დაამარცხა.

ჰაიფელები 35 ქულით ლიდერობენ გათამაშებას და მეორეადგილოსან ნეთანიის „მაკაბის" 4 ქულით უსწრებენ.

ისრაელის მეორე ლიგას კი ჰაიფას „ჰაპოელი" ლიდერობს.

„ჰაპოელმა" კირიათის „მაკაბი" 1:0 დაამარცხა, ქართველი ფორვარდი ირაკლი გეფერიძე ძირითადში იყო და მწვრთნელმა 63-ე წუთზე შეცვალა.

**ბაჩა ზალამბერიძე**

## ადამია ისევ გაურკვეველია

**გიორგი ადამიამ,** რომელიც „ბაქოსთან" ერთად თურქეთში ემზადება, მთავარი მწვრთნელის, მაკედონიელი ჯოკიჩა ხაჯიევსკის ქება კვლავ დაიმსახურა.

„ადამიას შესაძლებლობები ყველასთვის ცნობილია. ის აზერბაიჯანის ჩემპიონატში თავს ისე გრძნობს, როგორც თევზი წყალში. თუმცა ბაქოს „ნეფთჩიდან" მისი ტრანსფერის საკითხს სანამ არ მოვაგვარებთ, მანამდე ჩვენი გუნდის ფეხბურთელად ვერ ჩავთვლით" — განაცხადა ხაჯიევსკიმ.

თურქულ შეკრებაზე ადამიამ „ბაქოს" შემადგენლობაში სამი ამხანაგური მატჩი გამართა და ერთი გოლი გაიტანა.

ქართველი თავდამსხმელის სანაცვლოდ „ნეფთჩი" 180 000 აზერბაიჯანულ მანათს ითხოვს, რის გადახდასაც „ბაქო" უარობს.

ბაქოურ კლუბში ორი ქართველი ირიცხება: ამირან მუჯირი და გიორგი დემეტრაძე, ვინც შეკრებაზე არ გამოცხადებულა და დაჯარიმება ემუქრება.

# ძნელია ასეთ ფულზე უარის თქმა

## ყველაფერს გავაკეთებ, რათა საქართველო არ დავაღალატო!

ითამაშებს თუ არა საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტანი კახა კალაძე 11 თებერვალს ირლანდიასთან მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში? ეს კითხვა აქტუალური მას შემდეგ გახდა, რაც კალაძე მუხლმა შეაწუხა და ბოლო მატჩებია, „მილანში“ აღარ თამაშობს. ბევრი ლაპარაკი იყო, შავ-წითლების ქართველ მცველს ოპერაცია არ ასცდებაო — უცხოური სააგენტოები თითქმის ყოველდღე წერდნენ, „მილანს“ დაცვაში დიდი პრობლემები შეექმნებაო, თუმცა... საქმე უკეთ მიდის — კახა კალაძე ოპერაციას გადაურჩა და იმედია, მალე თამაშსაც შეძლებს... კახას მილანში დავუკავშირდით და ინტერვიუ ვთხოვეთ...


კაკა და კახა კალაძე: ისევ ერთად

## კახა კალაძე და ანუკი არეშიძე ბავშვს ელოდებიან

— ჯერ, რა თქმა უნდა, ტრავმაზე გკითხავ: ახლა როგორ გრძნობ თავს?

— ჯერჯერობით უკეთესობა ჩანს. ბელგიიდან უკვე ჩამოვედი. იქ ცნობილმა ექიმმა მარკ მარტენსმა გამსინჯა და ნემსები გამიკეთა. ახლა რამდენიმე დღე უნდა დავაკვირდეთ, როგორი რეაგირება ექნება მუხლს.

— თუ ისევ გეტკინა?

— ათი დღე უნდა დავაკვირდეთ. თუ ისევ ამტკივდა, კიდევ მომიწევს ნემსების გაკეთება და თუ მაინც არ მიშველა, მაშინ ოპერაციას ველარ ავცდები. არადა, ახლა ძალიან არ მინდა, ეს დამჭირდეს. ოპერაცია რომ გავიკეთო, დიდი დრო გამიცდება, მე კი კლუბშიც და ნაკრებშიც მნიშვნელოვანი თამაშები მელის...

— როგორც ვიცით, ეს ძველი ტრავმის რეციდივია...

— 17 წლის ვიყავი, ამ მუხლზე ოპერაცია რომ გავიკეთე. ადრეც მაწუხებდა, მაგრამ განსაკუთრებით ბოლო ორი წელი გამაწამა. სულ გამაყუჩებლები მჭირდებოდა, ისე მტკიოდა. ძალიან მიჭირდა...

— ანუ ახლა უკვე თამაში შეგიძლია?

— თამაშით ახლა ვერ ვითამაშებ, რადგან ბელგიაში ყოფნის გამო ათი დღე გამიცდა და არ მივარჯიშია. ახლა მთავარია, მუხლმა აღარ გამაწვალოს და თუ ასე მოხდა, მალე „მილანსაც“ დავუბრუნდები...

— ინტერნეტში ისიც დაიწერა, კალაძეს „მილანის“ ექიმებმა დიაგნოზი ვერ დაუსვეს და ამიტომაც წავიდა ბელგიაშიო. ცოტა არ იყოს, უცნაურია — „მილანს“ ასეთი სუსტი ექიმები ჰყავს?

— არა, მთლად ასეც არ ყოფილა. უბრალოდ, მარკ მარტენსი ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტია მსოფლიოში და მასთან ჩვენი კლუბი აქტიურად თანამშრომლობს. მეც ამიტომ გამიშვეს ბელგიაში, თორემ „მილანის“ ექიმები არაფერ შუაში არიან.

— მართალია, ჯერ ადრეა ამაზე ლაპარაკი, მაგრამ ქართველი ქომაგისთვის სადღეისოდ ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი ეს არის: შეძლებ თუ არა 11 თებერვალს ირლანდიასთან თამაშს?

— დიდი იმედი მაქვს, რომ შევძლებ. სიმართლე გითხრათ, ძალიან გამიხარდა, როცა მითხრეს, რომ შეიძლება, ოპერაცია არ დამჭირდეს. საქართველოს ნაკრების კაპიტანი ვარ და ვიცი, რა მნიშვნელოვანი თამაში გველის ირლანდიასთან. ამიტომ ყველაფერს გავაკეთებ, რათა გუნდი არ დავაღალატო. ცხადია, ისე არ უნდა გამოვიდეს, რომ ამ თამაშს მოუმზადებელი შევხვდე და ამის გამო გუნდს ვერ გამოვადგე, მაგრამ ერთხელაც გეუბნებით: რაც ჩემზე იქნება დამოკიდებული, თავს არ დავზოგავ. მთავარია, ჯანმრთელობამ შემიწყოს ხელი.

— კეთილი. სხვაც ვთქვათ: მთელ მსოფლიოში დიდი ხმაური გამოიწვია კაკას „მანჩესტერ სიტიში“ შესაძლო გადასვლამ. ამის თაობაზე კომენტარი „მილანის“ თითქმის ყველა ფეხბურთელმა გააკეთა, მათ შორის, შენც...

— უკვე საბოლოოდ გადაწყდა, რომ კაკა ჩვენთან რჩება და არსად მიდის. „მილანის“ პრეზიდენტმა სილვიო ბერლუსკონიმაც კი გააკეთა ამის თაობაზე საგანგებო განცხადება და შეიძლება ითქვას, ეს თემა ამოწურულია. ძალიან ძნელია, ადამიანმა იმ თანხაზე თქვა უარი, რასაც კაკას „მანჩესტერ სიტი“ სთავაზობდა, მაგრამ... კაკამ მაინც მილანელობა არჩია და ამით ყველა გაგვახარა.

— მაინც როგორ ფიქრობ: რამე შეაჩერებს ამხელა ფულის ტრიალს ფეხბურთში? ცოტა არ იყოს, ალოგიკურია, როცა ფეხბურთელს კვირაში ნახევარ მილიონ გირვანქას სთავაზობ...

— გეთანხმები, მაგრამ ჩემი აზრით, ამის შეჩერება წარმოუდგენელია. „მანჩესტერ სიტის“ ჰყავს არაბი პატრონი, რომელსაც უზარმაზარი ფული აქვს და კარგი გუნდის გაკეთება უნდა. არა მგონია, ვინმემ შეძლოს და მას ამის უფლება წაართვას. ასეთი რამ ფეხბურთში ყოველთვის ხდებოდა, თუნდაც „ჩელსის“ მაგალითი გავიხსენოთ. მაშინაც დიდი ხმაური იყო ამ გუნდის ტრანსფერებზე. ასეა ახლაც და ვფიქრობ, ასე იქნება მომავალშიც. ცხოვრება წინ მიდის და ძნელია, ამას ხელი შეუშალო...

— მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა შენს ბიზნესსაც ხომ არ დაატყო კვალი?

— კრიზისმა ყველას შეუშალა ხელი და მათ შორის, ჩემს ბიზნესსაც — მცირე პრობლემები შეგვექმნა, თუმცა იმედია, მალე ყველაფერი გამოსწორდება. მთავარია, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შეძლოს ეკონომიკური კრიზისის დაძლევა და მერე სხვა ქვეყნებსაც გაუადვილდებათ პრობლემიდან თავის დაღწევა. ამის დიდი იმედი მაქვს.

— და ბოლოს ერთიც: სასიამოვნო ამბავი შევიტყვეთ — კახა კალაძე და ანუკი არეშიძე ბავშვს ელოდებიანო...

— კი, მართალია. ანუკი ფეხმძიმედაა და ბავშვს ველოდებით...

**კახა შალამბერიძე**

### ბურდული დუბლით, პლუს გიგიაძე

**სიმფეროპოლის** „ტავრიას“ ქართველმა ლეგიონერმა ლადო ბურდულმა ლუცკის „ვოლინთან“ ამხანაგურ მატჩში დუბლი შეასრულა.

სიმფეროპოლელებმა 3:1 მოიგეს, ბურდულმა სრულად ითამაშა და 52-ე და 83-ე წუთებზე გაიტანა.

„ტავრიას“ ძირითადმა შემადგენლობამ კი ალუშტაში მეორე სპარინგიც გამართა და „ხარკოვს“ 4:0 სძლია. ვასილ გოგიაძე მოედანზე შესვენების შემდეგ გამოჩნდა, თუმც გოლი არ გაუტანია.

სამაგიეროდ, გოგიაძემ მომდევნო მატჩში შეაგდო, როცა „ტავრიამ“ 5:1 დაამარცხა „კრიმტეპლიცა“.

ამ მატჩში გოგიაძემ და ბურდულმა მეორე ტაიმში ითამაშეს.

### ქეცბაიას ანო ფინალის წინ

**ფამაგუსტის** „ანორთოსისმა“ წარმატებით გაიარა კვიპროსის თასის მეოთხედფინალი.

თემურ ქეცბაიას გუნდმა 2:1 დაამარცხა „აპოლონი“ და მომდევნო ეტაპზე დაიგულა თავი.

თავდამსხმელმა კლიმენტი წიტაიშვილმა პირველი ტაიმი ითამაშა, მერე კი მის ნაცვლად მოედანზე ბრაზილიელი სავიო შევიდა.

### ნალჩიკის ხუთში სამი ქართველია

**ნალჩიკის** „სპარტაკში“ გასული სეზონის საუკეთესო ფეხბურთელები დასახელდნენ და გულშემატკივართა გამოკითხვით მესამე ადგილზე გოგიტა გოგუა გავიდა (16 ხმით).

აღსანიშნავია, რომ მეოთხეზე დავით სირაძე აღმოჩნდა (14), ხოლო მეხუთეზე — ალეკო ამისულაშვილი (13).

პირველი ადგილი კი მეკარე დმიტრი ხომიჩისაა — 67 ხმა.

ეს რაც შეეხება გულშემატკივრებს. საუკეთესოები კი ადგილობრივმა ჟურნალისტებმაც დაასახელეს და ამ გამოკითხვაში სამეულში ვერცერთი ქართველი ვერ მოხვდა.

### გვაზავა მაინც ლუჩს გაჰყვა

**ყაზანის** „რუბინის“ მთავარმა მწვრთნელმა ყურბან ბერდიევმა თქვა, ლევან გვაზავა ჩვენს ინტერესებში არ შედის, ასე რომ, ხმები მის შესაძლო შეძენაზე მოგონილიაო.

ბერდიევმა მოკლედ მოჭრა, გვაზავა ვერ გაგვაძლიერებსო.

თუმც ეს არ ნიშნავს, რომ ლევანს უკლუბოდ დარჩენა ემუქრება: „კუბანი“, „როსტოვი“, „ტომი“, „ტერეკი“ და „ხიმკი“ ეკურკურებიან.

ის კი ფაქტია, რომ ახალი გუნდის გარკვევამდე გვაზავა თურქულ შეკრებაზე ვლადივოსტოკის „ლუჩ-ენერგიას“ გაჰყვა. თუმც დიდი შანსია, ამავე შეკრებაზე სხვა კლუბის მაისურა მოირგოს — გროზნოს „ტერეკი“ უკვე ძალზან აქტიურობს



## უეფამ ხმები გადათვალა და...
# თემურ ქეცბაია ხუთეულს დასჯერდა

**როგორც** ველოდით, WWW.UEFA.COM-ის გამოკითხვის შედეგად, 2008 წლის საუკეთესო მწვრთნელად ალექს ფერგიუსონი დასახელდა.

გეცოდინებათ, უეფა ყოველწლიურად ნებისმიერ ადამიანს აძლევს საშუალებას, აირჩიოს მისეული სიმბოლური ნაკრები და პლუს მწვრთნელი. თითოეულ პოზიციაზე უეფა 5 კანდიდატს გვთავაზობს...

როგორც ვწერდით, მწვრთნელთა ტოპ-ხუთეულში თემურ ქეცბაიაც იყო შეყვანილი, რაც საწყაული აღიარებაა — იქ, სადაც არ იყვნენ ჟოზე მოურინიუ, ლუიშ ფელიპე სკოლარი, რაფა ბენიტესი და სხვები...

ხმის მიცემა ნებისმიერ პიროვნებას 8 დეკემბრიდან 12 იანვრამდე შეეძლო და საბოლოოდ, 250 ათასამდე კაცმა 3,3 მილიონი ხმა ჩამოარიგა.

დომინანტი ესპანეთია: 11 ფეხბურთელიდან სიმბოლურში 6 პირენეელი მოხვდა და ეს არცაა გასაკვირი, რაკიღა ევროპის ჩემპიონატი მოიგეს.

აღსანიშნავია, რომ უეფამ ერთ პოზიციაზე (მარჯვენა ნახევარმცველი) მოათავსა კრიშტიანუ რონალდუსა და სტივენ ჯერარდის გვარები, რამაც „ლივერპულის" სიამაყე სიმბოლურს მიღმა დატოვა.

აი, 2008-ის მშვენება-ნაკრებიც:

*იკერ კასილიასი (რეალი, ესპანეთი), სერხიო რამოსი (რეალი, ესპანეთი), ჯონ ტერი (ჩელსი, ინგლისი), კარლეს პუიოლი (ბარსელონა, ესპანეთი), ფილიპ ლამი (ბაიერნი, გერმანია), კრიშტიანუ რონალდუ (მანჩესტერი, პორტუგალია), ხავი (ბარსელონა, ესპანეთი), სესკ ფაბრეგასი (არსენალი, ესპანეთი), ფრანკ რიბერი (ბაიერნი, საფრანგეთი); ლეო მესი (ბარსელონა, არგენტინა), ფერნანდო ტორესი (ლივერპული, ესპანეთი);*

*მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი (მანჩესტერი, შოტლანდია).*

უეფა მსგავს გამოკითხვას 2001 წლიდან ატარებს და რეკორდსმენი ტიერი ანრი გახლავთ — ხუთჯერ მოხვდა მასში.

მწვრთნელთა შორის ყველაზე ბევრჯერ ჟოზე მოურინიუმ იმარჯვა — სამჯერ.

შარშანდელ სიმბოლურ ნაკრებში ოთხი ისეთი კაცი იყო, ვინც წლეულსაც მოხვდა: ფერგიუსონი, ტერი, რონალდუ და კასილიასი.

**ილია ნანობაშვილი**

# უთავო სლავობა
## ბულგარეთმა ქართულ ნაკვალევზე ვერ გაიარა



კლაუს ტოპმიოლერი



**ბულგარეთის** ფეხბურთის კავშირის პრეზიდენტმა ბორისლავ მიხაილოვმა, რომელიც ჯერაც ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელის ძიებაშია, მოლაპარაკებები დაასრულა ლონდონის „ჩელსის" ყოფილ თავკაც აბრაამ გრანტთან და საქართველოს ნაკრების ექს-თავკაც კლაუს ტოპმიოლერთან, თუმცა უშედეგოდ.

„ვესაუბრე აბრაამ გრანტს და კლაუს ტოპმიოლერს, თუმცა, ამას შედეგი არ გამოუღია. ჩვენ მათი ფინანსური მოთხოვნების დაკმაყოფილება არ შეგვიძლია" — განაცხადა მიხაილოვმა.

თუ ბულგარელებმა უცხოელი სპეციალისტის დაყოლიება ვერ შეძლეს, მაშინ ნაკრებს, სავარაუდოდ, „ლოკომოტივის" თავკაც სტანიმირ სტოილოვს ჩააბარებენ.

ბულგარეთის ნაკრები, რომელიც 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში საქართველოს მეტოქეა, უმწვრთნელოდ მას შემდეგ დარჩა, რაც პლამენ მარკოვმა გუნდი თბილისური 0:0-ის გამო დატოვა.

**კახა შალამბერიძე**



აბრაამ გრანტი

## ბიზნესის ჩემპიონთა ლიგა

# სუპერ-რვა ორს ელის

**ერთი** ტურიც და, ბიზნესის ჩემპიონთა ლიგაში პირველი ეტაპი დასრულდება. ათი საუკეთესო გუნდი მეორე ეტაპიდან სუპერლიგაში ითამაშებს, დანარჩენები კი — უმაღლეს ლიგაში.

A ჯგუფში შაბათს გამორჩეული მატჩი იქნება: „პეპსი" „ოლიმპიურ ვარსკვლავს" ხვდება და გამარჯვებული სუპერლიგაში თამაშის უფლებას მიიღებს. ცხრილიდანაც ჩანს, რომ გასვლის შანსი შენარჩუნებული აქვს „სპორტმედიასაც", რომელმაც თავისი მატჩი ხომ უნდა მოიგოს და, ზემოთნახსენები შეხვედრის ფრედ დასრულების იმედიც უნდა ჰქონდეს. ამ შემთხვევაში დამატებით კრიტერიუმებს დაითვლიან.

B ჯგუფში სუპერლიგის ერთი ადგილიღა დარჩა გასათამაშებელი: „პატრული" ან „ალგორითმი".

**კოტე კეკელია**

**A ჯგუფი**

VII ტური

სპ. დეპარტამენტი 3:1 პეპსი
ვისოლი 5:0 სპორტმედია
იუ ჯი თი 3:4 სარბიელი
პალიტრა 5:0 სამგორი

გამოტოვებული მატჩები

სარბიელი 5:0 სამგორი
სამგორი 0:6 ოლ. ვარსკვლავი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დეპარტამენტი | 6 | 5 | 1 | 0 | 25:6 | 16 |
| სარბიელი | 7 | 5 | 1 | 1 | 23:14 | 16 |
| პალიტრა | 6 | 5 | 0 | 1 | 22:11 | 15 |
| ვისოლი | 7 | 4 | 1 | 2 | 20:12 | 13 |
| ოლ. ვარსკვლავი | 7 | 3 | 0 | 4 | 18:16 | 9 |
| პეპსი | 7 | 2 | 3 | 2 | 20:20 | 9 |
| სპორტმედია | 7 | 2 | 1 | 4 | 17:21 | 7 |
| იუ ჯი თი | 7 | 1 | 0 | 6 | 9:18 | 3 |
| სამგორი 94 | 8 | 0 | 1 | 7 | 11:47 | 1 |

ბოლო ტური. 31 იანვარი

დეპარტამენტი — ვისოლი
სარბიელი — პალიტრა
სპორტმედია — იუ ჯი თი
პეპსი — ოლ. ვარსკვლავი

გადადებული მატჩი. 1 თებერვალი

დეპარტამენტი — პალიტრა

**B ჯგუფი**

VIII ტური

ქორ სტანდარტბანკი 2:5 პატრული
ნიკორა 3:6 შერატონი
რეესტრი 3:4 ალგორითმი
სეუ 12:0 AMTS-JAMC
იბერია ბ/ჯ 6:1 BP

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იბერია | 8 | 7 | 0 | 1 | 40:14 | 21 |
| სეუ | 8 | 6 | 2 | 0 | 53:15 | 20 |
| შერატონი | 8 | 4 | 3 | 1 | 26:16 | 15 |
| ნიკორა | 8 | 4 | 2 | 2 | 26:21 | 14 |
| პატრული | 8 | 4 | 1 | 3 | 20:17 | 13 |
| ალგორითმი | 8 | 3 | 2 | 3 | 23:22 | 11 |
| სტანდარტბანკი | 8 | 3 | 1 | 4 | 27:29 | 10 |
| საჯ. რეესტრი | 8 | 1 | 3 | 4 | 20:34 | 6 |
| AMTS-JAMC | 8 | 1 | 0 | 7 | 8:45 | 3 |
| BP | 8 | 0 | 0 | 8 | 8:38 | 0 |

ბოლო ტური. 1 თებერვალი

პატრული — ალგორითმი
AMTS-JAMC — საჯ. რეესტრი
BP — სეუ
სტანდარტბანკი — ნიკორა
შერატონი — იბერია

## კვირის ქრონიკა

### სადუბლინო ოფიციოზი

**მსოფლიოს** 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩს, ირლანდია — საქართველოს, ფინელ მსაჯთა ოთხეული მოემსახურება.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვებგვერდის ცნობით, 11 თებერვალს დუბლინში არბიტრი იუნი ჰუუტია იქნება, ასისტენტები — იუკა-პეკა კოსკელა და მიკო ალაკარე, ხოლო მეოთხე მსაჯი — ტონი ასუმა.

უეფას მსაჯთა დამკვირვებელი ნორვეგიელი იონ სკიერვოლდია, დელეგატი კი — შვეიცარიელი გუიდი კორნელა.

### ხიზანიშვილი ისევ უქმობს

**ინგლისის** თასის მეთექვსმეტედფინალში ზურაბ ხიზანიშვილის „ბლექბერნი" „სანდერლენდს" უგოლო დაშორდა.

ხიზანიშვილი სათადარიგოთა შორის იყო და თამაში არც ამჯერად მოუწია.

ამ მატჩის გადათამაშება 4 თებერვალს ბლექბერნში გაიმართება.

სარბიელელები სამძიმარს ვუცხადებთ თბილისის „დინამოს" უსაფრთხოების სამსახურის უფროს
**ვახტანგ ჯაოშვილის**
გარდაცვალების გამო

სარბიელელები სამძიმარს ვუცხადებთ საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრს ლაშა ჯაკობიას
**მამის**
გარდაცვალების გამო

სარბიელელები სამძიმარს ვუცხადებთ ჩვენს თანამშრომელს ნუკრი ლოლაძეს
**ბიძის**
გარდაცვალების გამო

ეროვნული ბიბლიოთეკა



ალექსანდრე ჩივაძე



ნოდარ ახალკაცი



კახა ცხადაძე




პეტარ სეგრტი

# ჩივაძე ვიცეა, ცხადაძე ახალგაზრდა, სეგრტი სათუო
## ნოდარ ახალკაცი უეფაში კენჭს იყრის

**ალექსანდრე ჩივაძე** „დიდ ავიაციას“ დაუბრუნდა — საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საპატიო ვიცე-პრეზიდენტად დაინიშნა; კახა ცხადაძე ოფიციალურად გახდა 21-წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი; ნოდარ ახალკაცი მარტში უეფას კონგრესზე უეფას აღმასკომის წევრობაზე იყრის კენჭს...

პარასკევის უმთავრესი მოვლენები ქართული ფეხბურთის სახლში ეს იყო და ახლა ვრცლად გადმოვიტანოთ ფედერაციის აღმასკომის სხდომაზე ნათქვამი...

სხდომის შემდეგ პრესკონფერენცია გაიმართა, რომელსაც ახალკაცი, ფედერაციის გენერალური მდივანი რევაზ არველაძე, ჩივაძე და ცხადაძე გაუძღვნენ.

### ბატონი საშას სიტყვა წონადია

ალექსანდრე ჩივაძე — ქართული ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე ნათელი ფიგურა, თბილისის „დინამოსა“ და საბჭოთა კავშირის ნაკრების კაპიტანი, მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მცველი იმ ეპოქაში, როცა მის პოზიციაზე იყვნენ გაეტანო შირეა, კარლ-ჰაინც ფიორსტერი, მორტენ ოლსენი, დანიელ პასარელა და ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი...

ჩივაძე იყო საქართველოს იმ ნაკრების მწვრთნელი, რომელმაც ისტორიაში ყველაზე წარმატებული შესარჩევი ციკლი ჩაატარა. ის კარგა ხანს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტადაც მუშაობდა. ბოლო წლებში კი თანამდებობის გარეშე იყო. და აი, ჩივაძე დაბრუნდა.

*ახალკაცი:* „არიან პიროვნებები, რომლებსაც წარდგენა არ სჭირდებათ. ყველამ ვიცით, ფეხბურთის რა დონის სპეციალისტია ალექსანდრე ჩივაძე და ქართულ ფეხბურთში მისი აქტიურად ჩაბმა ძალიან სასიამოვნო და მნიშვნელოვანი მომენტია. ბევრი საკითხია, რაც თვითონ ექტორ რაულ კუპერსაც აინტერესებს ჩივაძისგან. ბატონი საშა მზადაა, თავისი გამოცდილება გაუზიაროს ყველას. ჩათვალეთ, ყველა იმ საკამათო საკითხზე, რაც ქართულ ფეხბურთში წამოიჭრება, ბატონი საშას აზრი მნიშვნელოვანი იქნება...

2010 წელს დაგეგმილი გვაქვს ქართული ფეხბურთის 110 წლის იუბილეს აღნიშვნა. იმედია, მთელი საქართველო დაგვიდგება მხარში, რათა მართლაც ლამაზად აღვნიშნოთ ეს თარიღი. დღეს აღმასკომმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ ამ ღონისძიებისთვის ჩამოაყალიბოს საორგანიზაციო კომიტეტი, რომელსაც ჩივაძე უხელმძღვანელებს“.

*ჩივაძე:* „დიდი მადლობა ფედერაციის ხელმძღვანელობას. ნდობა გამომიცხადეს და მეც მზად ვარ სამსახურისთვის. ამასთან, კახა ცხადაძეს მივულოცავ ახალ თანამდებობას. ფეხბურთელების შერჩევა იქნება თუ რაღაც ნიუანსები, სიამოვნებით დავეხმარები კახას და სხვა ასაკის ნაკრებების, მათ შორის, პირველი ნაკრების მწვრთნელებსაც“.

### დევდარიანი — 17, შეყილაძე — 19, ცხადაძე და სვანაძე — 21

17-წლამდელთა ნაკრების თავკაცად გიორგი დევდარიანი დაინიშნა, რომელიც ბოლო თვეებში ერთი წლით პატარებთან მუშაობდა. თუმც დევდარიანს ჩაბარდება 1993 და შემდეგ წლებში დაბადებული ფეხბურთელები, ანუ მას პირველი გამოცდა შემოდგომაზე ექნება 2010 წლის ევროჩემპიონატის შესარჩევ ციკლში. გეცოდინებათ, 17-წლამდელთა ნაკრებმა შარშან ევროჩემპიონატის (2009 წელი) ელიტ-რაუნდში თამაშის უფლება მოიპოვა, ამ გუნდს გელა შეყილაძე ხელმძღვანელობდა და ელიტ-რაუნდშიც ის გაუძღვება — ელიტ-რაუნდი გაზაფხულზეა.

შეყილაძე 19-წლამდელთა ნაკრებში დაინიშნა ზაურ სვანაძის ნაცვლად. ანუ მარტივი პრინციპია — ყველა მუშაობს იმ ფეხბურთელებთან, რომლებსაც უკეთ იცნობს.

შეყილაძეს 19-წლამდელთა შესარჩევში 1991 წელს დაბადებულებთან და უმცროსებთან მოუწევს მუშაობა.

ცნობისთვის, გელა იმ სამწვრთნელო შტაბით იქნება 19-წლამდელებში, რაც 17-წლამდელებში ჰყავდა.

და სვანაძე?

ის კახა ცხადაძის თანაშემწე იქნება ახალგაზრდულ ნაკრებში. ცხადაძის გუნდში ხომ ბევრი ისეთი ფეხბურთელია, რომლებიც სვანაძეს განვლილ 19-წლამდელებში ჰყავდა.

### არტემ ჩაჩანიძე საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში

მოტოციკლეტების ვიბრაცია მართლაც არაფერ შუაშია: ეს არტემ ჩაჩანიძე რევაზ არველაძემ ხუმრობით უწოდა ცხადაძეს. ჩვენი ნაკრების უცვლელი კაპიტანი იყო.

„ჩემთვის ორმაგად სასიხარულოა ცხადაძის ამ პოსტზე დანიშვნა, რადგან მასთან ერთად ვთამაშობდი და ჩემი თაობის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი გახლდათ. ცხადაძის არჩევანში ფედერაციის ხელმძღვანელები ერთსულოვანნი ვიყავით“ — თქვა არველაძემ.

*ახალკაცი:* „კახა ცხადაძე საკმაოდ ნიჭიერ თაობასთან იმუშავებს. 1988 წელს დაბადებულების მშვენიერი კონტინგენტი გვყავს, ამას დაუმატეთ უმცროსები (ამირან სანაია, გიორგი ივანიშვილი, ვახტანგ ფანცხავა, ალექსი ბენაშვილი, მურთაზ დაუშვილი...) და ვფიქრობთ, წარმატების კარგი შანსი გვაქვს. სამწუხაროდ კი არა, უფრო საბედნიეროდ, ცხადაძე ალბათ გათვლას ვერ გააკეთებს ზოგიერთ ფეხბურთელზე, რომლებსაც ახალგაზრდულში თამაშის უფლება აქვთ. საბედნიეროდ იმიტომ, რომ ისინი ეროვნულ ნაკრებში დამკვიდრდნენ“.

4 თებერვალს 2011 წლის ევროშესარჩევის კენჭისყრა გაიმართება დანიის ქალაქ ორჰუსში (ფინალურ ეტაპს სწორედ დანია უმასპინძლებს) და ცხადაძის გუნდის მეტოქეებიც იქ გაირკვევიან.

*ახალკაცი:* „შეგახსენებთ, რომ ეს არის ოლიმპიადის შესარჩევი ციკლიც, ანუ წარმატების შემთხვევაში ლონდონის 2012 წლის ოლიმპიადაზეც გავალთ, რაც მართალია, ძნელია, მაგრამ არა წარმოუდგენელი. შესარჩევის კალენდარი 4 თებერვალსვე შემუშავდება. ციკლი გაზაფხულზე იწყება, მაგრამ ვეცდებით, ჩვენ სექტემბერში დავიწყოთ — საქმე ისაა, რომ მანამდე, ივნისსა და აგვისტოში ამხანაგური მატჩების გამართვაც გვსურს“.

*ცხადაძე:* „დიდი მადლობა ნდობისთვის. ფაქტობრივად, ეს ის ნაკრებია, რომლისგანაც ეროვნული გუნდი უნდა შეივსოს. ძალიან კარგი კონტინგენტია ამ ასაკში, რაც წარმატების შანსს გვაძლევს. მაქსიმალურად გვინდა უეფას მიერ გამოყოფილი დღეების გამოყენება, პლუს, თუ კლუბები მოგვცემენ საშუალებას, მეც მინდა „სამშაბათობის“ მსგავსი ვარჯიშების ჩატარება — ისე, როგორც კუპერი აკეთებს“.

კითხვა დავსვით, მიექცევათ თუ არა ყურადღება იმ ლეგიონერებს, რომლებსაც ქართული გვარები აქვთ და ჩვენს ნაკრებში თამაშიც სურთ, თუმც საქართველოს პასპორტს არ ფლობენ.

*ახალკაცი:* „თუ ფეხბურთელისგან ოდნავ დაინტერესებას მაინც დავინახავთ, რა თქმა უნდა, უყურადღებოდ არ დავტოვებთ. პრესის როლიც ძალიან მნიშვნელოვანია, თქვენგან შევიტყვეთ კიდეც რამდენიმე მოთამაშეზე. აი, გიორგი ივანიშვილს შვეიცარიელები მოქალაქეობას სთავაზობდნენ, მაგრამ მან საქართველო აირჩია — მზადყოფნა გამოთქვა საქართველოს სახელით თამაშზე. იგივე უნდა დავინახოთ სხვებისგანაც, უბრალოდ, დოკუმენტების გაკეთებაა საჭირო მოქალაქეობის შესაცვლელად და ჩვენ ამაში მონაწილეობას მივიღებთ, ვიაქტიურებთ. მაგრამ თუ არ აქვს სურვილი...“

შემდეგ კონკრეტულად გია გრიგალავაზე დავსვით კითხვა, რომელიც რუსეთის მოქალაქეა, „სკაროსტოვში“ თამაშობს და ამასწინათ ამსტერდამის „აიაქსში“ იყო გასინჯვაზე.

*არველაძე:* „ეს ისეთი საკითხია, როცა ფეხბურთელმა თავად უნდა აირჩიოს. როცა 19 წლის ფეხბურთელი „აიაქსში“ ისინჯება, რაღად უნდა ლაპარაკი, რომ მისით დავინტერესდებოდით, მაგრამ ფეხბურთელისგანაც უნდა მოდიოდეს ინიციატივა. კონკრეტულად უნდა აირჩიოს, რომელი ქვეყნის ნაკრებში სურს თამაში“.

*ცხადაძე:* „1992 წელს ევროპის ჩემპიონატზე დსთ-ის ნაკრებში რომ ვითამაშე, შემდეგ კონკრეტულად დამისვეს საკითხი: რუსეთი ან საქართველო. ესაა და ეს, ფეხბურთელმა უნდა გადაწყვიტოს“.

### ახალკაცი — უეფას აღმასკომი ახლოსაა

მარტში კოპენჰაგენში უეფას კონგრესი გაიმართება, სადაც სხვადასხვა საკითხებთან ერთად აღმასკომის 9 წევრი უნდა შეირჩეს. ეს მოხდება ხმის მიცემით, რაშიც 53-ივე წევრი ქვეყნის დელეგატები მიიღებენ მონაწილეობას.

*არველაძე:* „დღეს ფედერაციის აღმასკომმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ ნოდარ ახალკაცი კენჭს იყრის უეფას აღმასკომის წევრობაზე. თავისთავად, კენჭისყრაში მონაწილეობაც კი დიდი პატივია, რადგან იქ იმდენ ცნობად პიროვნებას წაუგია, რომ ჩამოვთვალოთ, შორს წავალთ. იმედია, ნოდარი გაიმარჯვებს და აღმასკომის წევრი გახდება — საქართველოსთანა პატარა ქვეყნისთვის ეს დიდი აღიარება იქნება“.

### ეროვნული ნაკრების ამბები: კუპერი ანთალიაშია

11 თებერვალს საქართველოს ეროვნული ნაკრები ირლანდიას ეთამაშება სტუმრად და ცხადია, მზადების ამბავზე ვიკითხეთ, რაზეც ახალკაცმა გვიპასუხა:

— 24 იანვრიდან კუპერი ანთალიაში იქნება, სადაც „დინამო“, „ვიტ ჯორჯია“, „ზესტაფონი“ და „გაგრა“ გადიან შეკრებას. კუპერი იქ დააკვირდება ნაკრების წევრებსა და კანდიდატებს. ცხადია, ეს უკეთესი მეთოდია. ჩვენი ჩემპიონატიდან თითქმის ყველა სანაკრებო ფეხბურთელი ხომ თურქეთშია.

**— წლეულს ამხანაგური მატჩებისთვის ვისთან აწარმოებთ მოლაპარაკებებს?**

— რამდენიმე დღის წინ მოლდოვურ მხარესთან გვქონდა საუბარი, რათა 6 ივნისს საქართველო — მოლდოვა თბილისში გაიმართოს. ვნახოთ, ეს ჯერ არ არის გადაწყვეტილი. ამხანაგურებისთვის კიდევ სამი თარიღი გვრჩება: 10 ივნისი, 12 აგვისტო და 9 სექტემბერი. სექტემბრის ამ რიცხვში ევროპიდან ერთადერთი ისლანდიაა, რომელიც ისვენებს, თუმც შესაძლოა, ამ დღეს იაპონიას ვეთამაშოთ. კუპერის და ჩვენი სურვილიცაა, რომ ნაკრებმა, რაც შეიძლება, მეტი მატჩი ჩაატაროს საქართველოში — ეს იმიტომ, რომ გულშემატკივარმა ცოცხლად ნახოს საყვარელი გუნდი, მეტად შეეჩვიოს...

**— პეტარ სეგრტი კვლავაც ფედერაციის ტექნიკური დირექტორია. ამ პოსტზე მისი დარჩენა-წასვლის ამბავი როდის გაირკვევა?**

— სეგრტთან გვექნება მოლაპარაკება. როგორც კი საკითხი გადაწყდება, ყველა გაიგებთ, ჯერჯერობით ამ მხრივ სიახლე არაა.

**ილია ნანობაშვილი**

## ჯოვანი ტრაპატონიმ ფრთხილად დაიწყო

# ეს არ არის ის საქართველო!




„ყველა ფეხბურთელს ვაფრთხილებ: საქართველოს ნაკრები ის აღარ არის, მაინცში რომ მოვუგეთ. ექტორ რაულ კუპერი ახლა უკეთ იცნობს თავის გუნდს, მაშინ კი ჯერ ახალჩაბარებული ჰყავდა ნაკრები" — ეს ჯოვანი ტრაპატონის სიტყვებია.

ირლანდიის ნაკრების იტალიელმა სპეციალისტმა პრესკონფერენცია მოაწყო და 11 თებერვლის მატჩისთვის 25-კაციანი გაფართოებული შემადგენლობა გამოაცხადა.

11 თებერვალი, 22:45 საათი, დუბლინის 82 300-იანი „ქროუკ პარკი". ვეებერთელა ტრიბუნების წინ „ჯვაროსნები" მუნდიალ-2010-ის შესარჩევი ციკლის მეხუთე მატჩს გამართავენ.

ირლანდიას სამი მატჩიდან შვიდი ქულა აქვს, საქართველოს კი ოთხიდან — ორი. ასე რომ, ფავორიტზე ლაპარაკიც ზედმეტია, მით უმეტეს, რომ „კელტებმა" ამ ციკლის პირველ მატჩში გერმანულ მაინცში ჩვენებს 2:1 სძლიეს.

მაგრამ...

ისევ ტრაპატონის სიტყვები: „მე ვნახე საქართველოს თამაში ბულგარეთთან. მასპინძლებმა ათი თავით აჯობეს მეტოქეს. თქმა არ უნდა, საქართველო ძლიერი „ოპოზიციაა", თუმც ჩვენი მიზანი მხოლოდ მოგებაა. იტალიასთან მატჩს 10 ქულით რომ შევხვდეთ, ეს ბიჭების განწყობასაც აამაღლებს".

მატჩის ბილეთები 22 იანვრიდან გაიყიდება, ირლანდიის ფეხბურთის ასოციაციამ 1 500 ბილეთი უკვე დაარიგა უფასოდ — ფან-კლუბის წევრებისთვის.

„გულშემატკივრების მხარდაჭერა ძალიან ბევრს ნიშნავს. ვიმეორებ, ის თამაში, რაც მაინცში ვაჩვენეთ, შესაძლოა, წარმატების გარანტი ვერ გახდეს. იმედი მაქვს, ჩემს ფეხბურთელებს არ დავიწყებიათ ის სამუშაო, რაც ბოლო ექვსი თვის განმავლობაში შევასრულეთ" — ამბობს „ტრაპი".

ირლანდიაში აღნიშნავენ, რომ როი კინის წასვლის შემდეგ მათ ასეთი ძლიერი ნაკრები აღარ ჰყოლიათ.

სათებერვლო 25-კაციანი სიიდან მხოლოდ ორია ისეთი, ინგლისურ კლუბებში რომ არ თამაშობს: მარჯვენა ნახევარმცველი ეიდენ მაკგიდი გლაზგოს „სელტიკშია", მარჯვენა მცველი სტივ ფინანი კი „ესპანიოლში" ირჯება.

ჯოვანი ტრაპატონის ხუთი თავდამსხმელიდან სამნი ინგლისურ „რედინგში" თამაშობენ, თუმც მათგან საუკეთესო, ცხადია, კევინ დოილია — თითქმის მუდმივად, ირლანდიელთა თავდასხმის წყვილს დოილი-რობი კინი შეადგენენ...

აი, სიაც:

*მეკარეები:* შეი გივენი (ნიუკასლი, ინგლისი), დინ კილი (ვესტ ბრომვიჩი, ინგლისი), კირენ ვესტვუდი (ქოვენტრი, ინგლისი);

*მცველები:* ალექს ბრიუსი (იფსვიჩი, ინგლისი), დემიენ დელანი (ქუინზ პარკი, ინგლისი), ჯონ ოში (მანჩესტერი, ინგლისი), კევინ ფოლი (ვულვზი, ინგლისი), პოლ მაკშეინი (სანდერლენდი, ინგლისი), რიჩარდ დანი (მანჩესტერ სიტი, ინგლისი), სტივენ კელი (ბირმინგემი, ინგლისი), სტივ ფინანი (ესპანიოლი, ესპანეთი), კევინ კილბეინი (ჰალი, ინგლისი);

*ნახევარმცველები:* ეიდენ მაკგიდი (სელტიკი, შოტლანდია), დემიენ დაფი (ნიუკასლი, ინგლისი), დარონ გიბსონი (მანჩესტერი, ინგლისი), გლენ ველანი (სტოკი, ინგლისი), კიტ ენდრიუსი (ბლექბერნი, ინგლისი), ლაიამ მილერი (ქუინზ პარკი, ინგლისი), სტივენ ჰანტი (რედინგი, ინგლისი), ენდი კიოგი (ვულვზი, ინგლისი);

*თავდამსხმელები:* რობი კინი (ლივერპული, ინგლისი), კალებ ფოლანი (ჰალი, ინგლისი), კევინ დოილი (რედინგი, ინგლისი), შეინ ლონგი (რედინგი, ინგლისი), ნოელ ჰანტი (რედინგი, ინგლისი).

**ილია ნანობაშვილი**

## 1995 წლიდან: კუპერი ტოპ ვეზშია




### იქ, სადაც ფერგიუსონი და... ტოპმიოლერია!

**ბოლო** 13 წლის განმავლობაში მიღწეული შედეგებით ექტორ რაულ კუპერი მსოფლიოში მე-16 მწვრთნელია: ეს მსოფლიო ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ასოციაციამ გამოაქვეყნა.

დასახელებულია 100 საუკეთესო სპეციალისტი, რომლებიც ამ პერიოდის განმავლობაში საუკეთესონი იყვნენ.

კუპერი მე-16-მე-17 ადგილებს იყოფს ესპანელ ვისენტე დელ ბოსკესთან ერთად, რომელმაც მადრიდის „რეალს" ორჯერ მოაგებინა ჩემპიონთა ლიგა.

კუპერმა კი, შეხსენება რად გინდათ, „ვალენსიაში" მუშაობისას ერთხელ სწორედ დელ ბოსკეს გუნდთან წააგო ლიგის ფინალი, რომლის შემდეგ მიუნხენის „ბაიერნთან" პენალტებით დამარცხდა. „რეალამდე" ერთი წლით ადრე კი „მალიორკა" გაიყვანა თასების თასის ფინალში და იქ „ლაციოსთან" დათმო.

ტოპ-ასეულშია საქართველოს ნაკრების ყოფილი თავკაცი კლაუს ტოპმიოლერიც — 54-ე-62-ე საფეხურებზეა.

13-წლეულის საუკეთესო სპეციალისტად ალექს ფერგიუსონი აღიარეს, რომელსაც მარჩელო ლიპი და არსენ ვენგერი „მისდევენ".

**ილია ნანობაშვილი**

| | | |
|---|---|---|
| 1. ალექს ფერგიუსონი | შოტლანდია | 78 |
| 2. მარჩელო ლიპი | იტალია | 58 |
| 3. არსენ ვენგერი | საფრანგეთი | 53 |
| 4. გუს ჰიდინკი | ჰოლანდია | 45 |
| 5. სვენ გორან ერიქსონი | შვედეთი | 41 |
| 6. ჟოზე მოურინიუ | პორტუგალია | 40 |
| 7. ოტმარ ჰიცფელდი | გერმანია | 39 |
| 8. ლუიშ ფელიპე სკოლარი | ბრაზილია | 38 |
| 9. მარსელო ბიელსა | არგენტინა | 34 |
| ფრანკ რაიკარდი | ჰოლანდია | 34 |
| ... | | |
| 16. ექტორ რაულ კუპერი | არგენტინა | 23 |

## კვირის ქრონიკა

### იაშვილმა აალენი დახუთა

**ალექსანდრე იაშვილი** „კარლსრუეს" ტესტ-მატჩში გოლით შეეწია. მისმა გუნდმა 5:0 სძლია „აალენს" და ჩვენიანმა 89-ე წუთზე მიითვალა ბოლო გოლი.

„იაშკამ" მეორე ტაიმი გაატარა მინდორზე — და სილვა შეცვალა.

### ლილუაშვილი უკრაინაში

**24 წლის** ქართველი თავდამსხმელი ირაკლი ლილუაშვილი სლოვაკურ „ნიტრაში" გახლდათ და არცთუ ცუდად თამაშობდა, თუმცა რატომღაც უკრაინაში წავიდა — მეორელიგელ ალჩევსკის „სტალში" ისინჯება.

კაცია და გუნებაო, როგორც იტყვიან.

ისე კი, დაბალლიგელ „სტალში" გასინჯვაზე ყოფნა რამდენად პროგრესია, თავად განსაჯეთ...

### თარგამაძის ორი ტესტი

**„ფრაიბურგმა"** მორიგი ტესტ-მატჩი გამართა და „შტუტგარტს" 2:2-ზე გაეყარა. დავით თარგამაძე 79-ე წუთზე შევიდა მინდორზე, როცა მისიანები 2:1 იგებდნენ, თუმცა „შტუტგარტმა" ჩვენიანის შესვლისთანავე გაათანაბრა.

მორიგ თამაშში კი „ფრაიმ" 4:3 სძლია „ზანდჰაუზენს". თარგამაძე 71-ე წუთზე შევიდა შეცვლაზე.

### მაისურაძე ვიტებსკში ისინჯება

**ბელარუსულ** „ვიტებსკში" ქართველი ფეხბურთელი ირაკლი მაისურაძე ისინჯება.

გასულ სეზონში 20 წლის მაისურაძე მინსკის „მტზ-რიპოში" ირიცხებოდა, თუმცა ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდებოდა.

### კეტაშვილმა შვილი გაავოსტოკა

**ფეხბურთში** ერთადერთი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონის, გელა კეტაშვილის შვილი, 21 წლის გიორგი ყაზახეთის უსტ-კამენოგორსკის „ვოსტოკშია". ის ჯერჯერობით ისინჯება და ვნახოთ, გახდება თუ არა ზვიად ჯელაძის თანაგუნდელი.

გიორგი კეტაშვილი ამპლუით მცველია, ბოლოს თბილისის „მერანში" თამაშობდა.



# ჭანტურია გამართლდა!

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციის ფეხბურთელთა სტატუსისა და ტრანსფერების კომისიამ 22 იანვარს განიხილა „ზესტაფონის“ ყოფილი მეკარის გიორგი ჭანტურიას საჩივარი და დააკმაყოფილა კიდეც.

ამგვარად, „ზესტაფონს“ ფეხბურთელისთვის 14,5 თვის ხელფასის ერთ თვეში გადახდა დაევალა.

ეს ის თანხაა, რომელიც „ზესტაფონს“ ჭანტურიასთვის ხელშეკრულების ამოწურვამდე (2009 წლის 31 დეკემბრამდე) უნდა გადაეხადა.

კომისიის სხდომის ვერდიქტი ასეთია:

1. ფიფას ფეხბურთელთა სტატუსისა და ტრანსფერების წესების, საქართველოს შრომის კოდექსისა და სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონს“ დაევალოს, ფეხბურთელ გიორგი ჭანტურიას აუნაზღაუროს კონტრაქტით დარჩენილი 14,5 თვის ხელფასი ერთი თვის ვადაში.

2. ფეხბურთელი კლუბიდან გათავისუფლდეს და მიეცეს თავისუფალი ფეხბურთელის სტატუსი.

3, უარი ეთქვას ფეხბურთელ გიორგი ჭანტურიას დამატებით 10 000 აშშ დოლარის მიღებაზე, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასა და საქართველოს პროფესიულ ფეხბურთის ლიგაში შესაბამისი დოკუმენტების დაურეგისტრირებლობის გამო.

მოკლედ, ეს სკანდალური საქმე საბოლოოდ დასრულდა და ახლა ჭანტურიას სრული უფლება აქვს, სხვა გუნდში ითამაშოს.

შეგახსენებთ, რომ ჭანტურიამ „ზესტაფონში“ ბოლოს 2008 წლის 28 ოქტომბერს, „ბორჯომთან“ 1:1 დასრულებულ შეხვედრაში ითამაშა და კლუბის პრეზიდენტ ილია კოკაიასთან კონფლიქტიც ამ თამაშის შემდეგ მოუვიდა.

და ერთიც: უკვე გადაწყვეტილია, რომ ჭანტურია სეზონის ბოლომდე ბოლნისის „სიონში“ ითამაშებს.

**კახა შალამბერიძე**

# შვიდი ქართველი და სამი გოლი

**თურქულ** შეკრებაზე მყოფი მახაჩყალის „ანჟი“ ამხანაგურად გაეჯიბრა მოსკოვის „დინამოს“ და 1:1-ზე გაეყარა.

ედიკ საჯაიამ სრულად ითამაშა, ზურაბ არზიანი და გოჩა ხოჯავა პირველი ტაიმის შემდეგ შეცვალეს, კახა ალადაშვილი და ოთარ მარცვალაძე — მე-60 წუთზე, გიორგი ნავალოვსკი კი 70-ეზე.

მახაჩყალელთა კიდევ ერთი ქართველი, სანდრო იაშვილი შესვენების შემდეგ გამოჩნდა მოედანზე.

ამის შემდეგ „ანჟიმ“ კიდევ ერთი მატჩი გამართა და აზერბაიჯანული „ქარვანი“ 5:2 დაამარცხა.

ოთარ მარცვალაძემ დუბლი შეასრულა, სანდრო იაშვილმა კი ერთი გოლი გაიტანა.

მარცვალაძემ, გიორგი ნავალოვსკიმ, კახა ალადაშვილმა და გოჩა ხოჯავამ პირველი ტაიმი ითამაშეს, იაშვილი და ედიკ საჯაია კი მეორე ტაიმში გამოჩნდნენ.

**კახა შალამბერიძე**

# მათე შალკესთან დაბრუნდა

**ესპანურ** შეკრებაზე მყოფმა ჩვენთვის საინტერესო გერმანულმა კლუბებმა ერთმანეთთან ტესტ-მატჩი გამართეს, თუმც ჩვენიანთა დუელი არ შედგა: მათე ღვინიანიძის „მიუნხენ 1860“ ლევან კობიაშვილ-ლევან ყენიას გარეშე მოთამაშე „შალკეს“ 2:2 გაეყარა.

„ხუმარათა“ ქართველებს ტრავმა აწუხებთ, დაშავებული იყო ღვინიანიძეც, რომელმაც მიუნხენელთა წინა ორი ამხანაგური შეხვედრა გამოტოვა, თუმც ამჯერად მეორე ტაიმში შევიდა მინდორზე.

**ილია ნანობაშვილი**

გასულ სეზონში დავით მუჯირს სათამაშო დრო მწირი ჰქონდა, თუმცა პრემიერლიგის ბოლო ოთხ მატჩში საკმაოდ კარგად ითამაშა და მოსკოვის „სპარტაკს“ გადამწყვეტი გოლიც გაუტანა. 29 წლის ქართველი ფეხბურთელი ახლა თურქეთშია შეკრებაზე „ლოკომოტივთან“ ერთად, სადაც „სპორტ-ექსპრესს“ ესაუბრა...



# ჟურნალისტობაზე არ ვფიქრობ

## დავით მუჯირი: დავით მუჯირი მაკრიტიკებს და დავით მუჯირს ვაკრიტიკებ...

**— „ლოკომოტივში“ ჩატარებულ პირველ სეზონს თქვენთვის წარმატებულს ვერ ვუწოდებთ...**

— ფაქტობრივად არ მითამაშია, რადგან გუნდის მთავარი მწვრთნელი რაშიდ რახიმოვი ძირითად შემადგენლობაში ჩემს ადგილს ვერ ხედავდა. მას ჩემი იმედი სეზონის მეორე ნახევარში ჰქონდა, მაგრამ საწყენი საყოფაცხოვრებო ტრავმა მივიღე. თავდაპირველად ფეხზე დახედვისაც კი შემეშინდა და ისიც გავიფიქრე, ფეხბურთს ველარასოდეს ვითამაშებ-თქო. კიდევ კარგა, ყველაფერმა კარგად ჩაიარა. მომხდარიდან ორი თვის თავზე, რახიმოვმა „რკინიგზის თასზე“ ლონდონის „ჩელსისთან“ შეხვედრაში ათი წუთით შემიყვანა. ცოტა ხანში რუსეთის თასზე ლიპეცკის „მეტალურგთანაც“ ვითამაშე და გოლი გავიტანე. თუმცა, ეტყობა, მწვრთნელი მაინც ფრთხილობდა და არ სურდა, დიდი ხნის უთამაშებელი ფეხბურთელი ძირითად შემადგენლობაში დაეყენებინა. ამასთან ერთად, „ლოკომოტივი“ ჩემპიონატში საპრიზო ადგილის დაკავების და ევროტურნირებზე მოხვედრის შანსს თანდათან კარგავდა. სეზონის მიწურულს, ხუთიდან ხუთი თამაში უნდა მოგვეგო, რათა უეფას თასზე მოვხვედრილიყავით, რაც ვერ შევძელით. საბოლოოდ, ქულალა დაგვაკლდა, რაც გულდასაწყვეტია...

**— გუნდში რაშიდ რახიმოვის ინიციატივით მოხვდით და მიუხედავად ამისა, თამაში მაინც იშვიათად გიწევდათ...**

— რახიმოვი ჩემს პოტენციალს ავსტრიის ჩემპიონატსა და „კრილიაში“ ჩატარებული თამაშებით აფასებდა. ვინაიდან იმ ფეხბურთელების სიაში არ მოვხვდი, რომელთა გაშვებასაც აპირებენ, ალბათ, მწვრთნელს ჩემი იმედი კვლავ აქვს. ძნელია, მთელი სეზონის განმავლობაში შანსს ელოდო და შემდეგ მის გამოყენებას ეცადო. მოხარული ვარ, რომ ჩემპიონატის ფინიშზე ეს გამომივიდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამჟამად, თურქეთში შეკრებაზე ნამდვილად არ ვიქნებოდი.

**— შეკრებაზე დატვირთვებს როგორ უძლებთ?**

— ფეხბურთელები 18 დეკემბრიდან ინდივიდუალურად ვვარჯიშობდით და აქედან გამომდინარე, მწვრთნელმა თავიდანვე დიდი დატვირთვა მოგვცა. დაღლილობას ვგრძნობ, მაგრამ ეს ნორმალურია. წუწუნის დრო არ არის — სეზონისთვის უნდა მოვემზადოთ.

**— მართალია, რომ თავის დროზე, გრაცის „შტურმში“ რეკომენდაცია რახიმოვმა გაგიწიათ?**

— ავსტრიის ჩემპიონატში პოსტსაბჭოური სივრციდან არც თუ ბევრი ფეხბურთელი თამაშობდა — ჩერჩესოვი „ტიროლში“ და იურანი „შტურმში“. ჩემს მომავალ კლუბს რახიმოვის გადაყვანა უნდოდა, მაგრამ „ადმირადან“ მან კარიერა „როდში“ გააგრძელა. თუმცა „შტურმის“ ხელმძღვანელობამ მას ჩემს შესახებ ინფორმაციის მიწოდება მაინც სთხოვა, რაც ნორმალური პრაქტიკაა. 2006 წელს კი, „კრილიაში“ რომ გადავდიოდი, მთავარი მწვრთნელი გაჯი გაჯიევი „ტიროლში“ მომუშავე ჩერჩესოვს დაეკითხა ჩემს თაობაზე. რადგან რუსეთის ჩემპიონატი უკვე იწყებოდა, ჩემს გასასინჯად დრო აღარ იყო.

**— „ლოკომოტივის“ თავკაცის ამჟამინდელ თანაშემწეებს, ალფრედ ტატარს და გერჰარდ ჰიტცელს ადრეც იცნობდით?**

— არა. მიუხედავად ამისა, გუნდის სხვა ფეხბურთელებისგან განსხვავებით, მათთან ურთიერთობა მიადვილდება, რადგან გერმანული ვიცი.

**— გუნდში სტანისლავ ივანოვის გამოჩენას როგორ შეხვდით?**

— ფეხბურთი საოცარია. ტირასპოლის „შერიფში“, სადაც „შტურმში“ გადასვლამდე ორი წელი გავატარე, ივანოვთან ვმეგობრობდი და ვერც კი ვიფიქრებდი, რომ ათი წლის შემდეგ ჩვენი გზები კვლავ გადაიკვეთებოდა. იმედი მაქვს, ის ადაპტაციას მალე გაივლის და დაგვეხმარება.

**— ზოგ თანაგუნდელს სერბულ-ხორვატულად ესაუბრებით. როგორც ცნობილია, ეს ენა „შტურმში“ თამაშისას ისწავლეთ...**

— „შტურმში“ რომ ჩავირიცხე, გუნდს ბოსნიელი ივიცა ოსიმი წვრთნიდა. მოგვიანებით, ის სერბმა მიხაილო პეტროვიჩმა შეცვალა. გარდა ამისა, ყოფილი იუგოსლავიიდან კლუბში ბევრი ფეხბურთელი თამაშობდა, რომლებსაც მენტალიტეტის მსგავსების გამო ადვილად დავუახლოვდი. ავსტრიაში ჩასვლისას გერმანული არ ვიცოდი და ამ ენაზე ისინიც გაჭირვებით საუბრობდნენ, ინგლისური კი საერთოდ არ იცოდნენ. ამიტომ, მათთან ურთიერთობისას სერბულ-ხორვატულის სწავლა მომიხდა.

**— ინგლისური ენა საერთაშორისო ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ისწავლეთ?**

— თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში რომ ჩავაბარე, მალევე „დინამოში“ მოვხვდი და სერიოზულად სწავლის გაგრძელების საშუალება აღარ მქონდა. ინგლისურს კი სკოლაში საკმაოდ კარგ დონეზე დავეუფლე.

**— კარიერის დასრულების შემდეგ ჟურნალისტობას არ აპირებთ?**

— დედაჩემს სურდა, რომ უნივერსიტეტში ჩამებარებინა. თავდაპირველად, სპორტული ჟურნალისტობა მსურდა, მაგრამ მირჩიეს, მისაღები გამოცდები უფრო პრესტიჟულ ფაკულტეტზე ჩამებარებინა. ჟურნალისტობაზე ჯერ არ მიფიქრია, ვინაიდან საყვარელი პროფესია მაქვს, რომელიც დიდ დროს მოითხოვს.

**— საქართველოში რუსეთის ჩემპიონატს თვალს ადევნებენ?**

— დიდი ინტერესით, რადგან რუსეთის პრემიერლიგაში ბევრი ქართველი თამაშობს. სამი მათგანი — დავით კვირკველია, ლაშა სალუქვაძე და ნუკრი რევიშვილი „რუბინის“ შემადგენლობაში რუსეთის ჩემპიონები გახდნენ. „ლოკომოტივში“ ჩემ გარდა მალხაზ ასათიანი გამოდიოდა, ხოლო ნალჩიკის „სპარტაკში“ ალექსანდრე ამისულაშვილი, გოგიტა გოგუა და დავით სირაძე არიან. მიუხედავად საქართველოსა და რუსეთს შორის არსებული პოლიტიკური უთანხმოებისა, რომელთა მოგვარების იმედიც მაქვს, სპორტი მაინც სპორტად რჩება.

**— ორ ქვეყანას შორის არსებული დაძაბული პოლიტიკური ვითარება, ალბათ, ცხოვრებას თქვენც გირთულებთ...**

— რა თქმა უნდა. თბილისში პირდაპირი რეისები ისევ აკრძალეს და საქართველოში დაბრუნება აზერბაიჯანის ან თურქეთის გავლით მიწევს. ყველაზე ცუდი ისაა, რომ ჩემი ნათესავებისთვის და მეგობრებისთვის რუსეთის ვიზის მიღება პრაქტიკულად არარეალურია. კლუბი რუსეთში ცოლ-შვილის ჩამოყვანაში დამეხმარა, მაგრამ სტუმრად ვინმეს მოწვევა არ შემიძლია.

**— გამოდის, მამას თქვენი თამაშის ხილვის საშუალება არ აქვს...**

— მხოლოდ ტელევიზორში და ისიც ხანდახან. გარდა ამისა, საფეხბურთო ამბებს ტელეფონით ვარჩევთ. თუ შესაძლებლობა იქნება, მინდა, რომ გაზაფხულზე ჩამოვიყვანო.

**— მამა გაკრიტიკებთ ხოლმე?**

— საქართველოში თამაშისას მატჩის საუკეთესო ფეხბურთელიც რომ ვყოფილიყავი, ნაკლოვანებებს მაინც პოულობდა და მითითებას მაძლევდა. მისი კარგად მესმის. როდესაც საფეხბურთო სკოლაში ვარჯიშისას ჩემი უმცროსი შვილი, დავითი რაიმე შეცდომას უშვებს, მყისვე შენიშვნის მიცემის სურვილი მიჩნდება. საერთოდ, მშობელზე მეტად, შვილის წარმატება-წარუმატებლობას არავინ განიცდის.

# გიორგი ჭელიძე: მინდა, ვიღაც-ვიღაცებს მოვაკეტინო!

## ახალი ქართველი ყაზახეთში

**გიორგი ჭელიძეზე** ქართველ გულშემატკივარს დიდი იმედები ჰქონდა, მაგრამ... როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ყველაფერი ისე არ აეწყო, როგორც ვისურვებდით. არადა, მოსკოვის „ლოკომოტივში" გადასვლა და რამდენჯერმე ძირითად შემადგენლობაში გამოჩენა უკვე ბევრს ნიშნავდა. „პაჭელო" ახალგაზრდული ნაკრების წევრიც იყო და რუსეთში იხვეჭდა სახელს — ერთ-ერთ პოპულარულ ფილმშიც კი ათამაშეს ეპიზოდური როლი... მერე იყო უთამაშებლობა, დალმასვლა, იჯარა ლუგანსკის „ზარიაში" და „ზესტაფონში", სადაც თითქოს ისევ აღიდგინა ფორმა და... ბოლოს ბაქოს „ნეფთჩიში" აღმოჩნდა, სადაც ბევრი ვერაფერი გააკეთა და გუნდი დატოვა...



— ინდივიდუალურად ვემზადები და მალე ახალ გუნდშიც გადავალ. მინდა, ფორმა აღვიდგინო და ძველებურად ავთამაშდე — გვითხრა გიორგი ჭელიძემ.

— **სად აპირებ თამაშს?**

— რამდენიმე ვარიანტი მაქვს, მაგრამ ყველაზე რეალური ყაზახეთში გადასვლა ჩანს.

— **ყაზახურ „ქაისარში" შენი ძმა, ლაშა ჭელიძე თამაშობს...**

— არა, ეს გუნდი არ არის. სხვა ვარიანტია.

— **მაინც?**

— ჩიმკენტის „ორდაბასი".

— **კი მაგრამ, ყაზახეთის გარდა სხვა უკეთესი ვარიანტი არ გაქვს?**

— თუ გამოჩნდა, აუცილებლად განვიხილავ. თუმცა ყაზახეთში დიდი ხნით გაჩერებას ისედაც არ ვაპირებ. მთავარია, კარგად მოვემზადო და მერე უკეთესი წინადადებებიც მექნება.

— **მოსკოვის „ლოკომოტივიდან" თავისუფალი ხარ?**

— არა, ერთ წელიწადში მიმთავრდება კონტრაქტი.

— **რატომ ვერ ითამაშე ბაქოს „ნეფთჩიში"?**

— რა ვიცი... თავიდან ვთამაშობდი, სანამ ანატოლი დემიანენკო იყო მწვრთნელი. მერე კი...

— **ფაქტია, რომ ისეთ დონეზე ვეღარ ითამაშე, რასაც გულშემატკივრები შენგან ელოდნენ. რატომ მოხდა ასე?**

— ძნელი სათქმელია. საშინლად არ გამიმართლა, ტრავმები, უთამაშებლობა... შეიძლება, მეც დავუშვი შეცდომები. შეიძლება კი არა, დავუშვი და იმედი მაქვს, მალე ყველაფერს გამოვასწორებ. ძალიან მინდა, ვიღაც-ვიღაცებს მოვაკეტინო.

— **ვის გულისხმობ?**

— ჯერ ავთამაშდე და...

— **ანუ ძველ გიორგი ჭელიძეს კიდევ ვნახავთ?**

— აუცილებლად! ღმერთის წყალობით, ამას მივაღწევ.

**კახა შალამბერიძე**

# ნოვი გოლი ნოვი სადში



**ქართველი** ფეხბურთელი მიხეილ ხუციშვილი, რომელიც აზერბაიჯანული „ოლიმპიკიდან" სერბულ „ვოივოდინაში" გადავიდა, საკონტროლო მატჩში გოლით გამოირჩა.

ნოვისადელებმა უნგრულ „კემჩეტს" 4:0 სძლიეს, ხუციშვილმა კი ძირითად შემადგენლობაში ითამაშა.

სერბეთის სუპერლიგაში „ვოივოდინას" 11 გამარჯვება აქვს და 34 ქულით მე-2 ადგილზეა.

ლიდერ „პარტიზანს" ნოვისადელები 3 ქულით ჩამორჩებიან.

**ოთარ მხეიძე**

# დნიპრო და სამი ქართველი

**დნეპროპეტროვსკის** „დნიპრო" შეკრებაზე ისრაელში გაემგზავრა.

მთავარმა მწვრთნელმა ვლადიმირ ბესონოვმა 27 ფეხბურთელი იახლა, რომელთა შორის სამივე ქართველია — ჯაბა კანკავა, ბექა გოცირიძე და სანდრო კობახიძე.

„დნიპრო" ხუთვარსკვლავიან სასტუმრო „დან აკადიაში" დაბინავდება და რამდენიმე საკონტროლო მატჩს ჩაატარებს: 25 იანვარს კირიათის „მაკაბისთან", 28 იანვარს ჰაიფას „მაკაბისთან", 3 თებერვალს რუსულ „როსტოვთან".

**კახა შალამბერიძე**

# შუშაკის ევრო-მიკა

**ერევნის** „მიკას" ჩვენთვის კარგად ნაცნობი ხორვატი სპეციალისტი, ივო შუშაკი რომ წვრთნის, გეცოდინებათ.

თბილისის „დინამოს" ექს-თავკაცს გუნდი პირველ შეკრებაზე წახკაძორში ჰყავდა, თებერვლიდან კი უცხოეთში წაიყვანს.

„მიკა" 1-18 თებერვალს ანთალიაში გაატარებს, შემდეგ კი ესპანეთში ჩავა, სადაც ევროპულ კლუბებთან საკონტროლო მატჩებს ჩაატარებს.



**ოთარ მხეიძე**

აზერბაიჯანული „სტანდარდის" ახალმა მთავარმა მწვრთნელმა **ბადრი კვარაცხელიამ**, ზამთრის მოსამზადებელ პერიოდში გუნდში მომხდარ ცვლილებებსა და სამომავლო გეგმებზე „აზერისპორტთან" ისაუბრა...



# ბაჩანამ მეუღლის გამო დაგვტოვა

## ბადრი კვარაცხელია: მეორე წრეშიც ბოლომდე ვიბრძოლებთ

— **რას იტყვით „სტანდარდის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე გატარებულ პირველ დღეებზე?**

— ჯერჯერობით ყველაფერი ნორმალურად მიდის. მზადებას ბაქოს „ნეფთჩის" ძველ ბაზაზე ვაგრძელებთ და დღეში ორჯერ ვვარჯიშობთ. რამდენიმე ახალ ფეხბურთელსაც ვსინჯავთ.

— **უკვე გამოიკვეთა კონკრეტული ფეხბურთელები, რომლებსაც მეორე წრისთვის დაიმატებთ?**

— მოთამაშეთა გარკვეულ ჯგუფს ვაკვირდებით, მაგრამ რომელი მათგანი დარჩება გუნდში, ჯერ არ გადაგვიწყვეტია. ორმა უცხოელმა ფეხბურთელმა ჩემი მოთხოვნა ვერ დააკმაყოფილა და ისინი უკვე გავაბრუნეთ სამშობლოში. ახლახან შემოგვიერთდა ურუგვაელი ცენტრალური მცველი რიკელმე, რომელიც, ვფიქრობ, გაგვაძლიერებს. მაკედონიელი ნიკოლა ტრიპუნოვსკიც საკმაოდ კარგი დონის ფეხბურთელია. საბოლოო შემადგენლობას თურქეთში შეკრებაზე გამგზავრების წინ განვსაზღვრავთ.

— **გაძლიერება განსაკუთრებით რომელ ხაზში გჭირდებათ?**

— პირველ ყოვლისა, შეტევაში. ამჟამად „სტანდარდს" წინა ხაზში პრობლემები აქვს. რაც შეეხება სხვა პოზიციებს, იქ გაცილებით უკეთესი ვითარებაა.

— **გუნდის ყოფილი მთავარი მწვრთნელის, კახა ცხადაძის შვილი, ბაჩანა „სტანდარდში" რატომ არ დარჩა?**

— ბაჩანას მეუღლე ფეხმძიმედაა და ფეხბურთელს მისი მარტო დატოვება არ სურდა...

— **გუნდს რა გეგმები აქვს?**

— 25 იანვარს შეკრებაზე თურქეთში გავემგზავრებით, სადაც ამხანაგურ მატჩებს მახაჩყალის „ანჟისთან", სლოვაკურ „ჟილინასთან" და რუმინულ „ვასლუისთან" ჩავატარებთ.

— **მეორე წრეში რა შედეგი დაგაკმაყოფილებთ?**

— ზოგი ამბობს, რომ მეორე წრეში სტატისტების როლში ვიქნებით. თუმცა მინდა აღვნიშნო, რომ ძირითადი ბირთვი შენარჩუნებულია და ბრძოლას ბოლომდე ვაპირებთ. ჩვენ მხოლოდ იმ ფეხბურთელებმა დაგვტოვეს, რომლებმაც იმედები ვერ გაამართლეს.

# გოგობერიშვილი: ყარაბახიდან ბაქოში

**32 წლის** ალეკო გოგობერიშვილი აგდამის „ყარაბახიდან" ბაქოს „ოლიმპიკში" გადავიდა.



ქართველ ნახევარმცველს კარგი სეზონები ჰქონდა „ბაკიში", თუმც „ყარაბახში" ვეღარ ითამაშა ჩვეულად და აკი, გუნდს დააშორეს კიდეც.

„ოლიმპიკში" „გოგობერას" რომან ახალკაცი და რევაზ გეწაძე დახვდნენ.

ბაქოელებმა ტესტ-მატჩში სამარის „კრილია სოვეტოვს" 4:2 სძლიეს და ახალკაცმა დუბლი მიითვალა.

**ილია ნანობაშვილი**

# ინწკირველი? ქარვანში!

**თბილისის** „დინამოდან" აბარგებული მცველი ალექსანდრე ინწკირველი აზერბაიჯანულ „ქარვანში" გადავიდა.

მხარეებმა კონტრაქტი ერთი წლით გააფორმეს.

აღსანიშნავია, რომ „დინამოში" გადასვლამდე ინწკირველი სწორედ „ქარვანში" თამაშობდა...

შეგახსენებთ, რომ ამ გუნდში ექსამერელი ნახევარმცველი მიხეილ მესხი ირიცხება.

**კახა შალამბერიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა





სარბიელის არქივიდან

# არჩილ არველაძე: ტრადიციები მაინც ბევრს ნიშნავს

2008 წლის ბოლოს თბილისის ფეხბურთის ფედერაციამ ჩაატარა გამოკითხვა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სპეციალისტებმა, ვეტერანმა ფეხბურთელებმა და ჟურნალისტებმა. ამ გამოკითხვით, წლის საუკეთესო საფეხბურთო სკოლად 35-ე საჯარო სკოლა დასახელდა. ამ სკოლის დირექტორი კი არჩილ არველაძეა, ვისაც ეს ინტერვიუ „ფონდი არველაძეს" ვებგვერდმა ჩამოართვა...

**— თქვენი სკოლა საუკეთესოდ დაასახელეს, რაც, ცხადია, შემთხვევით არ მომხდარა...**

— ვფიქრობ, ჩვენთან ოთხი-ხუთი გამორჩეული სკოლაა და საუკეთესოც მათგან იყო ასარჩევი, მაგრამ, რადგან ბავშვთა საუკეთესო მწვრთნელად გუბაზ დოლიძე დასახელდა, ხოლო საუკეთესო გუნდად მისი ბავშვები (1994-95 წლებში დაბადებულები), ამ ფაქტორმაც მნიშვნელოვნად განაპირობა, რომ საუკეთესო სკოლად 35-ე სკოლა მიიჩნიეს.

**— რამდენად კანონზომიერი იყო 35-ე სკოლის საუკეთესოდ დასახელება ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით?**

— ამ მხრივ სხვებთან დიდი უპირატესობა აქვს რამდენიმე სკოლას და მათ შორის, ჩვენც. მოწინავეებად უნდა ჩავთვალოთ „ოლიმპი", კარლო მჭედლიძის და თენგიზ სულაქველიძის სახელობის აკადემიები. არიან ისეთი სკოლებიც, დიდი მოედანი რომ არ აქვთ, თუმცა ნორმალურად მუშაობენ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ტრადიციები ბევრს ნიშნავს და ამ მხრივ ჩვენს სკოლას მხოლოდ „ნორჩი დინამოელი" თუ შეედრება.

**— რა არის 35-ე სკოლის ხელწერა?**

— ამ სკოლას ადრეც ჰქონდა და ახლაც აქვს საკუთარი ხელწერა — ტექნიკა.

— ტექნიკა არაერთი ქართული სკოლის ხელწერა იყო, თუმცა ეს ყველამ ვერ შეინარჩუნა. ადრე ტექნიკური ფეხბურთელები თბილისის „დინამოში" ზღვისპირეთიდანაც მოდიოდნენ. თქვენი სკოლა თუ ეძებს გამორჩეული ტექნიკით დაჯილდოებულ ბავშვებს დასავლეთ საქართველოში?

— სამეგრელოდან და საერთოდ დასავლეთ საქართველოდან ჩვენთან საკმაოდ ბევრი ბავშვია — ზოგი თვითონ მოდის, ზოგიც ჩვენ შევარჩიეთ. სელექციას დიდ ყურადღებას ვუთმობთ. თუ სადმე შევნიშნავთ ნიჭიერ ბავშვს, ვცდილობთ, ჩვენთან მოვიყვანოთ.

**— 35-ე სკოლის ერთ-ერთ მოედანზე, რომელსაც კარგა ხნის წინ „მარაკანა" შეარქვეს, ხელოვნური საფარის დაგებას აპირებდით — საქმე წინ არ წასულა?**

— გრუნტის მომზადება მიმდინარეობს საფარის დასაგებად. თუ რამ გაუთვალისწინებელი არ მოხდა, მოედანი ექსპლუატაციაში მაისიდან შევა. რაც უნდა მოხდეს, წლეულს ეს მოედანი აუცილებლად მზად იქნება.

**— „ფონდი არველაძეს" საქმიანობაში სიახლე რა არის?**

— ალბათ უკვე იცით, რომ მაისში 1997 წელს დაბადებულ ბავშვთა ნაკრები ამსტერდამში გაემგზავრება საერთაშორისო ტურნირზე, რომელსაც ჩემპიონთა ლიგის მომავალსაც კი უწოდებენ. ამ გუნდმა ვარჯიში უკვე დაიწყო 35-ე სკოლაში მწვრთნელ ნოდარ აკობიას ხელმძღვანელობით. ამ ტურნირზე ჩვენს გუნდს, სავარაუდოდ, „ჯორჯია" ერქმევა. მოთამაშეთა ბირთვი ჩამოყალიბებულია, თუმცა სელექცია არ დასრულებულა.

„სარბიელი" აგრძელებს საფეხბურთო სკოლებში არსებული მდგომარეობის გაცნობას. ამჯერად „ამერის" სკოლას ვესტუმრეთ და სკოლის უფროს მწვრთნელ როსტომ თორღაშვილს გავესაუბრეთ...



ნუგზარ სუხიაშვილის ფოტო

# სიმართლეს თვალებში ჩავხედოთ: ნიჭიერთა რაოდენობა კლებულობს

## როსტომ თორღაშვილი: მცოდნე მწვრთნელი ბავშვს არ დაღუპავს

— სკოლის უფროსი მწვრთნელი ვარ და 1994 წელს დაბადებულ მოზარდებსაც ვწვრთნი.

**— მწვრთნელის ლიცენზიას თუ ფლობთ?**

— მწვრთნელობა დიდი პასუხისმგებლობაა და პროფესიონალი თუ არ ხარ ამ საქმეს არ უნდა გაეკარო. მე B და A ლიცენზიებს ვფლობ.

**— თქვენი სკოლაც თვითდაფინანსებაზეა და რამდენს იხდის ერთი ბავშვი?**

— 25 ლარს.

**— შეღავათები თუ არის გაჭირვებულ ოჯახებზე?**

— რა თქმა უნდა. მე მთელი სკოლის ბავშვების მდგომარეობას ვეცნობი და შესაბამისად, შეღავათებსაც ვუკეთებთ. ნიჭიერ ბავშვებს კი საერთოდ ვათავისუფლებთ გადასახადიდან.

**— რამდენი ხანია, რაც მწვრთნელობა დაიწყეთ?**

— 1999 წელს ფეხბურთელის კარიერა დავასრულე და მალევე დავიწყე მწვრთნელობა. ფეხბურთზე უზომოდ ვარ შეყვარებული და მწვრთნელობა თავიდანვე გადაწყვეტილი მქონდა.

**— როგორ ფიქრობთ, საქართველოში საფეხბურთო სკოლებში მწვრთნელების განათლება რა დონეზე დგას?**

— სამწუხაროდ, ბევრი გაურკვეველი პიროვნებაა ბავშვთა ფეხბურთში, რაც მხოლოდ ზიანს მოუტანს ქართულ ფეხბურთს. მცოდნე მწვრთნელი ბავშვს არ დაღუპავს, უვიცი კი კარიერას დაუმახინჯებს. აუცილებლად უნდა მოხდეს მწვრთნელთა კონტროლი და როგორც ვიცი, ფეხბურთის ფედერაცია ამ მხრივ სერიოზული ნაბიჯების გადადგმას აპირებს.

**— მწვრთნელისთვის საჭირო ახალ ინფორმაციას საიდან იღებთ?**

— ძირითადად ინტერნეტიდან ვიღებ ახალ ინფორმაციას. ისე, კარგი იქნება, თუ საქართველოში წელიწადში ერთხელ მაინც იქნება მწვრთნელთა სემინარები, ეს ძალიან წაგვადგება. სამწუხაროდ, უცხოეთში წასვლის საშუალება ამ ეტაპზე არ არის.

**— სამედიცინო შემოწმებას თუ უტარებთ მოზარდებს?**

— ვალერი ახალკაცის კლინიკაში წელიწადში ორჯერ ვამოწმებთ ბავშვების ჯანმრთელობის მდგომარეობას.

**— 1994 წელს დაბადებულ მოზარდებს წვრთნით. ფიზიკურ დატვირთვებს როგორ აძლევთ?**

— მათი კუნთები ახლა ვითარდება და დატვირთვებს, ასე ვთქვათ, ნელ-ნელა ვაპარებთ. ახლახან 10-დღიან შეკრებაზე ვიყავით ბაკურიანში. ეს მათთვის პირველი შეკრება იყო, მანამდე ამის აუცილებლობა არ არსებობდა. ისინი ახლა იწყებენ ფიზიკურ დატვირთვებს.

**— თქვენი გუნდი ელიტ-ლიგაში გამოდის და რამდენად კმაყოფილი ხართ გათამაშების ორგანიზებით?**

— ეს პირველად ტარდება და ამ ეტაპზე ნორმალურია. კალენდარი კარგად არის შედგენილი, რაც ნორმალური აღდგენის საშუალებას იძლევა. სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში ხელოვნურსაფარიან მოედანზეა თამაში, მაგრამ როგორც ითქვა, მეორე წრიდან ყველა გუნდი მინდორზე ითამაშებს.

**— ბავშვთა ფეხბურთის მთავარი პრობლემა რა არის?**

— ინფრასტრუქტურა. სახელმწიფოსგან აუცილებლად უნდა წამოვიდეს კეთილი ნება, რათა საფეხბურთო სკოლებს დაეხმაროს, სხვაგვარად წინსვლა არ იქნება.

**— საქართველოში უკვე ბევრი ამბობს, რომ ბავშვები ფეხბურთს მასობრივად აღარ თამაშობენ. როგორ ფიქრობთ, ეს მაინც რისი ბრალია?**

— ადრე ფეხბურთის გარდა სხვა გასართობი საშუალება არ იყო, ახლა კი ბავშვების უმრავლესობა კომპიუტერთანაა მიჯაჭვული. კი, დღესაც ბევრს უნდა ფეხბურთის თამაში, მაგრამ შრომა არ უნდათ, ასე კი არაფერი გამოვა.

**— რამდენად ნიჭიერი თაობა მოდის?**

— სიმართლეს თვალებში უნდა ჩავხედოთ — ნიჭიერი მოზარდების რაოდენობა აშკარად კლებულობს.

**ნუკრი ლოლაძე**



ნუგზარ სუხიაშვილის ფოტო

# ლეინის რაზმს კაცი გამოაკლდა

## ჯონა ნამუ ლელოებს გზაში დაეწევა



**საქართველოს** ნაკრები ერთა თასისთვის მზადებას იწყებს. „ლელოების" ავსტრალიელი თავკაცი ტიმ ლეინი თბილისში 27 იანვარს ჩამოვა და სანაკრებო სიას ჩამოიტანს.

ჩვენები 1 თებერვალს საფრანგეთში ჩაელენ და ვარჯიშს იქ განაგრძობენ. ნაკრებს საფრანგეთში შეუერთდება ტონგელი ფიზმომზადების მწვრთნელი ჯონა ნამუ.

სანაკრებო შემადგენლობას ლეინი ჩამოსვლისთანავე იტყვისო, ვთქვით, თუმცა ერთი ამბის დაზუსტებით თქმა ახლავე შეიძლება: მალხაზ ურჯუკაშვილი ამ ეტაპზე ბიჭების დახმარებას ვერ ახერხებს.

ჩვენები საფრანგეთიდან გერმანულ ჰაიდელბერგს 5 თებერვალს მიაშურებენ და 7-ში გერმანიასთან მატჩის შემდეგ თბილისში დაბრუნდებიან.

ნაკრები საქართველოში უკვე პორტუგალიასთან 14 თებერვალს გასამართი მატჩისთვის მზადებას გააგრძელებს.

ისიც ვთქვათ, რომ ერთა თასის დებუტანტ გერმანელებთან შოტლანდიელები გვიმსაჯებენ. შეხვედრას გრემ კოქსი, დევიდ ჯეკი და გრემ მარშალი მოემსახურებიან.

**ლევსო მაისურაძე**

# საქართველოსთან: ზოგი ფულით, ზოგი უფულოდ

**გერმანელები** 7 თებერვლის საერთათასო მატჩისთვის გულმოდგინედ ემზადებიან. მათი ნაკრები რამდენიმეწლიანი შესვენების შემდეგ დაუბრუნდა ერთა თასს და თავის გამოჩენის სურვილით არის შეპყრობილი.




გერმანიისა და საქართველოს ნაკრების თამაშს ჰაიდელბერგის „ფრიც გუნებაუმ სპორტტრეკი" უმასპინძლებს, რომელიც 5 ათას გულშემატკივარს იტევს. მატჩზე დასწრების მსურველებს 8-დან 12 ევრომდე გაღება მოუწევთ. 16-წლამდე ბავშვები კი სტადიონზე უფასოდ შევლენ. გერმანიის ნაკრების მწვრთნელები რუდოლფ ფინშტერერი და მარკ კულმანი შემადგენლობას მოგვიანებით იტყვიან.

აქვე ვთქვათ, რომ გერმანელებმა ერთა თასზე ერთი მატჩის ჩატარება უკვე მოასწრეს. ესპანეთში 11:22 წააგეს.

7 თებერვალს ნახსენები მატჩის გარდა ესპანეთი — რუმინეთის და პორტუგალია — რუსეთის დაპირისპირება შედგება.

# ხარებმა დათვებს ურქინეს

**რუსეთის** მორაგბეთა ნაკრები ერთა თასის დაწყებამდე სამხრეთ აფრიკაში მზადებას განაგრძობს. „დათვები" ქალაქ პრეტორიას სტუმრობენ და აგერ უკვე მეორე თამაში ჩაატარეს. რუსები ამხანაგურად „ბლუ ბულზის" მეორე შემადგენლობას ეთამაშნენ და 15:18 დამარცხდნენ.

ტაიმი თანაბარ ბრძოლაში გაილია და ჩვენი მეზობლების გამარჯვებით დამთავრდა — 10:7. ვლადისლავ კორშუნოვმა ლელო გაიტანა, ვიქტორ მოტორინმა კი გარდასახვა ზუსტად შეასრულა და მერე ჯარიმაც გამოიყენა. აფრიკელებმა მეტოქეს ლელო-გარდასახვით უპასუხეს.

მეორე ტაიმის საწყის წუთებში მასპინძლებმა იყოჩაღეს — ჯერ ლელო გაიტანეს, მერე კი ჯარიმა და 15:10 დაწინაურდნენ.

მატჩის დასრულებამდე ორი წუთი რჩებოდა, ნაზიმ გასაროვმა ლელოთი რომ იხეირა და ანგარიში გაათანაბრა, თუმცა რუსები წაგებას მაინც ვერ ასცდნენ — დამატებულ წუთებზე აფრიკელებმა ჯარიმით იხეირეს და გამარჯვებაც მათ დარჩათ.

საქართველოს ნაკრები რუსებს, რაგბის საბჭოს გადაწყვეტილებით, უკრაინის ქალაქ მარიუპოლში დაუპირისპირდება. მატჩი 21 მარტს შედგება.

**ნიკა ძოწაძე**

# ხელფასის მოკლება აბა, ვის უნდა...

**ინგლისის** მორაგბეთა პრემიერლიგის კლუბებმა სახელფასო ფონდის მაქსიმალური ზღვარის 4 მილიონიდან 3,5 მილიონ გირვანქამდე შემცირებაზე უარი თქვეს.

საქმე ის არის, რომ სახელფასო ფონდის ზედა ზღვარი კლუბებს ამ ათიოდე წლის წინ დაუწესეს და თავდაპირველად 2,2 მილიონი იყო, ამჟამად კი ნახსენები 4 მილიონია და მსოფლიო კრიზისის გამოისობით, არალეალურ თანხად მოჩანს.

ინგლისური რაგბის ბოსები ვარაუდობდნენ, რომ ხელფასების შემცირება კლუბებს კრიზისის დაძლევაში დაეხმარებოდა, მაგრამ ჯამაგირის დაკლება, აბა, ვის უნდა.

და გამოსავალი?

კლუბები პრობლემების მოგვარების გზად მატჩების რაოდენობის გაზრდაში ხედავენ, მაგრამ ამას უკვე იქაური რაგბის ასოციაცია ეწინააღმდეგება, აქაოდა, ამდენი თამაში მორაგბეებს გამოფიტავს და სანახაობრივი მხარე იზარალებსო.

ისიც ითქვა, რომ ამ სეზონში ინგლისური კლუბების ზარალი 12-20 მილიონი გირვანქა იქნება. შარშან კი პრემიერლიგის 12 კლუბიდან 9 წაგებაში დარჩა.




# დედოფალმა ჩემპიონთან დაგვაწყვილა

**მსოფლიოს** თასზე საქართველოს შვიდკაცა ნაკრების მეტოქეები გაირკვა. ჩვენი მორაგბეები 5-7 მარტს დუბაიში B ჯგუფში ითამაშებენ. მეტოქეები კი იცოცხლეთ, გვარიანად ძლიერი შეხვდათ — მოქმედი ჩემპიონი ფიჯი, საფრანგეთი და აშშ.

კენჭისყრა დუბაის „ატლანტის ჰოტელში" მოეწყო. ცერემონიას რაგბის საერთაშორისო საბჭოს ფრანგი შეფი ბერნარ ლაპასე, არაბთა მომავალი დედოფალი ჰაია ბინთ ალ ჰუსეინი და „ემირეითს ეარლაინზის" მეპატრონე შეიხი აჰმედ ბინ საედ ალ მაქთუმი უძღვებოდნენ.

დუბაის შვიდკაცაზე 9 ნაკრები პირდაპირ მოხვდა — ფიჯი, როგორც მოქმედი ჩემპიონი და აგრეთვე: ახალი ზელანდია, ინგლისი, ავსტრალია, საფრანგეთი, სამხრეთ აფრიკა, არგენტინა, შოტლანდია და საამიროები მასპინძლის სტატუსით. დანარჩენი 15 ნაკრები კი შესარჩევი ეტაპის გავლით ითამაშებს: ურუგვაი, პორტუგალია, უელსი, ირლანდია, იტალია, საქართველო, სამოა, ტონგა, იაპონია, ჰონკონგი, აშშ, კანადა, კენია, ტუნისი და ზიმბაბვე.

მსოფლიოს თასის მატჩებს „ევანსის" სტადიონი უმასპინძლებს, რომელზეც შარშან მსოფლიოს სერიის დუბაის ეტაპი ჩატარდა.

ექვსი ოთხგუნდა ჯგუფიდან საჩემპიონო გზას პულის გამარჯვებული და ორი საუკეთესო მეორეადგილოსანი გაუყვება. სინისთვის ოთხი უარესი მეორეადგილოსანი და ოთხიც უკეთესი მესამეადგილოსანი იბრძოლებს.

ორი უარესი მესამე და ექვსივე წყალწაღებული ნაკრები ფიალასთვის თამაშს დასჯერდება.

ფიჯელთა თავკაცმა ვაისალე სერევმა კი ეს თქვა: „სუსტი ჯგუფი არცერთია, რაც შვიდკაცა რაგბის პროგრესს ადასტურებს. მეტოქეთა შეუფასებლობა არ შეიძლება. საფრანგეთის და საქართველოს ნაკრებებმა დაამტკიცეს, რომ მაღალ დონეზე თამაში ძალუძთ. ამერიკელები კი ყოველთვის ბოლომდე იბრძვიან".

**ნიკა ძოწაძე**

**შვიდკაცას მსოფლიოს თასი. 5-7 მარტი**
**დუბაი, არაბთა გაერთიანებული საამიროები**

A ჯგუფი: ახალი ზელანდია, ტონგა, საამიროები, იტალია
B ჯგუფი: ფიჯი, საფრანგეთი, აშშ, **საქართველო**
C ჯგუფი: სამხრეთ აფრიკა, შოტლანდია, კანადა, იაპონია
D ჯგუფი: სამოა, ავსტრალია, პორტუგალია, ირლანდია
E ჯგუფი: ინგლისი, კენია, ტუნისი, ჰონკონგი
F ჯგუფი: არგენტინა, უელსი, ზიმბაბვე, ურუგვაი



# ახალი ხილი ვისოლს

**სპორტკომპლექს** „ქარიშხალაში" გამართული უკონტაქტო რაგბის ტურნირი „ვისოლის" გუნდმა მოიგო, რომელმაც ფინალში „თი-ბი-სი ბანკი" დაამარცხა.

შეჯიბრში 6-6 მოთამაშით დაკომპლექტებულმა 8 გუნდმა ითამაშა. მსგავსი თამაში საქართველოსთვის ახალი ხილია. ჩვენ ქვეყანაში უკონტაქტო რაგბის დებიუტი ჰქონდა.

ტურნირზე სპორტული პრესის გუნდიც თამაშობდა და მესამე ადგილი დაიკავა.

**ნიკა ძოწაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჩემპიონები ევროპაში მიდიან

## პირველი ნომრების არყოფნაში პირველები სხვები გახდნენ



დავით ოთიაშვილი




ლუკა კურტანიძე ხალიჩას დაუბრუნდა



მძიმე წონის ფინალი

**საქართველოს** თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ჩემპიონატს შოთა ჩოჩიშვილის სახელობის ძიუდოს დარბაზმა უმასპინძლა.

ახლა ეროვნულ პირველობაზე თავგამოჩენილი მოჭიდავეებისგან სანაკრებო სია უნდა ჩამოიწეროს, რომლებიც ევროპის ჩემპიონატზე იჭიდავებენ. ეს ამბავი ნაკრების თავკაცმა ზაზა თურმანიძემ ჩემპიონატის დაწყებამდე თქვა და ცოტა უცნაურია, რატომ უგანეს შინაურ პირველობას ნაკრების წამყვანმა მოჭიდავეებმა.

რევაზ მინდორაშვილი რომ დაისვენებდა, ადრევე იყო ცნობილი. ოლიმპიურ ჩემპიონს ამის ნება მწვრთნელებმაც მისცეს. სხვა ლიდერებიდან გელა სალირაშვილი გავიდა ხალიჩაზე და ოქროს მედალიც მოიგო. დანარჩენებმა კი გულშემატკივრობა იკმარეს.

ახლადგარემონტებულ დილმის დარბაზში კომფორტის ნაკლებობა ნაკლებად იგრძნობოდა, მაგრამ ერთი მინუსი მაინც იყო. დარბაზი არ გათბა.

გულშემატკივარმა ტრიბუნები ბეჯითად შეავსო. ერთი ეგაა, მსურველი უფრო მეტი იყო, ვიდრე დარბაზი იტევდა და ამიტომ ჩემპიონატის მეორე დღეს ქომაგი ხალიჩების გარშემოც შეგროვდა. ჭიდაობა ეზხში იყო შესული და დაცვის სამსახურის მოთხოვნას, უკან დაიწიეთო, ხალხი ნაკლებად უსმენდა...

55 კგ

საქართველოს და ევროპის ჩემპიონი ჭაბუკებში, ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებში, მსოფლიოს პრიზიორი ახალგაზრდებში... ახლა ის უკვე საქართველოს ჩემპიონია დიდებში. ამ ყველაფრის მოგება ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა 17 წლისამ მოასწრო.

ეს ბიჭი ნამდვილი ბრილიანტია. შარშან საოცარი სეზონი მოილია და მისგან სპეციალისტებიც ბევრს ელოდნენ, მაგრამ ასე მალე უფროსებშიც თუ დაიდგამდა გვირგვინს, ძნელი გამოსაცნობი იყო. მაგრამ ვლადიმერმა ლამაზად და დამაჯერებლად იჭიდავა, ეჭვებიც გააქარწყლა — ჩემპიონობა გაუჭირდებაო — და ოქროს მედალი მოიგო. ფინალში გიორგი ედიშერაშვილთან წაგებული პერიოდის შემდეგ ბრძოლა სათავისოდ შეატრიალა და მომდევნო ორ პერიოდშიც იმარჯვა.

60 კგ

მალხაზ ქურდიანმა წონის ლიდერობა კიდევ ერთხელ დაადასტურა და ჩემპიონატი ზედმეტი ნერვიულობის გარეშე მოიგო. მეოთხედფინალში გიორგი ბალიაშვილი წააქცია, ნახევარფინალში კი ახალგაზრდებში ევროპის ჩემპიონი გიორგი მაყიშვილი.

66 კგ

ოთარ თუშიშვილის არყოფნაში თავის გამოჩენის საშუალება სხვებს მიეცათ. თუშიშვილი კარგად ჩაანაცვლა მეორე გორელმა მალხაზ მუზიაშვილმა. 23 წლის ბიჭი ტრავმიანობის შემდეგ დაუბრუნდა ხალიჩას და თავგამოდებითაც იჭიდავა. მუზიაშვილი ნატურნირევს ნაკრების თავკაცმაც გვიქო.

74 კგ

სხვა ლიდერებისგან განსხვავებით გელა სალირაშვილმა დასვენება არ ისურვა და ორთაბრძოლები ფინალამდე გადარბენით მოიგო. ფინალი კი რთული გამოვიდა. იქ სამი პერიოდი უქულოდ გაილია და დამატებითში მსაჯებმა ორჯერ სალირაშვილის ფერი ამოიღეს, ერთხელაც გოჩა ლომთათიძის. „სალირამ" უპირატესობა გამოიყენა.

84 კგ

ბექა ჭელიძის და ნიკო გაგნიძის ფინალი ყველაზე სანახაობრივ დაპირისპირებადაც მონათლა ზოგიერთმა გულშემატკივარმა.

პირველი პერიოდი უქულოდ გაილია და გაგნიძემ ფერის უპირატესობა შეირგო. ჭელიძემ ანგარიში მეორე პერიოდში გაათანაბრა, გადამწყვეტ პერიოდში კი ფორტუნა ისევ გაგნიძის მხარეს იყო. კვლავ მისი ფერი დაჯდა, თუმცა ჭელიძემ იყოჩაღა, ქულა აიღო და ოქროს მედალიც ჩაიხუტა.

96 კგ

36 წლის ლუკა კურტანიძე ხალიჩას დაუბრუნდა და დამაჯერებლადაც იჭიდავა. მსოფლიოს ორგზის და ევროპის ხუთგზის ჩემპიონმა ოთხი ორთაბრძოლა მოიგო.

ფინალში გიორგი ჩიქოვანმა პირველი პერიოდი კი მოუგო, მაგრამ მერე კუნტანიძემ მეტოქე დაჩაგრა. ჩიქოვანი გაბრძოლებას ცდილობდა, მაგრამ დაღლილი ჩანდა...

120 კგ

დავით ოთიაშვილმა უმთავრესი კონკურენტები, გიორგი ნიკურაძე და ალექსი მოდებაძე ორ-ორ რაუნდში ჩამოიცილა და ფინალში კობა კერესელიძეს 1,52 წამში სუფთაზე მოუგო.

*ჩემპიონატის დასრულების შემდეგ კომენტარი ნაკრების თავკაც* **ზაზა** *თურმანიძეს ვთხოვეთ:*

„ძალიან კარგი ჩემპიონატი იყო. რამდენიმე წელია, ასეთი პირველობა არ ყოფილა. ნამდვილად კმაყოფილი ვარ. მიუხედავად იმისა, რომ ბევრ წამყვან მოჭიდავეს არ უჭიდავია, დაძაბულობა მაინც იგრძნობოდა. ახალგაზრდები კარგად იყვნენ მომზადებული და თავიც წარმოაჩინეს. კარგად იჭიდავა ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა, მალხაზ მუზიაშვილმა, ბექა ჭელიძემ, თორნიკე სვანიძემ.

საევროპო შემადგენლობა ჩემპიონებისგან შედგება, თუმცა ჯერ შეკრებები გავიაროთ და დაზუსტებით მერე ვიტყვი".

*კომენტარი ლუკა კურტანიძესაც ვთხოვეთ:*

„2006 წელს მძიმე წონაში გამოვედი და ევროპის ჩემპიონატზე ბრინჯაოც ავიღე. მერე ისევ 96 კილოს დავუბრუნდი, თუმცა ამის გაკეთება რთული აღმოჩნდა. 2 წელი დამჭირდა ფორმაში შესასვლელად. ძალიან ბევრი ვიშრომე. ჩემპიონატში ბევრი ნიჭიერი მოჭიდავე იყო და გამარჯვება იოლი არ ყოფილა. მე ყოველთვის ვგრძნობდი გულშემატკივართა თანადგომას და მინდა, რომ ქართველი ხალხი კიდევ გავახარო. როგორც ვიცი, საქართველოს ჩემპიონატში გამარჯვებულებმა ევროპაზე უნდა იჭიდაონ. ვნახოთ, მწვრთნელები გადაწყვეტენ. მანამდე შეკრებები გვექნება და იქ გამოჩნდება ყველაფერი. ეს წელი ჩემთვის მნიშვნელოვანია".

**ლევან მაისურაძე**

55 კგ
1 ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (გორი)
2 გიორგი ედიშერაშვილი (თბილსი)
3 კოკა კოტორაშვილი (თბილისი)
3 გივი დავიდოვი (საჩხერე)

60 კგ
1 მალხაზ ქურდიანი (ბოლნისი)
2 მალხაზ ზარქუა (აჭარა)
3 მურთაზ კვესაძე (ქუთაისი)
3 გიორგი მაყიშვილი (გორი)

66 კგ
1 მალხაზ მუზიაშვილი (გორი)
2 ზურაბ კოტორაშვილი (თბილისი)
3 კობა კაკალაძე (აჭარა)
3 გიგა ცერცვაძე (ქუთაისი)

74 კგ
1 გელა სალირაშვილი (გორი)
2 გოჩა ლომთათიძე (თბილისი)
3 ბექა ბექაური (ბაღდადი)
3 მარად ზოიძე (აჭარა)

84 კგ
1 ბექა ჭელიძე (აჭარა)
2 ნიკო გაგნიძე (თბილისი)
3 თორნიკე სვანიძე (თბილისი)
3 ირაკლი მარსაგიშვილი (სტეფანწმინდა)

96 კგ
1 ლუკა კურტანიძე (აფხაზეთი)
2 გიორგი ჩიქოვანი (ბაღდადი)
3 ლევან სეთურიძე (სტეფანწმინდა)
3 ბელდუხ გავაშელიშვილი (ონი)

120 კგ
1 დავით ოთიაშვილი (თბილისი)
2 კობა კერესელიძე (ქუთაისი)
3 ალექსი მოდებაძე (თბილისი)
3 ლაზარე მარსაგიშვილი (თბილისი)







ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეს იყო ჩვენი ელენე? ის გედევანიშვილი სადღაც დაიკარგა



### ქალები

**მოკლე პროგრამა**

| | | |
|---|---|---|
| 1 | ლაურა ლეპისტო (ფინეთი) | 56,62 |
| 2 | სუსანა პეიკიე (ფინეთი) | 56,06 |
| 3 | კაროლინა კოსტნერი (იტალია) | 51,36 |
| 4 | ჯენა მაკკორკლი (დიდი ბრიტანეთი) | 50,00 |
| 5 | კატარინა გერბოლდტი (რუსეთი) | 48,62 |
| 6 | ივანა რეიტმაისტეროვა (სლოვაკეთი) | 48,00 |
| 25 | ელენე გედევანიშვილი (საქართველო) | 37,20 |

**თავისუფალი პროგრამა**

| | | |
|---|---|---|
| 1 | კაროლინა კოსტნერი (იტალია) | 114,06 |
| 2 | ლაურა ლეპისტო (ფინეთი) | 110,70 |
| 3 | სუსანა პეიკიე (ფინეთი) | 100,25 |
| 4 | ალიონა ლეონოვა (რუსეთი) | 98,91 |
| 5 | ანეტ დიტრტი (გერმანია) | 92,92 |
| 6 | კირა კორპი (ფინეთი) | 91,41 |

**საბოლოო შედეგი**

| | | |
|---|---|---|
| 1 | ლაურა ლეპისტო (ფინეთი) | 167,32 |
| 3 | კაროლინა კოსტნერი (იტალია) | 165,42 |
| 2 | სუსანა პეიკიე (ფინეთი) | 156,31 |
| 4 | ალიონა ლეონოვა (რუსეთი) | 143,99 |
| 5 | კირა კორპი (ფინეთი) | 139,01 |
| 6 | კატარინა გერბოლდტი (რუსეთი) | 137,05 |

**თავისუფალი** პროგრამით სრიალის უფლება მოკლე პროგრამაში გამორჩეულ 24 გოგონას ჰქონდა. ელენე გედევანიშვილი ამ 24-ში ვერ მოხვდა, მოკლე პროგრამის მერე 25-ე იყო — 0,04 ქულით ჩამორჩა შვედ ვიქტორია ჰელგესონს. თანაც ელენემ შვედს ყველაფერში აჯობა ტექნიკური ელემენტების გარდა, არადა, ელენე აქამდე ხომ სწორედ ტექნიკურ ელემენტებში იყო ძლიერი.

თუმცა, დავუშვათ, ელენეს 0,05 ქულით მეტი მიეღო და 24 საუკეთესოში მოხვედრილიყო. ამით რა, კმაყოფილები დავრჩებოდით?

ერთი კვირის წინ გვეწერა, გედევანიშვილი ევროპული რეიტინგის ათეულში რომ შედიოდა და ეს ფაქტორი წილისყრის დროსაც გათვალისწინებული იყო — ორგანიზატორებმა ქართველი გოგონა ბოლოსწინა ექვსეულში შეიყვანეს. განვმარტოთ: რაც უფრო გვიან გიწევს გამოსვლა, მით მეტი ალბათობაა, მსაჯებმა უკეთესი შეფასება მოგცენ.

თუმცა არაფერმა გაჭრა, კარგი წილისყრა კი კარგია, მაგრამ...

საქართველოს ფიგურული სრიალის ფედერაციის პრეზიდენტმა ირაკლი ჯაფარიძემაც გვითხრა ერთი კვირის წინ, ელენე ხუთეულისთვის იბრძოლებსო...

ჩემპიონი კი ფინელი ლაურა ლეპისტო გახდა, ვინაც შარშან მესამე იყო. შარშანდელმა ჩემპიონმა კაროლინა კოსტნერმა კი, თავისუფალ პროგრამაში მშვენიერი გამოსვლის მიუხედავად, მოკლე პროგრამაში ჩამორჩენა ვერ აღმოფხვრა.

### ცეკვები

**სავალდებულო პროგრამა**

| | | |
|---|---|---|
| 1 | ხოხლოვა/ნოვიცკი (რუსეთი) | 37,43 |
| 2 | ფაიელა/სკალი (იტალია) | 36,03 |
| 3 | კერი/კერი (დიდი ბრიტანეთი) | 34,89 |
| 4 | პეშალა/ბურზა (საფრანგეთი) | 34,38 |
| 5 | დომნინა/შაბალინი (რუსეთი) | 33,53 |
| 6 | კარონი/ჟოსტი (საფრანგეთი) | 33,21 |

**ორიგინალური ცეკვა**

| | | |
|---|---|---|
| 1 | ხოხლოვა/ნოვიცკი (რუსეთი) | 62,17 |
| 2 | ფაიელა/სკალი (იტალია) | 59,03 |
| 3 | კერი/კერი (დიდი ბრიტანეთი) | 57,71 |
| 4 | პეშალა/ბურზა (საფრანგეთი) | 57,56 |
| 5 | კარონი/ჟოსტი (საფრანგეთი) | 56,18 |
| 6 | კაპელინი/ლანოტე (იტალია) | 54,38 |

**თავისუფალი პროგრამა**

| | | |
|---|---|---|
| 1 | ხოხლოვა/ნოვიცკი (რუსეთი) | 97,31 |
| 2 | პეშალა/ბურზა (საფრანგეთი) | 92,90 |
| 3 | კერი/კერი (დიდი ბრიტანეთი) | 92,60 |
| 4 | ფაიელა/სკალი (იტალია) | 91,11 |
| 5 | კაპელინი/ლანოტე (იტალია) | 85,71 |
| 6 | ზადოროჟნიუკი/ვერბილიო (უკრაინა) | 80,10 |

**საბოლოო შედეგი**

| | | |
|---|---|---|
| 1 | ხოხლოვა/ნოვიცკი (რუსეთი) | 196,91 |
| 2 | ფაიელა/სკალი (იტალია) | 186,17 |
| 3 | კერი/კერი (დიდი ბრიტანეთი) | 185,20 |
| 4 | პეშალა/ბურზა (საფრანგეთი) | 184,84 |
| 5 | კაპელინი/ლანოტე (იტალია) | 172,67 |
| 6 | კარონი/ჟოსტი (საფრანგეთი) | 168,03 |

**მთავარი** მოულოდნელობა სავალდებულო პროგრამის მერე ევროპის 2008 წლის ჩემპიონების ოქსანა დომნინას და მაქსიმ შაბალინის მე-5 ადგილი იყო, რაც ერთ-ერთი ილეთის შესრულებისას წაქცევამ განაპირობა. მეორე მხრივ კი, შაბალინმა ტრავმა ახლახან მოირჩინა, მარცხენა მუხლის ბოლომდე გახსნა დღემდე უჭირს და ამდენად, შეცდომა შეგვიძლია კანონზომიერადაც მივიჩნიოთ. აი, მომდევნო პროგრამებში კი დომნინა და შაბალინი აღარ გვხვდებიან — ამჯერად დომნინა დაშავდა და წყვილი შეჯიბრს გამოეთიშა.

ჩემპიონი კი სხვა რუსული წყვილი გახდა. იანა ხოხლოვა და სერგეი ნოვიცკი შარშან მესამეები იყვნენ.



აი, ასეთი რამ შეემთხვა რუს ეკატერინა რუბლოვას სავალდებულო პროგრამის შესრულებისას. „ღმერთო, ეს რა დამემართა — თქვა გამომწვლებულმა — კაბა გამეხა და იმის მაგივრად, რომ ცეკვაზე მეფიქრა, მკერდის დაფარვაზეღა ვფიქრობდი. მადლობა ჩვენ პარტნიორ ივან შეფერს, ცდილობდა, როგორმე მომფარებოდა და მაყურებელს ჩემი გამომწვლებული სხეული ნაწილებად დაენახა". რუბლოვამ და შეფერმა სავალდებულო პროგრამაში მე-12 ადგილი დაიკავეს.



ალიონა საჟჩენკო და რობინ შოლკოვი

### წყვილები

**მოკლე პროგრამა**

| | | |
|---|---|---|
| 1 | მუხორტოვა/ტრანკოვი (რუსეთი) | 69,62 |
| 2 | საჩენკო/შოლკოვი (გერმანია) | 66,64 |
| 3 | კავაგუტი/სმირნოვი (რუსეთი) | 65,38 |
| 4 | ვოლოსოჟარი/მოროზოვი (უკრაინა) | 56,20 |
| 5 | ილუშეჩკინა/მაისურაძე (რუსეთი) | 52,42 |
| 6 | კემპი/კინგი (დიდი ბრიტანეთი) | 47,98 |

**თავისუფალი პროგრამა**

| | | |
|---|---|---|
| 1 | საჩენკო/შოლკოვი (გერმანია) | 132,43 |
| 2 | კავაგუტი/სმირნოვი (რუსეთი) | 117,39 |
| 3 | ვოლოსოჟარი/მოროზოვი (უკრაინა) | 115,14 |
| 4 | მუხორტოვა/ტრანკოვი (რუსეთი) | 112,45 |
| 5 | ილუშეჩკინა/მაისურაძე (რუსეთი) | 95,42 |
| 6 | დელა მონიკა/კოკონი (იტალია) | 89,89 |

**საბოლოო შედეგი**

| | | |
|---|---|---|
| 1 | საჩენკო/შოლკოვი (გერმანია) | 199,07 |
| 2 | კავაგუტი/სმირნოვი (რუსეთი) | 182,77 |
| 3 | მუხორტოვა/ტრანკოვი (რუსეთი) | 182,07 |
| 4 | ვოლოსოჟარი/მოროზოვი (უკრაინა) | 171,34 |
| 5 | ილუშეჩკინა/მაისურაძე (რუსეთი) | 147,84 |
| 6 | დელა მონიკა/კოკონი (იტალია) | 135,33 |

**შარშან,** როცა ალიონა საჩენკო და რობინ შოლკოვი ევროპის ჩემპიონები გახდნენ და ორი რუსული წყვილი (ისინი, ახლაც მეორე-მესამეზე რომ გავიდნენ) გვარიანად ჩამოიტოვეს, მუხორტოვას და ტრანკოვის მწვრთნელმა ოლეგ ვასილევმა დაიქადნა, გერმანელებმა თავისი შესაძლებლობები ამოწურეს და გაისად ვნახოთო. ეს „გაისად" დადგა და საჩენკო-შოლკოვის წყვილი ისევ ევროპის ჩემპიონია.

ამ ჩემპიონატმა ესეც გვანახა: შესაძლებლობები სწორედ ვასილევის შეგირდებს ამოწურვიათ, თორემ საჩენკოსა და შოლკოვის სამისო არაფერი ეტყობათ, ისე დამაჯერებლად მოიგეს ტიტული.

მეხუთე ადგილზე გასული ნოდარ მაისურაძის თაობაზეც: ეს 20 წლის ბიჭი ლიპეცკშია დაბადებული და ახლა მოსკოვში ცხოვრობს.

### ვაჟები

**მოკლე პროგრამა**

| | | |
|---|---|---|
| 1 | ბრაიან ჟუბერი (საფრანგეთი) | 86,90 |
| 2 | ტომაშ ვერნერი (ჩეხეთი) | 81,45 |
| 3 | სამუელ კონტესტი (იტალია) | 75,95 |
| 4 | კევინ ვან დერ პერენი (ბელგია) | 75,80 |
| 5 | ალბან პრეობერი (საფრანგეთი) | 73,50 |
| 6 | სერგეი ვორონოვი (რუსეთი) | 71,29 |
| 30 | გიორგი კენჭაძე (ბულგარეთი) | 43,66 |
| 38 | ბექა შანყულაშვილი (საქართველო) | 36,31 |

**თავისუფალი პროგრამა**

| | | |
|---|---|---|
| 1 | იანიკ პონსერო (საფრანგეთი) | 151,85 |
| 2 | ბრაიან ჟუბერი (საფრანგეთი) | 145,11 |
| 3 | სამუელ კონტესტი (იტალია) | 144,97 |
| 4 | კევინ ვან დერ პერენი (ბელგია) | 143,56 |
| 5 | ალბან პრეობერი (საფრანგეთი) | 138,72 |
| 6 | ანდრეი ლუტაი (რუსეთი) | 132,82 |

**საბოლოო შედეგი**

| | | |
|---|---|---|
| 1 | ბრაიან ჟუბერი (საფრანგეთი) | 232,01 |
| 2 | სამუელ კონტესტი (იტალია) | 220,92 |
| 3 | კევინ ვან დერ პერენი (ბელგია) | 219,36 |
| 4 | იანიკ პონსერო (საფრანგეთი) | 219,30 |
| 5 | ალბან პრეობერი (საფრანგეთი) | 212,22 |
| 6 | ტომაშ ვერნერი (ჩეხეთი) | 207,98 |

**ქართველი** ბექა შანყულაშვილისგან გასაოცარ შედეგს არც ველოდით, მაგრამ კარგი კი იქნებოდა, ოდნავ უკეთესი შედეგი მაინც ეჩვენებინა. ბექამ მოკლე პროგრამაში ბოლოსწინა შედეგი აჩვენა, ოდენ სომეხ გეკპან ვარდარიანს გაუსწრო და შეჯიბრიც ამით დაასრულა — თავისუფალ პროგრამაში 24 საუკეთესო დაუშვეს.

ასევე პირველ დღეს დაასრულა გამოსვლა გიორგი კენჭაძემ, ვინაც ბულგარეთის სახელით სრიალებს.

ბექა შანყულაშვილი წინა „სარბიელში" გაგაცანით, გიორგი კენჭაძეზე კი მცირე ცნობებს აქ მოგაწვდით: ის 22 წლისაა და თბილისშია დაბადებული. სოფიაში სწავლობს და ბულგერეთის სახელით გამოდის. ბულგარეთის ჩემპიონატში ორჯერ მეორე ადგილი დაიკავა, საერთაშორისო სარბიელზე კი რაიმე გამოსარჩევი შედეგისთვის არ მიუღწევია.

ამ ევროპის ჩემპიონატზე კი ფრანგებმა იყოჩაღეს. მეორე ადგილზე გასული სამუელ კონტესტიც ფრანგია, ოღონდ იტალიის მოქალაქეობა აქვს მიღებული, რაკი ცოლი ჰყავს ამ ქვეყნიდან.

სპორტიდან ევგენი პლუშჩენკოს წასვლის მერე კაცთა ფიგურულ სრიალს ერთი გამორჩეული სპორტსმენი აღარ ჰყავს, თუმცა ბრაიან ჟუბერის გამარჯვება მაინც ლოგიკური გახლდათ — ის უკვე ევროპის სამგზის ჩემპიონია. მეორე მხრივ, თავისუფალ პროგრამაში მან იმდენად არასაჩემპიონოდ ისრიალა, რომ შთაბეჭდილება შეიქმნა, ძველი დამსახურებების გამო წაუმატეს ქულები, თორემ პირველობისთვის მოკლე პროგრამის მერე დაგროვილი გვარიანი ჰანდიკაპიც არ უნდა ჰყოფნოდა.

შარშანდელ ჩემპიონ ჩეხ ტომაშ ვერნერს კი, ეტყობა, ვარსკვლავური ავადმყოფობა ჰქონდა შეყრილი, თორემ მისი ასე უსუსური გამოსვლა სხვაგვარად ძნელი ასახსნელია.

**გიორგი დარჯანია**



ბრაიან ჟუბერი

# პიკანტური მენიუ

ფიგურული სრიალის ევროპის ჩემპიონატზე რუს ეკატერინა რუბლოვას კაბა რომ გაეხა და მკერდი გაუშიშვლდა, პირდაპირ ეთერში შეგეძლოთ გენახათ. სპორტსმენმა მერე თქვა, ძალიან შემრცხვაო. თუმცა რუბლოვა არც პირველია და არც უკანასკნელი სპორტსმენი გოგოა, შეჯიბრის დროს პიკანტურ მდგომარეობაში რომ აღმოჩნდა. ასეთი რამ მეტწილად წყალბურთელებს ემართებათ, დასტურად კი ამ ფოტოებს წარმოგიდგენთ...











## კვირის ქრონიკა

### ჭაბუკებმა ბაქო აიღეს

**მოჭიდავეებმა** სეზონი ბაქოს ტურნირით გახსნეს, სადაც თამაზ ბენდიანიშვილის გაწვრთნილმა თავისუფალი სტილით მოჭიდავე ჭაბუკთა ნაკრებმა წარმატებას მიაღწია.

შვიდი ფალავანი ფინალში გავიდა: ღვთისო იორამაშვილი (42კგ), ზურაბ იაკობაშვილი (54კგ) და ლევან ქელეხსაშვილი (58კგ) ჩემპიონები გახდნენ. რაუფ შაკულოღლიმ (46კგ), გიორგი ტალახაძემ (50კგ), ალექსანდრე ჭავჭავაძემ (69კგ) და ომარ გუსოშვილმა (100კგ) ვერცხლის მედლები მოიპოვეს. საქართველოდან ბაქოში 22 მოჭიდავე წავიდა, ამათგან 10 — საკუთარი ხარჯით. 7 ქვეყნის ნაკრებს შორის საქართველო მეორეზე გავიდა, პირველი ადგილი კი მასპინძლებმა არავის დაუთმეს. აზერბაიჯანელებს ყოველ წონაში 7-8 მოჭიდავე ჰყავდათ.

ჭაბუკთა ნაკრებს წლეულს უმნიშვნელოვანესი ტურნირი ივლისში ელის. სერბეთში ბებერი კონტინენტის პირველობა გაიმართება. სანაკრებო სია კი აპრილში გასამართი საქართველოს ჩემპიონატის შემდეგ უნდა ჩამოიწეროს.

### ბასილაშვილს ბადემდე ერთი დააკლდა

**ნიკოლოზ ბასილაშვილმა** ფლორიდის შტატის ქალაქ ჰოლივუდში 10 ათას. დოლარიან ტურნირზე ითამაშა. ბასილაშვილი გათამაშებაში საკვალიფიკაციო ეტაპიდან ჩაება და ძირითად ბადეში მოხვედრა ვერ მოახვედრა. საამისოდ ქართველ მეჩოგნეს ერთი გამარჯვება დააკლდა. ამერიკელი კოლევის (6:3 6:1) დამარცხების შემდეგ მისი მეტოქე შვედი სილესტრიომი იყო, რომელსაც 6:4 3:6 6:2 მოუგო. ამის მერე მასპინძელი ფუგატესი 6:4 2:6 7:5 დაჩაგრა და ძირითად ბადეში გადასასვლელ შეხვედრაში შვეიცარიელ იანიკ ტომესს დაუპირისპირდა, რომელთანაც 6:7 1:6 წააგო.

### ოქსანამ იღბალი ვერ გამოიყენა

**ამერიკაში,** ფლორიდის შტატის ქალაქ ლუცში 25 ათას დოლარიან ტურნირზე ჩვენმა ოქსანა კალაშნიკოვამაც ითამაშა.

ოქსანამ საკვალიფიკაციო ეტაპზე ბულგარელ კრივენჩევას და ირლანდიელ ლიგანს მოუგო, მერე კი რუს ორლოვასთან წააგო. თუმცა „იღბლიანი წაგებულის“ სტატუსით ძირითად ბადეში მაინც მოხვდა. იქ მისი მეტოქე ხორვატი მარიანა ლუჩიჩინი იყო და 3:6 1:6 დამარცხდა.

კალაშნიკოვამ წყვილებშიც ითამაშა ამერიკელ ლიტვაკთან ერთად და მეოთხედფინალში ამერიკელების, ფუსანოსა და ჰეინსის დუეტთან 3:6 5:7 წააგო.

### ქართველი ავტოლიდერები

**ავტოსპორტის** ფედერაციამ გასული წელი რესტორან „თუ საიდში“ შეაჯამა. ჩემპიონ-პრიზიორები დააჯილდოვა და „რომპეტროლთან“ ახალი ხელშეკრულება გააფორმა. საქართველოს ჩემპიონატი ისევ „რომპეტროლის“ სახელს ატარებს.

იუნიორთა კლასში საუკეთესო დიმა ქობულია გახდა, წრიულ რბოლაში — ოთარ თავართქილაძე. რალიში თანაბარი ქულების გამო პირველობა ოთარ თავართქილაძემ და არჩილ ბიძინაშვილმა გაიყვეს.

გუნდური ჩათვლაში „სტატოილის“ გუნდმა იმარჯვა, მოყვარულებში საუკეთესო კოტე კოლიაშვილი გახდა.

ახალი სეზონი კი 22 თებერვალს კუს ტბაზე აღმართის დაძლევით გაიხსნება.

### მენისკმა სეზონი წაიღო

**დავით გვიმრაძე** სეზონის ბოლომდე ველარ ითამაშებს. სასოფლო უნივერსტიტეტის კალათბურთელმა მენისკის ტრავმა მიიღო და საოპერაციოა. 202 სმ სიმაღლის 22 წლის კალათბურთელი გუნდის ერთ-ერთ ლიდერად ითვლება. ასე რომ, სასოფლოს გუნდს სერიოზული ძალა გამოაკლდა.

### ნინო მეცხრამეტედ

**გასულ** კვირას საქართველოს ღია ჩემპიონატი გაიმართა სროლაში, რომლის გამარჯვებული ქალთა შორის ნინო სალუქვაძე გახდა. სეულის ოლიმპიადის ოქროს და ბრინჯაოს პრიზიორი და პეკინის ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალოსანი სპორტსმენისთვის ეს გამარჯვება მეცხრამეტე იყო. სალუქვაძემ პნევმატური იარაღით სროლაში უშუალო კონკურენტ ნინო უჩაძეს სოლიდურად გაუსწრო. ოლიმპიურ ჩემპიონს 479,5, ხოლო უჩაძეს 476,7 ქულა ჰქონდა. ბრინჯაოს მედალი კი თამილა ასათიანმა მოიგო — 474,5 ქულა.

სათქმელია, რომ ჩემპიონატზე, რომელშიც 60 მსროლელი გამოდიოდა, აზერბაიჯანელი სპორტსმენებიც მონაწილეობდნენ და კაცებში ჩემპიონი სწორედ აზერბაიჯანელი ვლადიმერ ლინოვი გახდა 567 ქულით. მეორე ადგილი დავით ახვლედიანმა მოიპოვა 565 ქულით. ბრინჯაოს მედალი კი ლევან ქადაგიძემ დაისაკუთრა 563 ქულით.

# დაკარი უდაკაროდაც დაკარია

## ტერორიზმს გარიდებული ტრასაზე დაიღუპა

ერთი კვირის წინ დასრულდა „დაკარის" კიდევ ერთი რალი, რიგით ოცდამეათე და ამასთანავე ეს პირველი „დაკარი" იყო, აფრიკული საჰარა რომ არ გადაკვეთა და ქალაქ დაკარში არ დასრულდა. ტერორიზმის საფრთხეს გარიდებული ავტო-მოტოები სამხრეთ ამერიკას ესტუმრნენ და არგენტინასა და ჩილეში ჩაატარეს უცნობილესი რბოლა

**540 გუნდი** 50 ქვეყნიდან, 217 მოტოციკლი, 25 კვადროციკლი, 177 მსუბუქი და 81 სატვირთო მანქანა, ნახევარი მილიონი მაყურებელი, 14 ეტაპი და ჯამში გავლილი 9578 კილომეტრი, რაც დაახლოებით, თბილისიდან მოსკოვში ორჯერ ჩასვლას და ჩამოსვლას უდრის — ეს „დაკარი 2009"-ის ციფრებია.

ტრაგიკული ციფრებიც შეგვიძლია დავასახელოთ: ერთი დაღუპული — 49 წლის ფრანგი მოტოციკლისტი პასკალ ტერი; სამმა მრბოლმა კი უმძიმესი ტრავმები მიიღო...

მოტოციკლებში გაიმარჯვა ესპანელმა მარკ კომამ, ვისაც „დაკარი" სამი წლის წინაც აქვს მოგებული. ის ავსტრიული KTM-ს მარკის მოტოციკლით გამოდიოდა.

კომამ 14-დან სამი ეტაპი მოიგო, საერთო ჩათვლაში კი შეუცვლელად ლიდერობდა.





დაკარი 2009-ის გამარჯვებული სამხრეთაფრიკელი ჟინიელ დე ვილიერსი და მისი „ფოლკსვაგენი"

კვადროციკლებში გაიმარჯვა „იამაჰათი" მოჯირითე ჩეხმა იოზეფ მაჩაშეკმა. მან 4 ეტაპი მოიგო, საერთო ჩათვლას კი მე-7 ეტაპიდან ჩაუდგა სათავეში.

ავტომობილებში სამხრეთაფრიკელმა ჟინიელ დე ვილიერსმა „ფოლკსვაგენით" გაიმარჯვა. მას შტურმანობას გერმანელი ციტცევიცი უწევდა. „ფოლკსვაგენის" ეკიპაჟმა სამი ეტაპი მოიგო. სხვათა შორის, მეორე ადგილზეც „ფოლკსვაგენის" ეკიპაჟი გავიდა ესპანელი კარლოს საინსის პილოტობით, მესამეობა კი „ჰამერის" ამერიკელ რობერტ გორდონს ერგო.

ისიც ვთქვათ, რომ „ფოლკსვაგენამდე" ზედიზედ შვიდჯერ „მიცუბიში პაჯერო" გახდა „დაკარის" გამარჯვებული.

სატვირთო მანქანებში კი საუკეთესო რუსული „კამაზი" გახდა რუსულივე ეკიპაჟით ვლადიმირ ჩაგინის მეთაურობით. მეორე ადგილზეც „კამაზი" გავიდა.

დაგეგმილია, რომ „დაკარი" აფრიკას გაისადაც აცდება, ოღონდ სამხრეთ ამერიკის ნაცვლად ევროპაში ჩატარდება. კერძოდ, სტარტი უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში იქნება, ზუსტი მარშრუტი და ფინიშის წერტილი ჯერ უცნობია.

**გიორგი დარჯანია**

# თქვენი ოჯახის წევრი

**„ფოლკსვაგენის"** კონცერნის ისტორია 1933 წლის შემოდგომაზე, ბერლინის სასტუმრო „კაიზერჰოფში" სამი პიროვნების შეხვედრითა და საუბრით იწყება. ესენი იყვნენ ადოლფ ჰიტლერი, „დაიმლერ ბენცის" წარმომადგენელი იაკობ ვერლინი და ფერდინანდ პორშე.



ახალარჩეულმა ბუნდესკანცლერმა ჰიტლერმა პირობა წამოაყენა: გერმანელ ხალხს საიმედო, ხარისხიანი და ამავე დროს ხელმისაწვდომი ავტომობილი სჭირდებოდა. ჰიტლერმა ფასიც დაასახელა — ახალი მანქანის ფასი 1000 რეიხსმარკაზე მეტი არ უნდა ყოფილიყო. ეს მანქანა ახალი გერმანიის სახეც უნდა გამხდარიყო.

ჰიტლერმა ბლოკნოტი ამოიღო და იქვე სახელდახელოდ ესკიზიც დახატა. მერე კანცლერმა იკითხა: ვინ იქნება კონსტრუქტორი?

იაკობ ვერლინმა ჰიტლერს უპასუხა: ფერდინანდ პორშეს კანდიდატურას გთავაზობთ.

გადაწყდა, რომ სახალხო მანქანას ასევე დაარქმევდნენ: Volks-Wagen.

ფერდინანდ პორშე საქმეს შეუდგა და ორ წელიწადში პირველი „ფოლკსვაგენი" შექმნა. ორი წელიც ტესტებს და ხარვეზების აღმოფხვრას დასჭირდა, 1937 წელს კი პირველი სერიული ავტომობილი VW30 ჩამოვიდა ვოლფსბურგის ქარხნის კონვეიერიდან.

კონცერნის სათაო ოფისი დღემდე ვოლფსბურგში მდებარეობს.

პირველი სერიული „ფოლკსვაგენის" წარმატება კი გამაოგნებელი იყო. არათუ გერმანიაში, უცხოური გაზეთებიც კი წერდნენ ახალ გერმანულ მანქანაზე. სხვათა შორის, „ფოლკსვაგენის" ყველაზე პოპულარული მოდელის მეტსახელი — „ხოჭო", ამერიკელი ჟურნალისტის მოგონილია, რომელმაც მანქანა ასე „ნიუ იორკ ტაიმსში" მოიხსენია.

მეორე მსოფლიო ომის დროს „ფოლკსვაგენის" ქარხანა სამხედრო მრეწველობას ემსახურებოდა და „ხოჭოები" არ გამოუშვია, ომის მერე კი ქარხანა ინგლისელების ხელში აღმოჩნდა — ვოლფსბურგი მათი ოკუპაციის ზონაში მოხვდა. შეიძლება ითქვას, ქარხნისთვის ეს მისწრება იყო, რადგან ინგლისელებისგან ბრწყინვალე შეკვეთა მიიღეს — 20 ათასი მანქანა.

1948 წლიდან კონცერნს სათავეში ისევ გერმანელები ჩაუდგნენ და ახალი იდეებიც მიიტანეს — სერიული „ხოჭოების" გარდა „ფოლკსვაგენმა" კაბრიოლეტების და ლიმუზინების წარმოება დაიწყო.

1955 წლის 5 აგვისტოს კი კონვეიერიდან ჩამოვიდა მემილიონე მანქანა და სწორედ მაშინ გაჩნდა ცნობილი ფრაზა: „ფოლკსვაგენი" ჩემი ოჯახის წევრია.

უზარმაზარმა პოპულარობამ უზარმაზარი მოგებაც მოიტანა და „ფოლკსვაგენმა" გაფართოება დაიწყო. „დაიმლერ ბენცისგან" იყიდა „აუდი"; კონცერნში შევიდა ესპანური „სეატი" და ჩეხური „შკოდა".

ხოლო თუ გავიხსენებთ, რომ „ფოლკსვაგენის" პირველი კონსტრუქტორი ფერდინანდ პორშე იყო, გასაკვირი აღარ არის, რომ 1965-75 წლებში კონვეირიდან ჩამოდიოდა სპორტული მოდელი „ფოლკსვაგენ-პორშე 914".

„ფოლკსვაგენის" თანამედროვე მოდელების პიონერად კი ითვლება „პასატი". ხოლო როდესაც მსოფლიოში გაჩნდა მოთხოვნილება კომპაქტურ და ეკონომიურ ავტომობილზე, „ფოლკსვაგენმა" შექმნა „გოლფი" და ამ მანქანის უზარმაზარი პოპულარობის დასტურად თბილისის ქუჩებიც კმარა. ისინიც კი, ვისაც უძვირესი მანქანები იზიდავს, „ფოლკსვაგენს" აკითხავენ — „როლს როისიც" ხომ „ფოლკსვაგენის" საკუთრებაა.



ესკიზი, რომელიც ადოლფ ჰიტლერმა სასტუმრო „კაიზერჰოფში" დახატა და პირველი VW30





*„ფოლკსვაგენის" ემბლემა V-ს და W-ს კომბინაციაა და რვოლშია ჩასმული. ის ოთხჯერ შეიცვალა, თავდაპირველი ვარიანტი კი სტილიზირებულ სვასტიკაში იყო ჩასმული — ერთხელაც ვთქვათ, რომ „ფოლკსვაგენი" ადოლფ ჰიტლერის ერთ-ერთი პირველი დიდი პროექტი გახლდათ. ემბლემის ავტორი კი იყო ფრანც რაიმსპისი. ინჟინერი, რომელმაც „ხოჭოს" ძრავის პირველი მოდიფიკაცია შექმნა. თუმცა არის ადამიანი, ვინაც დღესაც ცოცხალია და ამტკიცებს, რომ უცნობილესი ემბლემა მისი შექმნილია და ათწლეულებია, სასამართლოში ლამობს საავტორო უფლებების დამტკიცებას. ეს გახლავთ ავსტრიელი ნიკოლაი ბორგი, ახლა ღრმად მოხუცებული კაცი, იმხანად კი ნაცისტი მხატვარი. ის ამტკიცებს, რომ 30-იან წლებში „ფოლკსვაგენის" ემბლემის დასახატად შეკვეთა მიიღო თვით „გერმანული ავტობანების მამისგან", შეიარაღების რეიხსმინისტრ ფრიც ტოდისგან.*

# გაჭეჭყილი ალუმინის ქილა

„ფერარის", „ტოიოტასა“ და „მაკლარენის“ შემდეგ „რენოს“ „უილიამსისა“ და „ბმვ-ზაუბერის“ ჯერი დადგა. წინა კვირა-ორშაბათს ამ სამეულმა გამოაგორა ახალი მანქანები.

„რენომ“ თავი აარიდა პომპეზურ პრეზენტაციას და პორტუგალიაში პორტიმაოს ახალ ავტოდრომზე ერთ საათში მოათავა 2009 წლისთვის გამზადებული ბოლიდის წარდგენა როგორც დარბაზში, ისე ტრასაზე. მრბოლელებმა — ფერნანდო ალონსომ და ნელსინიო პიკემ ბრეზენტი მოხადეს და ძირითადად ჟურნალისტებისგან შემდგარ დამსწრე საზოგადოებას კონსტრუქტორთა ერთწლიანი შრომის შედეგი აჩვენეს.

„რენო“ და მისი მშობელი „ბენეტონი“ ორი ათეული წელია, მწვერვალის მისადგომებს უტრიალებენ და სამეფო ფორმულას ხშირად ნოვატორებადაც ევლინებოდნენ. მიხაელ შუმახერმა 1994 წელს პირველი ტიტული „ბენეტონის“ იმ ბოლიდით მოიგო, რომელსაც, ყველასგან განსხვავებით, ცხვირი ზევით ჰქონდა აპრეხილი და ხახადალებულ ზვიგენს ჰგავდა. მერე მის მაგალითზე თავის მანქანას ცხვირი ყველამ აუპრიხა.

ძნელი სათქმელია, „რენოს“ სამომავლოდ რა წარმატებას მოუტანს ახალ ბოლიდში გამოყენებული აეროდინამიკული ნოვაციები, მაგრამ დღეს ასე ჩანს — ფია-ს ახალი რეგლამენტი ამ საჯინიბომ სხვებზე თამამად აითვისა. პორტიმაოში წარდგენილ მოდელს — R29-ს სხვა რაშებისგან ბევრი გარეგანი „ნაკვთი“ განასხვავებს: ცხვირი წაწვეტებული კი არა ბრტყელია, ზურგს უმახინჯებს ლამის უკანა ანტიფრთამდე გაყოლებული ჰაერმკვეთი „ფირფიტა“, ბოლიდის უკანა ნაწილი კი „ფერარისეულ“ „ბოთლს“ კი არა გაჭეჭყილ ალუმინის ქილას მიუგავს.



„რენომ“ ძველი შეფერილობა დაიტოვა, ცხელ ფერებს — ყვითელ-მზისფერს, სპონსორ „ტოტალის“ წითელი კოლორიც დაუმატა, მაგრამ ლამაზი სალებავებით ვერ გამოუკეთა ხასიათი ახალი დიზაინით უკმაყოფილო ესთეტ ქომაგებს.

თუმცალა ეს მხოლოდ ზედაპირული დახასიათებაა და ვნახოთ, ახალ სეზონში თავს რით გამოიჩენს R29. გასულ სეზონში „რენომ“ გუნდურ ჩათვლაში მეოთხე ადგილი დაიკავა და „ფერარისა“ და „მაკლარენის“ გარდა „ბმვ-ზაუბერსაც“ ჩამორჩა. მრბოლელები ნამდვილად კარგები ჰყავს და საჯინიბოს მმართველმა ფლავიო ბრიატორემ ოპტიმიზმით აღსავსე სიტყვა თქვა — ახალი ბოლიდით ჩემპიონატის პირველივე რბოლაში, მელბურნში გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთო.

ნახევარ საათში მოთავებული ოფიციალური მხარის შემდეგ „ალუმინის ქილაში“ ნელსინიო პიკე ჩაჯდა და მსუბუქი წვიმის მიუხედავად, პორტიმაოს ახალ ასფალტზე რამდენიმე წრე დაარტყა. ბრიატორესგან გასხვავებით სიამაყით არ დაუხასიათებია ბოლიდი, მხოლოდ ის თქვა, — ვნახოთ, ეს მცირე გასეირნება რა მინუსებს „ამოგვიყრისო".

# ვეფხვებთან მეომარი

BMW Sauber F1 Team



„ბმვ-ზაუზერმა“ საპრეზენტაციო ადგილად ხმელთაშუა ზღვის ესპანური მარგალიტი ვალენსია აირჩია და ორშაბათს იქ წარადგინა ახალი ქმნილება — F1.09. სტუმრებს ზედ გზაზე დახვდათ ბრეზენტის საფარქვეშ დამალული საპრეზენტაციო ექსპონატი. მრბოლელებმა — ნიკ ჰაიდჰელდმა და რობერტ კუბიცამ გააშიშვლეს თავიანთი მანქანა. ფოტოსესიის შემდეგ კუბიცამ საჩვენებელი წრე შემოწერა, მერე კი დარბაზში შეაგორა მანქანა და ოფიციალური პრესკონფერენციაც იქ დაიწყო.

2008 წელი ამ საჯინიბოსთვის წარმატებულზე მეტიც იყო, საერთო ჩათვლაში მესამე ადგილით დამსახურებულად შეიძლება ტრაბახი. მაგრამ შეფმა მარიო ტაისენმა წარსულის ხსენებაზე დიდი დრო არ დაკარგა და უფრო ვრცლად ხვალინდელ დღეზე ისაუბრა.

„შარშანდელი წარმატებები — კანადაში დუბლი და 11 პოდიუმი ჩვენთვის სამომავლოდ ათვლის წერტილი უნდა გახდეს. აუცილებლად უნდა შევინარჩუნოთ სტაბილურობა. ჩვენი მანქანები უნდა იყვნენ საიმედო და სწრაფები. დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ შეგვიძლია მუშაობის ხარისხის თამასა უფრო მაღლა ავწიოთ, თუმცალა ვერ მოგცემთ იმის გარანტიას, რომ ჩვენი მრბოლები პრობლემებისგან დაზღვეულები იქნებიან. ჩვენს წინ მხოლოდ საუკეთესოები დგანან. „ფერარისაც“ და „მაკლარენსაც“ უმაღლეს დონეზე მუშაობის გაცილებით დიდი გამოცდილება აქვთ და ამ საქმეში ეს ფაქტორი გადამწყვეტია. მაგრამ მათ ბრძოლაში ჩარევა რეალურად შეგვიძლია. სამწლიანი არსებობის მანძილზე ჩვენი გუნდი ყოველთვის ახერხებდა წინასწარ დაგეგმილის მიღწევას."

ახალი „ბმვ-ზაუბერიც“ თავისი ეპოქის შვილია. 2009 წლის სხვა საჯინიბოთა მოდელების მსგავსად, ისიც თავისუფალია ყოველგვარი დამატებითი აეროდინამიკული ფირფიტებისგან, თუმც ამ საჯინიბომ წინა ანტიფრთა წახნაგებით სხვებზე მეტად გადატვირთა და ზომაშიც გაადიდა. ფართო, წაკვეთილი ცხვირი მაღალი ხელოვნების ნიმუში არაა. სხვაფრივ, მანქანას უშნო ნამდვილად არ ეთქმის.

რაც შეეხება, ამ ჩვენს ყბადაღებულ კერსს, გუნდმა ეს სისტემა კი ჩაამონტაჟა მანქანის ორგანიზმში, მაგრამ ახლაღა ცდის და კონკრეტულ შედეგებზე ჯერ არავინ საუბრობს.

ბოლიდის საჭესთან უკვე დამჯდარ რობერტ კუბიცას არც აღფრთოვანება გამოუხატავს და არც სხვა რამ ემოცია. შარშან ერთეულთა ჩათვლაში საპატიო მეოთხე ადგილზე გასულმა პოლონელმა ყოველგვარი შეფასებისგან თავი შეიკავა, მხოლოდ ის თქვა — ახლა ვალენსიაში ძალიან ცივა და ტესტებს დიდ მნიშვნელობას ვერ მივანიჭებთო.

პირველადი შთაბეჭდილებები კი ასეთია: როგორც ჩანს, გუნდს საქმე ცუდად არ მისდის. თუ „ფერარისა“ და „მაკლარენს“ ვერას დააკლებს, მესამე ადგილისთვის დავაში „რენოსთან“ არცთუ ურიგო შანსები უჩანს. ამაზე დაბლა ჩაჩოჩება კი ნამდვილად არ ემუქრება.

# ნახევარმანქანა

at&t WILLIAMS

**პორტიმაოშივე,** კვირასვე „რენოს“ კვალად პრეზენტაცია მოაწყო „უილიამსმაც“, მაგრამ გუნდის შეფებმა წინასწარ გააფრთხილეს სტუმრები, რომ მათ წინაშე არ იდგა FW31 სახელის მქონე ახალი მოდელის საბოლოო ვარიანტი. ამ მანქანას კიდევ ბევრჯერ გადავაკეთებთ, შეფერილობასაც შევუცვლით და საბოლოო სახეს თებერვლის ბოლოს მივცემთო — ასე განაცხადეს პრეზენტაციის მასპინძლებმა.

არადა, ამ საჯინიბომ სხვებზე ადრეც კი დაიწყო 2009 წლის ბოლიდზე მუშაობა და 2007 წლის მერე საკმარისზე მეტი დრო ქონდა სამუშაოთა დასამთავრებლად. მაგრამ აქ ერთი რამაა სანიშნო: დრო კია ბევრი, მაგრამ ფული რომ არაა? სერ ფრენკ უილიამსს აშკარად შემოაკლდა სახსრები და ფინანსურ კრიზისში ჩავარდნილი გვარიანად ჩამორჩა იმ მეტოქეებს, რომლებსაც წლების განმავლობაში უსწრებდა, ჩემპიონობას ართმევდა და თავის გამონაბოლქვს აყლაპებდა.

„იმედი გვაქვს, რომ შარშანდელ ჩავარდნას წლეულს ავანაზღაურებთ და 2009 წელს საპატიო ადგილს დავიკავებთ ლიდერთა შორის“ — ასე კი თქვა „უილიამსის“ ტექნიკურმა დირექტორმა სემ მაიკლმა, მაგრამ მის ნათქვამში ოპტიმიზმზე მეტად პესიმიზმი გამოსჭვიოდა. იმედი ერთია და, შესაძლებლობები კიდევ სხვა.



რაც შეეხება პორტიმაოს ბოქსებში გამოგორებულ ახალ ბოლიდს, „ტოიოტას“ ძრავის მქონე FW31 ვიზუალურად საკმაოდ მომხიბვლელად გამოიყურება, ზამთრის „ტანსაცმელშიც“ კი. საფირმო მუქი ლურჯი შეფერილობა ძალიან უხდება, მაგრამ როგორც ითქვა, თებერვლამდე ფერსაც შეიცვლის, გარე დიზაინსაც და შიგთავსსაც.

კონსტრუქტორები დიდ იმედს ამყარებენ კინეტიკური ენერგიის რეკუპერაციის სისტემაზე, რაც სიახლეა ფორმულა ერთის მექანიზმში და კერს-ად იწოდება. ეს კერს-ი ახალ მანქანებს ძველებთან შედარებით კონკრეტულად რა უპირატესობას აძლევს, ამას ნამდვილად ვერ აგიხსნით, მაგრამ ერთი კი ცხადია: მარტო მის იმედად ყოფნა „უილიამსს“ კრიზისს ნამდვილად ვერ დააძლევინებს.

ეს ნახევრად-პრეზენტაცია პორტუგალიურ ტრასაზე საჩვენებელი „გასეირნებით“ დასრულდა. საპატიო წრე დაარტყა საჯინიბოს ტესტ-პილოტმა ნიკო ჰიულკენბერგმა, რაკილა წამყვანი მრბოლები — ნიკო როსბერგი და კოსუკე ნაკაჯიმა არ მონაწილეობდნენ პრეზენტაციაში. საერთოდ არც გამოჩნდნენ პორტუგალიაში.

**ვანო ძოზიაშვილი**



# ასეთი იყო ფიშერი

ერთი წლის წინ, 2008 წლის 17 იანვარს, რეიკიავიკში გარდაიცვალა მსოფლიოს ყველაზე სკანდალური ჩემპიონი ჭადრაკში რობერტ ფიშერი. ის 65 წლისა იყო და ავადმყოფობდა.

გაუწონასწორებული და ექსცენტრიული ადამიანი იყო. 1972 წელს ანატოლი კარპოვთან მატჩზე იუარა და ჩემპიონის ტიტული ჩამოართვეს. 20 წელი განმარტოებით ცხოვრობდა კალიფორნიაში და ყველამ დაივიწყა. 1992-ში მავანმა სერბმა ბანკირმა დიდძალი ჰონორარის საფასურად სპასკისთან თამაში შესთავაზა და ფიშერიც 20 წლის მერე პირველად მიუჯდა დაფას. ის ისევ გაიხსენეს — მათ შორის, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა და საგადასახდო სამსახურმა. დეპარტამენტმა იუგოსლავიისადმი ემბარგოს დარღვევაში დაადანაშაულა, საგადასახადომ კი ფულის დამალვაში. 10 წელი პატიმრობა ემუქრებოდა და სამშობლოში აღარც დაბრუნებულა. ჯერ უნგრეთში დასახლდა, მერე იაპონიაში, საბოლოოდ კი ისლანდიაში დამკვიდრდა და იქაური მოქალაქეობაც მიიღო. იქვე გარდაიცვალა.

## მოწყალება

ერთხელ, ბობი ფიშერმა ბორის სპასკისთან წააგო და თან უსუსურად ითამაშა.

— ალბათ, ძალიან განიცადეთ წაგება — ჰკითხეს მას.

— სულაც არა. კაპაბლანკას მსგავსად, წაგებული პარტიის მერე თავს მეფედ ვგრძნობ, რომელიც მოწყალებას არიგებს.

## როგორ მოატყუეს სექტანტებმა

ფიშერი უკვე მსოფლიოს ჩემპიონი იყო, როცა ქალაქ პასადენაში „სალეთო ეკლესიის" სექტაში შევიდა და უზარმაზარ ფულსაც სწირავდა გაქნილ სექტანტებს. ბოლოს და ბოლოს, ფიშერი სექტას განუდგა, მიზეზად კი ეს თქვა: სექტის მეთაურები გაიძვერები აღმოჩნდნენ. მითხრეს, რომ ქრისტე გამოგვეცხადებაო. არ გამოგვეცხადა, მათ კი ბოლიშიც არ მომიხადეს.

## პარტია ღმერთთან

ფიშერმა დაიტრაბახა, ღმერთს რომ შევხვდე, პარტია, ალბათ, ყაიმით დამთავრდებაო. მერე ჩაფიქრდა და დაამატა — „თუმცა არ ვიცი, ჩემს e2-e4-ს ღმერთი რა სვლით უპასუხებს."





ავსტრალიის ღია პირველობა

მელბურნი. 19 იანვარი-1 თებერვალი. პარდი. საპრიზო ფონდი 15 700 000 $

# მადლობა ბოიფრენდს

*ავსტრალიის ღია პირველობა სენსაციური და მყვირალა შედეგებითაა ცნობილი. რაკი ეს სეზონის პირველი სლემტურნირია და მას წინ არც უძლვის მეტ-ნაკლებად სერიოზული ჩოგნაობა, ბევრი ვარსკვლავი მოუმზადებელი ჩადის მელბურნში და... იქიდან უსახელოდ მიდის. მაგრამ წლევანდელ ტურნირს ჯერჯერობით ნამდვილად არ ეძალებიან „ბოგანოები". ფავორიტები ძირითადად იოლად იგებენ და უმაღლეს ფენას თითქმის არავინ გამოჰკლებია პირველ კვირაში.*

## კაცთა ბადე

სამი რაუნდი ჩათამაშდა და კაცებში სენსაციები აყოვნებენ. პირველი ათეულიდან მხოლოდ ბოლო მეათე არგენტინელი დავიდ ნალბანდიანი დაემშვიდობა მელბურნს, ვისაც კორეელმა იენ-ჰსუნ ლუმ მეორე რაუნდის ხუთსეტიან მატჩში უყელა. ნალბანდიანმა პირველი სეტი დათმო, შემდეგ უპირატესობა მოიპოვა და 2:1 დაწინაურდა, მაგრამ საქმის ბოლომდე მიყვანა ვეღარ შეძლო.

მაგრამ ნალბანდიანი ხომ არასდროს ითვლებოდა ავსტრალიაში მთავარფავორიტად, ისევე როგორც მსოფლიო კლასიფიკაციის მეორე ასეულის ხალხი, მაგალითად, პეტერ პოლანსკისთან მარცხნაჭამი რუსი იგორ ანდრეევი (18) და მათ პირად გულშემატკივართა გარდა არავინ გატირებია.

სუპერთა ოთხეული კი მძლავრად მიიწევს პირამიდის წვერისკენ. ეს ოთხეულია — რაფაელ ნადალი, როჯერ ფედერერი, ნოვაკ ჯოკოვიჩი და ენდი მიურეი. ოთხივემ უდრტვინველად გაიარა სამი მეტოქე. მხოლოდ ჯოკოვიჩმა დაუთმო ერთი სეტი მესამე რაუნდში შემხვედრ ბოსნიელ ამერ დელიჩს. ამ უკანასკნელს, ალბათ, ბალკანურმა ძველმა ბოლმამ შეასხა ფრთა და ტრიბუნებიდან ქომაგების შეძახილებით გამხნევებულმა, სერბს ერთი სეტი აართვა. ტოპ-კვარტეტის სხვა მატჩებში კი ფავორიტებს სეტიც არ გავარდნიათ.

დიდ ინტრიგას შობდა მესამე რაუნდში ფედერერისა და ყოფილი პირველი ჩოგნის, ახლა კი ოცეულიდანაც კი ამოვარდნილი მარატ საფინის ჯახი. ყველა იხსენებდა 2005 წლის ნახევარფინალს, სადაც რუსმა აჯობა შვეიცარიელს, მაგრამ ეს საფინი საკუთარი თავის აჩრდილიღაა და პირველი ორი სეტის 6:3 6:2 მომგებ ფედერერს ჯაფა მხოლოდ მესამე სეტში დაადგა — 7:6.

საფინმა კი წაგების შემდეგ ყველას პირი დააღებინა — თქვა, ეს ჩემი უკანასკნელი სლემტურნირი იყო, კონტინენტიდან კონტინენტზე ხეტიალი იქნებ ვინმესთვის სასიამოვნოც იყოს, მაგრამ მე ნაღდად მეყოფა და ჩოგბურთიდან მივდივარო.

## ქალები

თქვენ ფიქრობთ, რომ ქალებში მაინც ხდება მოულოდნელობები? კვლავ ცდებით, აქაც მშვიდად მიედინება კორტის ცხოვრება. მაგალითად, ათეულობით თამაშით დატვირთული ერთ-ერთი დღის მოვლენა და სალაპარაკო ის გახდა, რომ წყვილთა თამაშში სერენა-ვინუსის წინ შიშველი კაცი გადმოხტა და იქაურობა სიცილის ცირკად აქცია. მეცხრე ნომრად განთესილი აგნეშკა რადვანსკას გავარდნა კი, აბა, რა სენსაციაა? ქალთა ბადეში ყველაზე დიდი ყურადღება მაინც განუთესავმა მიიქცია.

გახსოვთ ელენა დოკიჩი? კუდრაჭა და სიცოცხლით სავსე ავსტრალიელი, რომელიც მარჯვედაც ჩოგნაობდა და მამრ მაყურებელთა ყურადღებას თავისი ქალურობითაც იქცევდა. სერბული წარმოშობის ავსტრალიელს მაშინ აერია



ელენა დოკიჩი

აწყობილი საჩოგბურთო ცხოვრება, ისტორიულ სამშობლოში გადასვლა რომ მოიწადინა. ორი წლის შემდეგ ის სულ სხვა ადამიანად დაბრუნდა ავსტრალიაში. კორტისკენ გახედვაც არ უნდოდა, გახუნებული, ფორმადაკარგული, დანევროზებული და თვალებამოლამებული იყო და ახალმა ბოიფრენდმა ძლივს გაახელა თამაშისკენ.

ახლა დოკიჩი ცდილობს ჩოგბურთში დაბრუნებას, ის ოდნავადაც არ გავს ორი წლის წინანდელ ელენას. სახეზე უდარდელი ღიმილის მაგივრად ნერვიული დაძაბულობა აღბეჭდია. მაგრამ ოსტატობა არ დაუკარგავს და რაღაც გამოსდის კიდეც — პირველ რაუნდში სამ სეტში დაამარცხა ტამირა პაშეკი, მეორეში კი მე-18 ნომრად განთესილ რუს ანა ჩაკვეტაძესაც რომ მოუგო და ტრიბუნებიდან მხურვალე ტაში მიიღო, გულამოსკვნით ატირდა.

მესამე წრის გავლაც კი შეძლო — ასევე სამ სეტში დაჩოგნა მე-11 ნომერი კაროლინ ვოზნიაცკი. ასე რომ, ელენა დაბრუნდა.

**ირაკლი ფირაშვილი**

# იუბილარი ლეგენდა



1972 წლის 26 იანვარი

## კიტ ვუდი

(ირლანდია, რაგბი)

მილეთის აზრით ირლანდიის ყველა დროის საუკეთესო მორაგბე კიტ ვუდს ასევე არაერთი სპეციალისტი მსოფლიოს ყლა დროის უძლიერეს 2 ნომრად თვლის და თითქმის არასდროს გამორჩენიათ სხვადასხვა სიმბოლურ 15-ეულების შედგენისას.

მამამისი გორდონ ვუდიც ცნობილი მორაგბე იყო და ნაკრებში 29 მატჩი უთამაშია, მაგრამ შვილმა მამასაც აჯობა და ყველა სხვასაც. ამათზე ითქმის — ის უხარია მამულსა, რომ შვილმა აჯობა მამასაო. კიტ ვუდმა ქვეყნის ნაკრებში 58 მოილია და „მწვანე" ნაკრებს ბოლო წლებში უცვლელადაც კაპიტნობდა, 2003 წლის მსოფლიოს თასზე კი სანაკრებო კარიერას რომ გამოეთხოვა, ყოჩობა კიდევ ერთ მომავალ ლეგენდას, ბრაიან ოდრისკოლს გადაულოცა.

ძალისმიერი და ამასთან საკმაოდ ტექნიკური გარღვევებით განთქმულ ვუდს პირველხაზელის კვალობაზე ძალიან ბევრი, 15 ლელო აქვს გატანილი. მეტოქეს თუ სისწრაფეში ვერ აჯობებდა, უბრალოდ გადაჯეგავდა, დაცვაში კი უფრო მეტადაც უმოწყალო იყო. ნამდვილი ანჩხლი ირლანდიური ხასიათის მქონეს მეტსახელად „ბრაზიან ძაღს" ეძახდნენ, თუმც მის მრავალ მეტსახელთაგან ყველაზე ცნობილია „გორიალა კასტოფილი".

ხომ ასეთი ბულასავით კაცი იყო, მაგრამ ბურთთან სათუთი ურთიერთობა ჰქონდა და აუტების მოწოდებაშიც სამაგალითო გახლდათ.

## ავსტრალიის ღია პირველობა

მელბურნი. 19 იანვარი-1 თებერვალი. ჰარდი. საპრიზო ფონდი 15 700 000 $



# მელბურნის ავ-კარგი

*სეზონის პირველი სლემტურნირი, ავსტრალიის ღია პირველობა შეიძლება პრესტიჟულობით ვერ უტოლდება უიმბლდონს, კი არა როლან გაროსს და იუეს ოუფენსაც კი, მაგრამ მასაც თავისი საუკუნოვანი ხიბლი და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი აურა აქვს. შეიძლება ბევრ ევროპელს დიდად არ სიამოვნებს პირველ ან მეორე თამაშში ნასავებად ამხელა გზის გავლა და დედამიწის კიდეზე მელბურნში ჩასვლა, მაგრამ მაინც ხომ ყველა ჩადის? ზოგს მოსწონს და ზოგს არა ტურნირი, რომელიც იდეალური ნამდვილად არაა, მაგრამ მინუსებთან ერთად ბევრი პლიუსიც აქვს*

### რით არ მოსწონს ხალხს აუს-ოუფენი

**ხარისხი:** ეს მშვენიერი ტურნირი ოდესღაც ყველაზე ხარისხიანი ინტერიერით დაიტრაბახებდა, მაგრამ დრო მიდის, ტექნოლოგიები ვითარდება, ავსტრალიელები კი უკან ჩამორჩნენ. გასახდელები თურმე ელიტარულ სტანდარტს ვერ აკმაყოფილებს. ამას გარდა, მოთამაშეები წარამარა უჩივიან სავარჯიშო დარბაზების სიმცირეს.

**დრო:** რამდენიმე ბობოლა ჩოგბურთელი, მაგალითად როჯერ ფედერერი და ენდი მიურეი დიდი სლემის ტურნირის იანვარში ჩატარების იდეას აკრიტიკებს და თებერვალში გადატანას ითხოვს, იმ საბაბით, რომ სეზონი ახალი დაწყებულია და ჩოგბურთელები ორ კვირაში ფორმაში ჩადგომას ვერ ასწრებენ.

**გადარეული მაყურებელი:** დიდი სლემის არცერთ ტურნირზე არ ხდება ტრიბუნებზე ასეთი არეულობები და ჩხუბები. ბოლო წლებში ყველაფერი განსაკუთრებით გამძაფრდა — სერბი, ხორვატი და ბერძენი გულშემატკივრები პირდაპირ ტრიბუნებზე მართავენ ქუჩურ გაწევ-გამოწევას.

**მასპინძელი ქალაქი:** ავსტრალიის ღია პირველობას „მელბურნ პარკი" მასპინძლობს და კონტრაქტით 2016 წლამდე ვერავინ შეეხება, მაგრამ მას მერე რა მოხდება? მელბურნის შეურყეველი ავტორიტეტით სარგებლობის ერთი სული აქვთ მის მარადიულ მეტოქე სიდნეის, დუბაის და შანხაის. ეს ქალაქები სიამოვნებით უმასპინძლებდნენ დიდი სლემის პირველ ტურნირს. განიხილება ასეთი ვარიანტიც: 2016 წლის, ანუ მელბურნთან კონტრაქტის ამოწურვის, შემდეგ ტურნირი მონაცვლეობით ჩატარდეს ჩამოთვლილ ქალაქებში და ეწოდოს აზია-პასიფიკის სლემტურნირი.

### აუს-ოუფენის უპირატესობა

**სეზონის კარგი დასაწყისი:** ბევრ ქალაქს როდი შეუძლია წელიწადის ამ დროს ასეთი მასშტაბის ტურნირის მიღება. მაშინ, როდესაც ევროპა-ამერიკა-აზიაში ზამთარია, სამხრეთ ნახევარსფერო ბუნებრივი თავშესაფარია ჩოგბურთისთვის და იანვარს, ან გინდაც, თებერვალს წარმატებით შეუძლია საუკეთესოთა ასეულების მიღება. ამასთან მელბურნში კარგი ჩოგნაობა სეზონის კარგ სტარტს ნიშნავს.

**სენსაციათა სიმრავლე:** პიტ სამპრასმა შვიდჯერ მოიგო უიმბლდონი, როჯერ ფედერერმა ზედიზედ 5-5-ჯერ იჩემპიონა უიმბლდონზე და ამერიკის ღია პირველობაზე. აი, ავსტრალიაში კი ასეთი სტაბილურობის მიღწევა გაცილებით ძნელია. იქ მათ მოულოდნელობათა მთელი კასკადი ხვდებათ. მაგალითად, შარშან ნოვაკ ჯოკოვიჩმა თავისი პირველი და ერთადერთი სლემტიტული მელბურნში მოიგო, ამასთან ფინალში დაამარცხა საერთოდ გაუთვალისწინებელი ჟო-ვილფრიდ ცონგა.

**ღამის თამაშები:** შეიძლება თავად ჩოგბურელებს არ სიამოვნებთ, ზოგჯერ გათენებამდე რომ უწევთ ჩოგნის ქნევა, მაგრამ მაყურებელს განათებული ღამის ჩოგბურთი დამატებით სიამოვნებას ანიჭებს. მნახველს არ დაავიწყდება 1995 წელს პიტ სამპრასისა და ჯიმ კურიეს ეპიკური შეხლა.

**ატმოსფერო:** ეგრეთ წოდებული „ბედნიერი სლემტურნირი" მუდამ გამოირჩეოდა განსაკუთრებული ქომაგობით და გიჟმაჟი გულშემატკივრებით. სახეგაფერადებული ფანები უზარმაზარ კონტრასტს ქმნიან ლონდონის, ანაც პარიზის აკადემიურ პუბლიკასთან. მელბურნში ჩოგბურთს ყოველთვის კარნავალის ელფერი დაჰკრავს.



სერბი ნოვაკ ჯოკოვიჩის და ბოსნიელი ამერ დელიჩის მატჩის შემდეგ სერბმა და ბოსნიელმა ქომაგებმა ერთმანეთში ჩხუბი გამართეს

## HAPPY BIRTHDAY

www.wikipedia.org

**26 იანვარი**

1930 იტალიელი ველომრბოლი ენცოლე ბალდინი
1959 მექსიკელი მოკრივე სალვადორ სანჩესი
1961 კანადელი ჰოკეისტი უეინ გრეცკი
1962 არგენტინელი ფეხბურთელი ოსკარ რუჯერი
1963 პორტუგალიელი ფეხბურთის მწვრთნელი ჟოზე მოურინიო
1977 ამერიკელი კალათბურთელი ვინს კარტერი
1989 ამერიკელი ფიგურულად მოსრიალე ემილი ჰიუზი

**27 იანვარი**

1972 ირლანდიელი მორაგბე კიტ ვუდი
1974 შრილანკელი მოკრიკეტე სამინდა ვაასი
1974 რუმინელი ჩოგბერთელი ანდრეი პაველი
1976 სამხრეთკორეელი ფეხბურთელი იუნგ-ჰვან ანი
1980 რუსი ჩოგბურთელი მარატ საფინი

**28 იანვარი**

1977 იაპონელი ამტომრბოლი ტაკუმა სატო
1978 იტალიელი ფეხბურთელი ჯანლუიჯი ბუფონი
1978 ინგლისელი ფეხბურთელი ჯეიმი კარაგერი
1978 სენეგალელი ფეხბურთელი პაპა ბუბა დიოპი
1984 ამერიკელი კალათბურთელი ანდრე იგუდალა

**29 იანვარი**

1932 ინგლისელი ფეხბურთელი ტომი ტეილორი
1951 ანტიგუელი მოკრიკეტე ენდი რობერტსი
1955 ამერიკელი კალათბურთის მწვრთნელი ედი ჯორდანი
1965 ჩეხი ჰოკეისტი დომინიკ ჰაშეკი
1966 ბრაზილიელი ფეხბურთელი რომარიო
1978 გერმანელი ტრამპლინიდან მხტომელი მარტინ შმიტ
1980 ხორვატი ფეხბურთელი ივან კლასნიჩი
1985 ესპანელი კალათბურთელი მარკ გასოლი
1986 ჩერნოგორიელი ფეხბურთელი საიმონ ვუკჩევიჩი

**30 იანვარი**

1937 საბჭოთა მოჭადრაკე ბორის სპასკი
1973 ამერიკელი კალათბურთი ჯალენ როუზი
1975 ბრაზილიელი ფეხბურთელი ჟუნინიო პერნამბუკანო
1981 ინგლისელი ფეხბურთელი პეტერ კრაუჩი
1987 თურქი ფეხბურთელი არდა თურანი

**31 იანვარი**

1914 ამერიკელი მოკრივე ჯერსი ჯო უოლკოტი
1919 ამერიკელი ბეისბოლისტი ჯეკ რობინსონი
1981 არგენტინელი ფეხბურთელი ხულიო არკა
1982 გერმანელი ფეხბურთელი ანდრეას გიორლიცი
1984 ამერიკელი მძლეოსანი ჯერემი უორინერი

**2 თებერვალი**

1915 ინგლისელი ფეხბურთელი სტენლი მეტიუზი
1958 ინგლისელი ფეხბურთელი ლუთერ ბლისეტი
1961 არგენტინელი ფეხბურთელი ხოსე ლუის კუსიუფო
1966 ინგლისელი ფეხბურთელი რობ ლი
1969 არგენტინელი ფეხბერთელი გაბრიელ ბატისტუტა
1971 სლოვენიელი ფეხბერთელი ზლატკო ზაჰოვიჩი
1974 ესპანელი ველომრბოლი რობერტო ერასი
1975 ბერძენი მძლეოსანი ეკატრინი ტანუ
1977 ირლანდიელი ფეხბერთელი კევინ კილბეინი
1979 ბრაზილიელი ფეხბურთელი დოს სანტოსი
1983 ამერიკელი კალათბურთელი კევინ მარტინი
1984 შოტლანდიელი ფეხბურთელი დარენ ფლეჩერი
1987 იტალიელი ფეხბურთელი ჯუზეპე როსი

## იუბილარი ლეგენდა

1961 წლის 27 იანვარი

**უეინ გრეცკი**

(კანადა, ჰოკეი)

მეტსახელად „დიადი ვინმე" უეინ გრეცკი, მართლაც დიადი ვინმე გახლდათ და მის უსაზღვრო წარმატებათაგან აქ მხოლოდ ტიტულების ჩამოსათვლელი ადგილიც არაა. მაგრამ მაინც ზოგადად ვთქვათ, ვინ იყო ეს კაცი.

„დიადი ვინმე" რეალურად ყველა დროის უძლიერესი ჰოკეისტი გახლავთ, ვინაც 80-90-იან წლებში ამ თამაშში ბევრი რამ შეცვალა და ყინულიდან რომ გავიდა, თან ხელს უამრავი პრიზი გააყოლა. ნჰლ-ს კარიერის ყველაზე ბარაქიანი სეზონი „ედმონტონ ოილერზში" გაატარა და „მენავთობეებს" ოთხჯერ მოაგებინა სტენლის თასი. შემდეგ კიდევ სამ გუნდში ითამაშა და მიუხედავად იმისა, რომ ჩემპიონი აღარ გამხდარა, თვის გენიალურობაში არავინ დაუეჭვებია.

გრეცკი ცხრაჯერ გახდა სეზონის უძვირფასესი მოთამაშე, ათჯერ სეზონის საუკეთესო მექულე (გოლი + პასი), მოიგო სხვადასხვა პირადი ჯილდოების მთელი წყება და 1999 წელს კარიერა რომ დაასრულა, მაშინვე შეიყვანეს ჰოკეის დიდების დარბაზში.

მოთამაშის კარიერის დასრულების შემდეგ გრეცკი სპორტული ფუნქციონერი გახდა და ამ მხრივაც ერთ-ერთი საუკეთესო გახლავთ. წარმატებით მენეჯერობდა კანადის ნაკრებს, შემდეგ კი „ფინიქს კოიოტსის" თანამფლობელიც შეიქნა და ამ გუნდს ექაჩება მწვერვალისკენ.



# ზომ თავისი გადაზომა



**ყველამ** იცოდა, რომ ეს კაცი დიდი კალათბურთისთვის დაბერდა და გაცვდა. ყველა კარგად ხვდებოდა, რომ ის აღარასდროს შევიდოდა მოედანზე. ორი წელი აღარც ჰქონდა ნათამაშები, მაგრამ ოფიციალურად რომ გამოაცხადა — მივდივარო, მაინც ბევრს დასწყდა გული.

კალათბურთს გამოეთხოვა 38 წლის ალონზო მურნინგი.

ტყუილი იქნება, ვამტკიცოთ — ყველას უყვარდა-თქო. პირიქით, ნბა-ს არცერთ მეფარეს არ სიამოვნებდა უშუალოდ მის წინაშე დგომა. გარდა იმისა, რომ მურნინგი საუცხოო მოთამაშე გახლდათ და მუდმივად საბრძოლველად იყო შემართული, ის მოწინააღმდეგის ფიზიკურად მოთელვასაც არ ერიდებოდა და ფარქვეშ ჯაჯგურში ბევრისთვის ჩაულეწია გვერდები. 208-სანტიმეტრიანი და 120-კილოგრამიანი კუნთების გროვა სამწამიანში როცა მოქმედებდა, ძალიან გავდა ფაიფურის მაღაზიაში შებოტებულ სპილოს, რომელიც ნებით თუ უნებლიეთ ირგვლივ ყველაფერს ლეწს. აი, ასეთი კაცი იყო ზო მურნინგი მოედანზე. ბევრი ქულა, ბევრი მოხსნა, ბევრი დაფარება. მეტოქეები კი დალურჯებულები ტოვებდნენ მოედანს.

მურნინგმა ნბა-ში მასზე უფრო ხვადაგ შაკილ ონილთან ერთად შეაბიჯა. ეს მოხდა 1992 წელს, როდესაც დევშაკი დრაფტზე პირველ ნომრად აირჩია „ორლანდომ", ზო კი მეორე არჩევნის მქონე „შარლოტს" ერგო. ისინი ათწლეულზე მეტხანს მეტოქეობდნენ ერთმანეთს. მართალია, ბუნებრივად უფრო ზორბა და ნიჭიერმა ონილმა მოიგო ყველაფერი, რისი მოგებაც შეიძლებოდა, მორნინგს კი მწვერვალი არც ინდივიდუალურად და არც გუნდთან ერთად არ დაუპყრია, მაგრამ მუდამ ელიტაში ტრიალებდა და თავისი კოლორიტით ალამაზებდა ნბა-ს.

გუნდურად მისი მწვერვალი იყო 1997 წელს აღმოსავლეთის ფინალი, სადაც მისი „მაიამი" უშანსოდ იყო ჯორდან-პიპენის „ჩიკაგოსთან". პირადი მიღწევებიდან კი ამოირჩევა საუკეთესო დამცველის ორი წოდება, შვიდი ოლ სტარი და 2000 წლის სიდნეის ოლიმპიადის ოქრო.

მაგრამ ბედმა არ მოაკლო ის უდიდესი სიხარული, რასაც ნბა-ში შეიძლება განიცადო — ჩემპიონობა. ბევრი ვარსკვლავი ისე გამოეთხოვა ბურთს და მოედანს, რომ მოოქროვილ თასს ხელი ვერ შეავლო. მაგრამ ბედის ირონიით სურვილის ასრულებაში მურნინგს დაეხმარა ის, ვინც ამდენი წელი მისი ერთ-ერთი უმთავრესი მეტოქე იყო.

ზო 1995 წლიდან თამაშობდა „მაიამიში", 2003-05 წლებში „ნიუ ჯერსის" მაისურით სცადა მწვერვალისკენ გალაშქრება, მაგრამ ამაოდ, მერე კი პატ რაილის იმპერიას დაუბრუნდა, სადაც სამწამიანში მისი ადგილი უკვე სხვას დაეკავებინა — სასტარტო ხუთეულში მყარად იჯდა თანამედროვეობის უძლიერესი ცენტრი შაკილ ონილი. ზო დათანხმდა ყოფილი მტრის თადარიგში თამაშს. თავადაც ხომ იცოდა, რომ ძირითადობას ველარ „გაქაჩავდა". მოითმინა და მოიგო კიდეც.

2006 წელს „მაიამი" კლუბის ისტორიაში პირველად გახდა ჩემპიონი. აუხდა ზოს ნატვრა, თანაც 36 წლისა იყო და აწი შეძლო პენსიაზეც ეფიქრა, მაგრამ საყვარელ საქმესთან და ხალხთან გამოთხოვება გაუჭირდა და დარჩა. ითამაშა კიდევ ერთი სრული სეზონი, მერე კი 2007 წლის დეკემბერში მძიმე ტრავმა მიიღო და მას მერე აღარც გასულა მოედანზე. ელოდა, მოვკეთდები და ცოტას კიდევ წავითამაშებო, მაგრამ ბოლოს ისევ წასვლა არჩია.

ერთი მძიმე განსაცდელი შეახვედრა ცხოვრებამ სიდნეის ოლიმპიადის შემდეგ თირკმელები ასტკივდა და სამკურნალოდ რომ მივიდა, მძიმე დაავადება დაუდგინეს. ამ ორგანოთა ფუნქციონალური გადაგვარება. თირკმელები ვერ ასრულებდნენ თავიანთ სამუშაოს. უსერიოზულესი საფრთხე დაემუქრა არა მარტო მის კარიერას, არამედ სიცოცხლეს. მაგრამ ძლიერმა გაუძლო ახალი ორგანოს გადანერგვას. გამოტოვა მხოლოდ 2002-03 სეზონი.

„მივეჩვიე, რომ ყველა ერთსა და იმავეს მეკითხება — „თავს როგორ გრძნობ?" მეც ვეუბნები, რომ მშვენივრად ვგრძნობ და ღმერთმა ინებოს, კიდევ 40-50 წელი ასე ვიყო — ღიმილით ამბობს გოლიათი — ამ პრობლემამ ლამის კალათბურთი დამამთავრებინა, ყოველ წელიწადს წასვლაზე ვფიქრობდი, მაგრამ მერე ვრჩებოდი. არც ახლა გემშვიდობებით, ჩემი სახლი საკალათბურთო დარბაზია და „მაიამის" ყველა საშინაო თამაშზე მიხილავთ, ოღონდ ცხადია, აი ასე, კოსტუმში გამოწყობილს. მაისურების დრო გამიფრინდა.

**ირაკლი ფირაშვილი**

## ჩემპიონს ჰაშიში ჰყვარებია

**ტურინის** ოლიმპიადის ნორვეგიელი ჩემპიონი ტრამპლინიდან ხტომაში ლარს ბისტოლი აკრძალული პრეპარატების მოხმარებაში ამხილეს. ბისტოლს ტესტი ნოემბერში აუღეს და შედეგი ახლაღა გამოაცხადეს. სხვა რა გზა ჰქონდა, სპორტსმენმაც აღიარა, ვიმაიმუნეო, ოღონდ კონკრეტულად რა მიიღო, არ გაამხილა. თუმცა ლაბორატორიას რას გამოაპარებდა — ტეტრაგიდროკანობიოლს მარიხუანა და ჰაშიში შეიცავს. ახლა ბისტოლს დისკვალიფიკაცია ემუქრება, ნორვეგიის ნაკრებიდან კი უკვე მოკვეთილია. ისღა დავამატოთ, რომ ტურინში ოქროსთან ერთად ორი ბრინჯაოს მედალიც მოიგო.

## მონბლანი ისევ კლავს

**ოთხი** ალპინისტის სიცოცხლე შეიწირა დასავლეთ ევროპის უმაღლესმა მწვერვალმა მონბლანმა. ზღვის დონიდან 4810 მეტრზე აზიდული ეს მწვერვალი უკვე ასობით მთამსვლელს აქვს დაპყრობილი, მაგრამ კვლავინდებურად იზიდავს ხიფათის მაძიებლებს. ზამთარში კი ისევე როგორც ყველა მთა, განსაკუთრებით საშიში ხდება.დაღუპულები იტალიელები იყვნენ მწვერვალთან რამდენიმე ათეულ კილომეტრში მდებარე ვალე დაოსტას პროვინციიდან. ისინი მწვერვალზე ფრანგული მხრიდან ადიოდნენ და როგორც შემდეგ გაირკვა, დაახლოებით 3,7 კილომეტრზე ასულები ოთხივენი ერთად მოსწყდნენ უფსკრულში.

## ზედიზედ შვიდმა მეშვიდე გადაიყოლა

**ნბა-ს** სინამდვილეში ამა თუ იმ გუნდის მიერ მწვრთნელის შეცვლა იშვიათობა არაა და არასდროს ყოფილა, მაგრამ მიმდინარე სეზონი ამ მხრივ ერთობ „ბარაქიანი" გამოდგა. საწყის კვირეებში ერთბაშად ექვსმა გუნდმა დაითხოვა ძველი თავკაცი და ახლით გააგრძელა თამაში. მერე ეს ეპიდემია თითქოს შეწყდა და კარგა ხნით სიმშვიდემ დაისადგურა, მაგრამ აი, შფოთიანი დროების და წარუმატებლობის ახალი მსხვერპლიც გამოჩნდა — „მემფის გრიზლიზის" აწ უკვე ყოფილი მეთაური მარკ იავარონი.

იავარონიმ მემფისელი „დათვები" ერთი თვე და კიდევ ცოტა მეტი დამაჯერებლად გამოატარა დარჯაკში, უსუსტესი გუნდი ცხრილის ფსკერს აარიდა და საწყისი 24 თამაშიდან 9 მოაგებინა, მაგრამ მერე „დათვები" ერთბაშად დაეცნენ სულით, ბოლო 17 შეხვედრიდან მხოლოდ ორი მოიგეს და სეზონის დასაწყისში აუტსაიდერთა შორის მოპოვებული მცირე უპირატესობაც პირველი თოვლივით შემოადნათ.

„მემფისმა" წააგო ბოლო 7 თამაში და იავარონიმაც დაკარგა 2007 წელს მოპოვებული სამუშაო ადგილი. გუნდის შეფებს არ აკმაყოფილებდათ არა მხოლოდ შეგედი და წაგებათა სიმრავლე, არამედ თამაშის ხარისხიც.

„მემფისს" ჰყავს ორი პერსპექტიული მოთამაშე — რუდი გაი და ახალბედა ოჯეი მაიო. ორივე დაახლოებით 20 ქულად „ღირს", მაგრამ მათი შედეგიანობა გუნდს დიდად არ ეტყობოდა — „მემფისი" საშუალოდ თამაშში 93 ქულას აკეთებს და 30 გუნდში მხოლოდ 29-ეა.

იავარონის დროებით შეცვლის მისი ასისტენტი ჯონი დევისი, მერე კი ალბათ ვინმე უფრო სახელიანს მოიყვანს კლუბის ხელმძღვანელი, ლეგენდარული ჯერი ვესტი.



„მემფისიდან" გაშვებული მარკ იავარონი

## ბოდიში, რომ 100:0 მოგიგეთ

**წინა ნომერში** დავწერეთ, ამერიკის შეერთებული შტატების სკოლათა ჩემპიონატში გოგონათა ერთმა გუნდმა მეტოქე 94:1 დაამარცხაო. ასეთი ანგარიშის შემხედვარეს, რაღა გაგიკვირდება, მაგრამ თურმე კალათბურთის სამშობლოში უფრო მაგრებიც ხდება.

100:0 დასრულდა ასევე სკოლათა ჩემპიონატის რიგითი მატჩი გოგონათა გუნდებს შორის. ეს ამბავი ტეხასში მოხდა კოვენანტის სკოლა პირველი ტაიმის მერე 59:0 უგებდა დალასის აკადემიის გუნდს და რა გასაკვირია, რომ მეორე ტაიმში ანგარიშის 100:0-მდე დამრგვალება მოინდომა. კოვენანტელებს ტექნიკურად არ გასჭირვებიათ ჩანაფიქრის ასრულება — მესამე მეოთხედი 29:0 მოიგეს და მეოთხეში მით უმეტეს არ დაადგათ დიდი ჯაფა საჭირო 12 ქულის მოსაპოვებლად. თანაც ამ დროს წყალწაღებული მოწინააღმდეგეები მათ კალათს ხეირიანად ვერც კი მიუახლოვდნენ.

მაგრამ დასრულდა თამაში და ამ ანგარიშით მოგება ლამის საშარო გაუხდათ. თავმოყვარეობაშელახულმა აკადემიელებმა თქვეს, შეგნებულად გვაყენებდნენ შეურაცხყოფასო და გამარჯვებულებს სასამართლოთი დაემუქრნენ.

„მათი მთავარი მწვრთნელის ასისტენტი ბოლო მეოთხედში სპეციალურად ჩვენს გასაგონად ყვიროდა, ორიანებს ნუ ესვრით, სამი ქულა გვჭირდებაო. ეს სხვა არაფერია თუ არა შეურაცხყოფა — ბობოქრობდა დამარცხებულთა წარმომადგენელი — ისედაც ძლივს ვახერხებთ 8 გოგონას მოგროვებას. ოთხი წელია თამაში არ მოგვიგია და მაინც ვთამაშობთ, ამით მეტოქესაც პატივს ვცემთ და იგივეს ველით სხვისგანაც."

ბოლოს ისე გამოვიდა, რომ გამარჯვებულებს ოფიციალური ბოდიშის მოხდაც კი მოუხდათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# NBA რეგულარული ჩემპიონატი

## კვირიდან კვირამდე

18 იანვარი
ტორონტო 113:117 ფინიქსი
ოკლაჰომა 94:104 მაიამი
19 იანვარი
ნიუ იორკი 102:98 ჩიკაგო
ატლანტა 87:84 ტორონტო
შარლოტი 84:86 სან ანტონიო
ნიუ ორლეანი 103:100 ინდიანა
მემფისი 79:87 დეტროიტი
პორტლენდი 102:85 მილუოკი
ფილადელფია 93:95 დალასი
ჰიუსტონი 115:113 დენვერი
კლიპერსი 86:94 მინესოტა
გ. სტეიტი 119:98 ვაშინგტონი
ბოსტონი 104:87 ფინიქსი
ლეიკერსი 105:88 კლივლენდი
20 იანვარი
სან ანტონიო 99:81 ინდიანა
ჩიკაგო 102:105 ატლანტა
დენვერი 118:99 საკრამენტო
იუტა 112:107 მინესოტა
21 იანვარი
შარლოტი 101:86 მემფისი
დეტროიტი 95:77 ტორონტო
ნიუ იორკი 114:109 ფინიქსი
მაიამი 83:98 ბოსტონი
მილუოკი 133:99 დალასი
ნიუ ორლეანი 102:92 ნიუ ჯერსი
ჰიუსტონი 108:99 იუტა
პორტლენდი 98:104 კლივლენდი
საკრამენტო 107:110 ვაშინგტონი
გ. სტეიტი 121:122 ოკლაჰომა
კლიპერსი 97:108 ლეიკერსი
22 იანვარი
ორლანდო 80:90 ბოსტონი
ლეიკერსი 117:97 ვაშინგტონი
23 იანვარი
შარლოტი 98:76 ფინიქსი
ინდიანა 107:102 ჰიუსტონი
დეტროიტი 91:112 დალასი
ატლანტა 117:87 მილუოკი
ნიუ იორკი 108:88 მემფისი
მინესოტა 116:108 ნიუ ორლეანი
სან ანტონიო 94:91 ნიუ ჯერსი
ჩიკაგო 94:114 ტორონტო
კლიპერსი 107:104 ოკლაჰომა
გ. სტეიტი 105:106 კლივლენდი
24 იანვარი
ფილადელფია 116:110 ნიუ იორკი
მაიამი 103:97 ორლანდო
მემფისი 88:99 ნიუ ჯერსი
მილუოკი 106:104 საკრამენტო
იუტა 97:102 კლივლენდი
პორტლენდი 100:87 ვაშინგტონი

### კვირის ლიდერები

#### ქულა

| | | |
|---|---|---|
| ენდრიუ ბაინამი (ლეიკერსი) | 21.01 | 42 |
| ლებრონ ჯეიმსი (კლივლენდი) | 21.01 | 34 |
| მო უილიამსი (კლივლენდი) | 21.01 | 33 |
| ანთუან ჯემისონი (ვაშინგტონი) | 21.01 | 33 |
| კერონ ბატლერი (ვაშინგტონი) | 21.01 | 32 |
| დერონ უილიამსი (იუტა) | 21.01 | 32 |
| ჩარლი ვილანუევა (მილუოკი) | 21.01 | 32 |
| დუეინ უეიდი (მაიამი) | 18.01 | 32 |
| მაიკ ბიბი (ატლანტა) | 20.01 | 31 |
| იაო მინი (ჰიუსტონი) | 19.01 | 31 |
| კევინ დურანტი (ოკლაჰომა) | 18.01 | 31 |
| ამარე სტუდემაიერი (ფინიქსი) | 18.01 | 31 |
| დირკ ნოვიცკი (დალასი) | 21.01 | 30 |
| რასელ უესტბრუკი (ოკლაჰომა) | 21.01 | 30 |
| დენი გრეინჯერი (ინდიანა) | 19.01 | 30 |

#### მოხსნა

| | | |
|---|---|---|
| იოახიმ ნოა (ჩიკაგო) | 19.01 | 18 |
| ალ ჯეფერსონი (მინესოტა) | 19.01 | 17 |
| ანტონიო მაკდაისი (დეტროიტი) | 19.01 | 16 |
| დევიდ ლი (ნიუ იორკი) | 21.01 | 16 |

#### პასი

| | | |
|---|---|---|
| სტივ ნეში (ფინიქსი) | 21.01 | 19 |
| სტივ ნეში (ფინიქსი) | 18.01 | 18 |
| ლებრონ ჯეიმსი (კლივლენდი) | 21.01 | 14 |
| კობი ბრაიანტი (ლეიკერსი) | 21.01 | 12 |
| კობი ბრაიანტი (ლეიკერსი) | 19.01 | 12 |
| ჩონსი ბილაფსი (დენვერი) | 19.01 | 12 |

#### ჩაჭრა

| | | |
|---|---|---|
| რაიმონდ ფელტონი (შარლოტი) | 21.01 | 5 |
| მაიკ ბიბი (ატლანტა) | 20.01 | 5 |

#### დაფარება

| | | |
|---|---|---|
| დეანდრე ჯორდანი (კლიპერსი) | 19.01 | 6 |
| რონი ტურიაფი (გ.სტეიტი) | 21.01 | 5 |



კობი ბრაიანტმა თითნატკენმა ითამაშა

### სხვა გამორჩეული მატჩები

19 იანვარი. ლოს ანჯელესი

**ლეიკერსი 105:88 კლივლენდი**

**ლეიკერსი:** გასოლი (22 ქულა 12 მოხსნა), ბრაიანტი (20 ქულა, 12 პასი, 6 მოხსნა), ბაინამი (14)

**კლივლენდი:** ლეიმსი (23), უილიამსი (16), ბავლოვიჩი (12)

უშელავათო ბრძოლა იგეგმებოდა ორი უკაშკაშესი ვარსკვლავის — კობი ბრაიანტისა და ლებრონ ჯეიმსის გუნდების შეხვედრაში, მაგრამ მოლოდინით აღსავსე მაყურებელს დიდი იმედგაცრუება შეხვდა. „ლეიკერსმა" იოლად აჯობა „კლივლენდს", რომელიც შინ კია დაუმარცხებელი, მაგრამ გასვლებზე აგრესია და დამაჯერებლობა აკლია და ზედიზედ ხუთი მოგების შემდეგ ასე უბრძოლველად ჩაბარდა მტერს.

იოლ გამარჯვებას რა ჯობია, მაგრამ ლოსანჯელესელთა გულის გასახეთქად ბრაიანტმა მატჩის დასაწყისში თითი იღრძო და მთელი 40 წუთი ასე თამაშობდა, 22 სროლიდან 13 ააცილა და ეგებ შემდეგი მატჩის გამოტოვებაც კი მოუხდეს.

21 იანვარი. ნიუ იორკი

**ნიუ იორკი 114:109 ფინიქსი**

**ნიუ იორკი:** ლი (25 ქულა, 16 მოხსნა), რობინსონი (20), დუჰონი (19), ჰარინგტონი (17)

**ფინიქსი:** რიჩარდსონი (27), ონილი (21 ქულა, 12 მოხსნა), სტუდემაიერი (20), ნეში (9 ქულა, 19 პასი, 6 მოხსნა)

მაიკ დანტონიმ მაიც იყარა ძველი გუნდის ჯავრი და „ნიუ იორკს" „ფინიქსი" დაამარცხებინა. ეს იყო ამ გუნდების მეორე და უკანასკნელი შეხვედრა მიმდინარე სეზონში. პირველი „ფინიქსმა" 8 ქულით მოიგო, საპასუხოში კი გაცილებით სუსტმა „ნიუ იორკმა" იძალა მიუხედავად იმისა, რომ დამარცხებულთა ლიდერმა სტივ ნეშმა 19 პასი გაჩარხა.

„მეც ადამიანი ვარ და მესიამოვნა ეს მოგება" — ნამატჩევს კმაყოფილებას ცუდად მალავდა დანტონი.

### აღმოსავლეთი

| | მოგ | წაგ | % | შინ | გას | ზედიზედ | ბოლო 10 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | | | | | |
| ბოსტონი | 36 | 9 | 80,0 | 21-2 | 15-7 | 7 მოგ | 7-3 |
| ფილადელფია | 21 | 21 | 50,0 | 12-9 | 9-12 | 1 მოგ | 8-2 |
| ნიუ ჯერსი | 20 | 24 | 45,5 | 9-14 | 11-10 | 1 მოგ | 4-6 |
| ნიუ იორკი | 18 | 25 | 41,9 | 12-9 | 6-16 | 1 წაგ | 5-5 |
| ტორონტო | 17 | 28 | 37,8 | 8-12 | 9-16 | 1 მოგ | 3-7 |
| **ცენტრალური** | | | | | | | |
| კლივლენდი | 34 | 8 | 81,0 | 20-0 | 14-8 | 3 მოგ | 7-3 |
| დეტროიტი | 24 | 18 | 57,1 | 13-8 | 11-10 | 1 წაგ | 3-7 |
| მილუოკი | 22 | 25 | 46,8 | 13-7 | 9-18 | 1 მოგ | 5-5 |
| ჩიკაგო | 18 | 26 | 40,9 | 13-10 | 5-16 | 4 წაგ | 4-6 |
| ინდიანა | 16 | 27 | 37,2 | 10-9 | 6-18 | 1 მოგ | 4-6 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | | |
| ორლანდო | 33 | 10 | 76,7 | 16-4 | 17-6 | 2 წაგ | 7-3 |
| ატლანტა | 26 | 16 | 61,9 | 17-4 | 9-12 | 3 მოგ | 5-5 |
| მაიამი | 23 | 19 | 54,8 | 13-7 | 10-12 | 1 მოგ | 5-5 |
| შარლოტი | 18 | 25 | 41,9 | 13-13 | 5-12 | 2 მოგ | 7-3 |
| ვაშინგტონი | 9 | 34 | 20,9 | 6-15 | 3-19 | 2 წაგ | 2-8 |

### დასავლეთი

| | მოგ | წაგ | % | შინ | გას | ზედიზედ | ბოლო 10 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **სამხრეთ-დასავლეთი** | | | | | | | |
| სან ანტონიო | 29 | 13 | 69,0 | 17-7 | 12-6 | 4 მოგ | 8-2 |
| ნიუ ორლეანი | 26 | 14 | 65,0 | 14-5 | 12-9 | 1 წაგ | 6-4 |
| ჰიუსტონი | 27 | 17 | 61,4 | 15-5 | 12-12 | 1 წაგ | 6-4 |
| დალასი | 25 | 18 | 58,1 | 13-7 | 12-11 | 1 მოგ | 5-5 |
| მემფისი | 11 | 32 | 25,6 | 9-15 | 2-17 | 9 წაგ | 1-9 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | | |
| დენვერი | 28 | 15 | 65,1 | 17-6 | 11-9 | 1 მოგ | 7-3 |
| პორტლენდი | 26 | 17 | 60,5 | 16-5 | 10-12 | 1 მოგ | 6-4 |
| იუტა | 25 | 19 | 56,8 | 17-5 | 8-14 | 2 წაგ | 6-4 |
| მინესოტა | 14 | 27 | 34,1 | 7-13 | 7-14 | 1 მოგ | 8-2 |
| ოკლაჰომა | 9 | 35 | 20,5 | 6-17 | 3-18 | 1 წაგ | 5-5 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | | |
| ლეიკერსი | 34 | 8 | 81,0 | 22-3 | 12-5 | 3 მოგ | 7-3 |
| ფინიქსი | 23 | 18 | 56,1 | 12-8 | 11-10 | 3 წაგ | 4-6 |
| გოლდენ სტეიტი | 13 | 31 | 29,5 | 9-11 | 4-20 | 2 წაგ | 3-7 |
| კლიპერსი | 10 | 32 | 23,8 | 5-18 | 5-14 | 1 მოგ | 2-8 |
| საკრამენტო | 10 | 34 | 22,7 | 7-15 | 3-19 | 4 წაგ | 2-8 |

კვირის მატჩი. 22 იანვარი. ორლანდო

**ორლანდო 80:90 ბოსტონი**

19:24 17:20 18:21 26:25

**ორლანდო:** ნელსონი (17), ლი, თურქოღლუ (22), ლუისი (20 ქულა, 10 მოხსნა), ჰოვარდი (11 ქულა, 11 მოხსნა); რედიკი (6), ჯონსონი (4), ბათი, ბოგანსი, გორტატი

**ბოსტონი:** რონდო (9), რ. ალენი (12), პირსი (27 ქულა, 10 მოხსნა), გარნეტი (16), პერკინსი (7); დევისი (16), სკალაბრინი (3), პაუსი, პრუიტი, პოუი

# მშვიდი მეშვიდე

## ბოსტონმა ორლანდოს იდილია დაურღვია

**ბევრმა** კარგმა გუნდმა იწვნია ლიდერებში ერთბაშად აღზევებული „ორლანდოს" ძალა. რამდენიმე წელი ერთი მაისურით თამაშმა ერთ მუშტად შეკრა ორლანდოელები და ეს მუშტი ბევრს მწარედ ხვდება, მაგრამ „მეჯიქს" მაინც რაღაც აკლია. ალბათ, ის წრთობა, რასაც პლეი ოფის დარჯაკში გავლილი გუნდები ატარებენ. „ორლანდო" ჯერ სრულად ვერ ფლობს პრინციპული თამაშების მოგების ყველა ფანდს და ამიტომაც წააგო ჩემპიონ „ბოსტონთან" საშინაო შეხვედრა, რაც აღმოსავლეთში ლიდერობის დაკარგვად დაუჯდა.

არადა, „ორლანდომ" წაუგებლად მოიარა დასავლეთი, ერთმანეთზე უკეთესი გუნდები გაამწარა. დასასვენებლადაც საკმარისზე მეტი დრო ჰქონდა — სრული ოთხი თავისუფალი დღე. მაგრამ მოგებათა შვიდმატჩიანი სერია შეწყვიტა იმ გუნდთან ვისაც, რაღაც დამთხვევით და მისი ძლევის ხარჯზე მოუგროვდა მიყოლებით ასევე შვიდი გამარჯვება.

მაინც რის გამო წააგო ეს თამაში „ორლანდომ"? მწვრთნელი სტენ ვან განდი ერთადერთ კაცს ადანაშაულებდა — საკუთარ თავს — ვერ მივიღე სწორი გადაწყვეტილებები და გუნდი ვერ ავამოძრავეო. „ბოსტონის" დაცვამ ნბა-ს ყველაზე ტიტულოვან გუნდს შარშან მე-17 ჩემპიონობა მოუტანა. იმავ დაცვის წყალობით ჩემპიონებმა ამ შეხვედრის მასპინძლებს პატარა გაკვეთილი ჩაუტარეს.

„ბოსტონმა" პირველ რიგში ყველაფერი იღონა, რათა ნბა-ს საუკეთესო ცენტრი დუაიტ ჰოვარდი გაეჩერებინა და ამ მხრივ დოკ რივერსის ყველა დავალება კარგად შეასრულეს მისმა შეგირდებმა — საშუალოდ 20 ქულისა და 14 მოხსნის მკეთებელმა ჰოვარდმა მატჩი 11 ქულით და 11 მოხსნით დაასრულა, თანაც ბოსტონელები პრაქტიკულად არ დაჯარიმებულან მასზე, თავად ჰოვარდი კი 6 პერსონალურით ვადაზე ადრე გავარდა. გარდა ამისა „ბოსტონმა" პერიმეტრიც გადაკეტა და სამქულიანების ბითუმად მსროლელ „ორლანდოს" მანმადე იოლი ცხოვრება გაურთულა. ჰედო თურქოღლუმ მაინც მოახერხა 4 სამიანის ჩაგდება, მაგრამ სხვებმა მხოლოდ სამი წაამატეს და საერთო საქმეს ეს ნაღდად არ ეყო. სწორედ ასე ამოიწურა „ჯადოთა" შეტევაში განავარდების ყველა შესაძლებლობა. ამას ჩიოდა ვან განდი ნამატჩევს — გუნდი ვერ ავამოძრავეო. ეტყობა, ძალიან ემწარა, მოსალოდნელ საპლეიოფო მეტოქესთან მხოლოდ 80 ქულა რომ მოუგროვდა და ეს სეზონის ანტირეკორდად ჩაეწერა.

შეტევაში არც „კელტებს" უფრენიათ, მაგრამ პოლ პირსის მეთაურობით მეტოქეზე ბევრად დამაჯერებლად კი ითამაშეს — თანდათან, მეთოდურად ზრდიდნენ სხვაობას და ბოლო მეოთხედის წინ 11-ქულიანი უპირატესობა შეიქმნეს, რაც სავსებით ეყოთ.

აი, ასე დაბრუნდა „ბოსტონი" კონფერენციის ტახტზე, რომელიც მაშინ დაკარგა, როდესაც ზედიზედ 19 მოგებას უხეირო სერია მიაყოლა და ბევრი თამაში უაზროდ წააგო. არა, ამ გემს ჯერ დრო არ მოუჭამია და არც ჩაძირვას აპირებს.

# ოლ სტარის ხუთეულები

**გასულ** კვირას დასრულდა ყველა ვარსკვლავის მატჩისთვის სასტარტო ხუთეულების გამოსავლენი გამოკითხვა. პროცესი წარმოებდა ინტერნეტით და გამოვლენილი 10 სასტარტოდან ყველაზე მეტი ხმა მიიღო არა მილიარდნახევრიანი ჩინეთის შვილმა იაო მინმა, არა კობი ბრაიანტმა, არა ლებრონ ჯეიმსმა — არამედ, „ორლანდო მეჯიქის" 23 წლის ცენტრმა დუაიტ ჰოვარდმა, რომელიც მიმდინარე სეზონში თავად ხომ გადასარევად თამაშობს და გუნდიც ლიდერებში ალაზევა, ცხადია, თანაგუნდელთა დიდი დახმარებით. ჰოვარდმა სამ მილიონზე მეტი ხმა მიიღო და ნახევარი მილიონი ხმით გააუმჯობესა მსგავსი გამოკითხვების რეკორდი, რომელიც 2005 წელს მთელმა ჩინეთმა დაამყარებინა იაო მინს.

| აღმოსავლეთი | დასავლეთი |
|---|---|
| ალენ აივერსონი (დეტროიტი) | კრის პოლი (ნიუ ორლეანი) |
| დუეინ უეიდი (მაიამი) | კობი ბრაიანტი (ლეიკერსი) |
| ლებრონ ჯეიმსი (კლივლენდი) | ამარე სტუდემაიერი (ფინიქსი) |
| კევინ გარნეტი (ბოსტონი) | ტიმ დანკანი (სან ანტონიო) |
| დუაიტ ჰოვარდი (ორლანდო) | იაო მინი (ჰიუსტონი) |

ოლ სტარი 15 თებერვალს ქალაქ ფინიქსში გაიმართება. 7-7 სათადარიგოს ნბა-ს გუნდების მთავარი მწვრთნელები აირჩევენ.

# შავი კაცი თეთრ სახლში

## ბარაკ ობამა, ამერიკის ყველაზე საკალათბურთო პრეზიდენტი

„მე ვთამაშობ კალათბურთს დიდი ვნებით და [illegible] და ამით ვანაზღაურებ ნიჭის ნაკლებობას.“

ბარაკ ობამა ავტობიოგრაფიულ წიგნში — „ოცნებები მამაჩემისგან“

### ნუ სტირი, მაიკლ

;„ბავშვივით ვტიროდი იმ დღეს“ — უპასუხა ჟურნალისტებს მაიკლ ჯორდანმა, როცა ჰკითხეს, რა გრძნობა დაგეუფლათ ბარაკ ობამას პრეზიდენტად არჩევის შემდეგო. განა რა მოხდა ისეთი, რამაც ჯორდანი აატირა და მერე ამაზე ასეთი სიამაყით აალაპარაკა? მას მერე, რაც სრულწლოვანი გახდა და არჩევნებში მონაწილეობის უფლება მიიღო, შტატებში ხუთი პრეზიდენტი გამოიცვალა, მაგრამ დიად კალათბურთელს არცერთის ხელისუფლებაში მისვლა ასე მძაფრად არ განუცდია.

საქმე ისაა, რომ მაიკლ ჯორდანი ზანგია და ცხოვრობს იმ ქვეყანაში, სადაც ზანგები საუკუნენახევრის წინ მონები იყვნენ და მრავალი ცვლილების მიუხედავად ცხოვრებაში მაინც შეზღუდული გაქანება ჰქონდათ. ვინ იოცნებებდა შავკანიან პრეზიდენტზე იქ, სადაც მმართველები იტალიური, ლათინური და სლავური ფესვების ხალხიც კი ვერ ხდებოდა?

მაგრამ ნოემბრის ერთ მშვენიერ დღეს, როდესაც მსოფლიოს უძლიერესმა ქვეყანამ ისტორიის საჭე ერთბაშად მოატრიალა და სულ სხვა მიმართულებით აიღო გეზი, ჯორდანიც ტიროდა და კიდევ ბევრი მილიონი ადამიანი იყო მის დღეში.

მართალი რომ ითქვას, ობამა არცაა ნამდვილი შავკანიანი. მისი საქმე 50/50-ზეა, რომ იტყვიან ფიფთი-ფიფთიო. დედა 100 პროცენტიანი თეთრკანიანი იყო, მამა კი 100-პროცენტიანი შავკანიანი, ამასთან კენიელი. მათ პირმშოს მსოფლიოს ბევრ ალაგში მულატს უწოდებდნენ, მაგრამ ანგლოსაქსური მმართველობის ქვეყანაში მისი პრეზიდენტად არჩევა ნამდვილი ფურორი და სასწაულია.

ობამას მშობლები ვერ მოესწრნენ თავიანთი შვილის 44-ე პრეზიდენტად არჩევას. მამა, ბარაკ ობამა-უფროსი 1982 წელს დაიღუპა, დედა, ენ დანჰემი კი 1995 წელს. მაგრამ ყველა შავკანიანისთვის ის შვილივით, ძმასავით და მამასავით საყვარელია და მხარდამჭერთა უზარმაზარი არმია ყავს. „ოკლაჰომას“ ლიდერი კევინ დურანტი იძახდა — დედაჩემი რკინის ქალია, მაგრამ არჩევნების მერე რომ დამირეკა, ტირილს ვერ იკავებდაო.

### ნბა და ობამა

არ არსებობს ნბა-ში აფროამერიკელი მოთამაშე, რომელიც ობამას არ უჭერდეს მხარს, თანაც არა მხოლოდ მორალურად და სიტყვიერად, არამედ ფინანსურად და კონკრეტული საქმით. ყველა წარსულის ლეგენდა და მოქმედი სუპერვარსკვლავი, მეჯიქით და ჯორდანით დაწყებული და კორი მაგეტით დამთავრებული, ერთი დიდი დროშის ქვეშ გაერთიანდნენ და ახალი ისტორიის მშენებლობაში თავისი აგური დადეს. ჩარლზ ბარკლი, ჯო დუმარსი, აიზია ტომასი, გრანტ ჰილი, დუაიტ ჰოვარდი, შონ მერიონი, ზო მურნინგი და ასეულობით სხვა, ანუ პრაქტიკულად ყველა... ყველასგან ათვალწუნებულმა სტივ მარბერიმაც გაიღო თავისი არაფერში ალებული ხელფასიდან გვარიანი თანხა.



ნბა-ს მოთამაშეთაგან ჯონ მაკკეინს ხმამაღლა მხოლოდ სპენსერ ჰოუისმა დაუჭირა მხარი

განა მხოლოდ შავკანიანები? სრულიად თეთრი და ბუდისტური ფილოსოფიის მოქადაგე ფილ ჯექსონიც დემოკრატ კანდიდატს მიემხრო. „საკრამენტოს“ მილიარდელი მფლობელი გევინ მალოფიც სახალხოდ ნათქვამ ყოველ სიტყვას ობამას ქებით ასრულებდა. ქერა და ცისფერთვალება ლუკ უოლტონმაც მიიღო აქტიური მონაწილეობა „შავ რევოლუციაში“, ისევე როგორც ლეგენდარულმა მამამისმა, 70-იანებში ჰიპური მოძრაობის აქტივისტმა ბილ უოლტონმა.

ნბა-ს მოთამაშეთაგან მხოლოდ „საკრამენტოს“ ახმახმა თეთრმა ცენტრმა სპენსერ ჰ იუისმა გამოხატა ხმამაღლა ჯონ მაკკეინის მხარდაჭერა.

„კლივლენდის“ გამთამაშებელი მო უილიამსი ასე ხსნის ობამას პოპულარობას — „იგი ასოცირდება სულიერ ბრძოლასთან, ერთობასთან, იმ ღირებულებებთან, რასაც შეეწირა მარტინ ლუთერ კინგი. ის ასოცირდება ერთიან და მთლიან ამერიკასთან და ისაა ნამდვილი, ყოველმხრივი თანასწორობის სიმბოლო.“

### სუფთა გულით

„კი მაგრამ, ობამას ახალი საგადასახადო პოლიტიკა ხომ მიარტყავს მდიდართა ჯიბეს?“ —ასეთი კითხვა წესით კი უნდა გასჩენოდათ ნბა-ს მილიონერ ვარსკვლავებს, მაგრამ საერთო იდეით ერთი დიდი დროშის ქვეშ გაერთიანებულებს არ აღელვებთ ხელფასების მოსალოდნელი სეკვესტრები, იმდენად ძლიერი იყო მათი ოცნება, ქვეყნის სათავეში მათი მსგავსი ადამიანი ეხილათ.

კონგოში დაბადებული ვეტერანი ვარსკვლავი დიკემბე მუტომბო 2006 წელს აშშ-ს მოქალაქე შეიქნა, ახლა პირველად მიიღო არჩევნებში მონაწილეობა და მგონი, თავად ობამაზე მეტადაც უხარია მისი გამარჯვება — „უბედნიერესი ადამიანი ვარ, რომ აფრიკის კიდევ ერთი შვილი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი გახდა — კაცი, რომელსაც ჩემი ფესვები და ჩემი სისხლი აქვს, კაცი, რომელიც იგივე პრინციპებს და შეხედულებებს იზიარებს, რასაც მე. მას შეეძლო, აფრიკა საერთოდ დაევიწყებინა, მაგრამ პოლიტიკური ცხოვრების დაწყებამდე ძალიან დიდი ხნით ადრე ჩავიდა ისტორიულ სამშობლოში და მოინახულა სოფელი, სადაც მამამისი გაიზარდა, გაიცნო ბებია და პაპა. არადა, შეეძლო მშვიდად მჯდარიყო სახლში და უდრტვინველი ცხოვრებით ეცხოვრა ასეთ აწყობილ ყვეყანაში. მაგრამ მისთვის სულერთი არაა აფრიკა და ამის გამო ვაფასებთ ჩვენ ყველა.“

მუტომბო 1966 წელს დაიბადა ტირანი მმართველის, მობუტუ სესე სეკოს უღელქვეშ მოხრილ ზაირში (ამ ქვეყანას ახლა კონგო ჰქვია) და „თავისუფლების ცნება“ მისთვის რაღაც აბსტრაქტული სიტყვა ნამდვილად არაა. ოთხი უცხო ენის და ხუთი აფრიკული დიალექტის მცოდნე დიკემბე მუტომბო მფოლონდო მუკამბა ჯან-ჯაკ ვამუტომბო მთელი ცხოვრება ქველმოქმედებდა და ნბა-ში მრავალმილიონიანი შემოსავლის ნახევარზე მეტს სამშობლოს ახმარდა. დედაქალაქ კინშასაშიააშენა 300-საწოლიანი საავადმყოფო და ყველანაირად ცდილობს მე-20 საუკუნეში დამარცხებულ ისეთი დაავადების კიდევ ერთხელ დამარცხებას, როგორიცაა მალარია. როგორ ფიქრობთ, ოდნავ მაინც დაეჭვდებოდა საპრეზიდენტო არჩევანში?

ათეულობით გამოკითხული ნბა-ს მოთამაშეებიდან და მწვრთნელებიდან ერთსაც კი არ დაუჩივლია გადასახადების გაზრდაზე და ხელფასების შეკვეცაზე.

### ჩვენი შვილები ბოლომდე თავისუფლები იქნებიან



ისევ მუტომბო — „ბარაკმა არჩევნები რომ მოიგო, ჩემი 7 წლის ბიჭი სიხარულით იძახდა „მამიკო,- ახლა მე თავისუფალი ვარ!“ ცოტა გამიკვირდა და ვკითხე, რისგან ხარ თავისუფალი-მეთქი. თავად კარგად კი ვხვდები, რისი თქმაც უნდოდა. ასეთი მოვლენა ყველა ადამიანის ფსიქოლოგიას ცვლის, წარმოგიდგენიათ, რა ფართო ჰორიზონტი გადაეშლებათ ასეთი შთაბეჭდილებებით გაზრდილ ჩემი შვილის ტოლა ბავშვებს?!“

„ვაშინგტონ ვიზარდსის“ ვარსკვლავი ანთაუნ ჯემისონი — „ბავშვობაში ყველას გვქონდა ჩვენი ოცნება, თუ რად გვინდოდა გახდომა. ვოცნებობდით კალათბურთელობაზე, მეხანძრეობაზე, პოლიციელობაზე, მუსიკოსობაზე... მაგრამ არა პრეზიდენტობაზე. ეს თავშიც კი არავის მოგვივიდოდა, მაგრამ თეთრ სახლში შავკანიანი კაცის მისვლით ძალიან ბევრი რამ იცვლება, ყველა საზღვარი იშლება, ყველაფერზე ოცნება შეიძლება და თუ მართლა ღირსი ხარ, თვით პრეზიდენტიც კი შეიძლება გახდე.“

### ამერიკის გარეთ

ობამათი აღფრთოვანებულები არიან ნბა-ს არაამერიკელი ვარსკვლავებიც.

დირკ ნოვიცკი, გერმანია — „შარშან ივლისში ობამა ბერლინში ჩამოვიდა და მისმა გამოსვლამ „ტენგარტენ პარკში“ 200 ათასი კაცი შეკრიბა. ის გულახდილად საუბრობდა და მსოფლიოს განიხილავდა როგორც ერთიანს, ათანაბრებდა ყველა ადამიანს. ძალიან კარგი გამოსვლა იყო, ყველა მივხვდით, რომ შტატების მომავალ პრეზიდენტს ვუყურებდით.“

კანადელი სტივ ნეში ხმას შტატებში არ აძლებს, მაგრამ ბუნებით პაციფისტია და ყოველთვის დემონსტრაციულად გამოხატავდა რესპუბლიკელი ბუშით უკმაყოფილებას. ერაყის მეორე ომის დროს მან ოლსტარის დროს გულზე წაიწერა — NO WAR! მერე კი მის მაისურაზე ასეთი წარწერაც გაჩნდა — „ნუ ესვრით ადამიანებს, ისროლეთ ბურთი კალათში!“

ახლა, ცხადია, ობამას მხარდამჭერთა არმიაშია და იმედოვნებს, რომ ახალი პრეზიდენტი შეპირებისამებრ შეამცირებს ერაყში ამერიკელ ჯარისკაცთა რაოდენობას.

### რამდენად კარგი მოთამაშეა ობამა?

არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბარაკ ობამა ყველაზე „საკალათბურთო“ პრეზიდენტია და ამაზე ორიოდ კვირის წინაც მოგიყევით. ბავშვობაში კარდათ თამაშობდა და ახლაც არა უშავს. ინაუგურაციის შემდეგ კი სსოფლიოში უძლიერესი თავდასხმის გამთამაშებელი შეიქნა.

მაგრამ მის ნბა-ელ მხარდამჭერებს, ცხადია, დრიბლინგში ვერ აჯობებს. ამ საერთო ეიფორიაში გამოჩნდა კიდეც მის საკალათბურთო მონაცემებში დაეჭვებული ერთი ყოფილი ვარსკვლავი.

90-იანი წლების „ფინიქსის“ სუპერგამთამაშებელი კევინ ჯონსონი თუ გახსოვთ? ეს სიმპათიური მობურთალი ახლა კალიფორნიის შტატის მთავარქალაქ საკრამენტოს მერია და ობამას არა პოლიტიკურ დებატებში, არამედ ერთი-ერთზე სათამაშოდ იწვევს. უფრო სწორად, საქმე ასე იყო — ჯონსონმა ობამას გასაგონად იხუმრა, ჯარისკაცებთან მაგრად კი თამაშობს, მაგრამ ურჩევნია, მოედანზე მე ნუ შემეჯიბრება. ეს მაგისი პირველი შეცდომა იქნება პრეზიდენტის პოსტზეო.

**ირაკლი ფირაშვილი**



კარიკატურა: კალათბურთელი ობამა ოპონენტ მაკკეინს ბურთს თავზე ატენის

# ის, რითიც ვცოცხლობ

## არაფერი გამოდის, უბრალოდ სიტყვებია

**მიზანდასახულია და მეტისკენ მიისწრაფვის, თითქმის მთელ დროს კალათბურთს უთმობს... ანატოლი ბოისას „ენერჯი ინვესტის“ წასვლის მიზეზებზეც ვესაუბრეთ და გულახდილი პასუხიც მივიღეთ. დანარჩენს კი ინტერვიუში წაიკითხავთ...**

— მოდი, შენი პირველი ნაბიჯებით დავიწყოთ...

— 10 წლის ვიყავი, თამაში რომ დავიწყე. ჩემი პირველი გუნდი „რუსთავი“ იყო. 2000-02 წლებში ორ ამერიკულ გუნდში „მოდლანდ კოლეჯში“ და „ლინკოლნ მემორიალ უნივერსიტეტში“ ვითამაშე.

— გაკმაყოფილებს ის, რასაც აქამდე მიაღწიე?

— ზოგადად კმაყოფილი ვარ, მაგრამ ყველა სპორტსმენს აქვს მიზანი, მისწრაფება უფრო მეტისკენ. ყოველთვის უფრო მეტი გწყურია.

— კალათბურთის გარდა რით ხარ დაკავებული?

— კალათბურთი არის ის, რითაც ვცოცხლობ, მხოლოდ ამით ვარ დაკავებული და ჩემ ძირითად დროს მას ვუთმობ.

— თუ ყოფილა შენს კარიერაში პერიოდი, როცა გითქვამს: „ეს ჩემი საქმე არ არის“?

— კი, ხდება, როცა პირადი და პროფესიული პრობლემები ერთმანეთს ემატება. გეჩვენება, თითქოს არაფერი გამოგდის და იტყვი, „ეს ჩემი საქმე არ არის, არაფერი გამოდის“ — მაგრამ ეს უბრალოდ სიტყვებია.




— რა სირთულეები შეგქმნია ან საერთოდ თუ გქონია პრობლემები, კალათბურთის თამაში რომ დაიწყე?

— კალათბურთელად ჩამოსაყალიბებლად ბევრი შრომაა საჭირო. ბევრი რამ გვერდზე უნდა გადადო. ამერიკაში წასვლაც ჩემი ძმის დახმარებით მოვახერხე. წელიწადნახევარი ვცდილობდი წასვლას.

— გამოდის, რომ უფრომა ძმამ, ვოვამ, შენ კალათბურთელად ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი შეიტანა...

— დიახ, ასეა. ის, რომ დღეს კალათბურთში ვარ, ჩემი ძმის ხელშეწყობით მოვახერხე. რაც შეეხება წარმატებებს, ეს უკვე ჩემი მონდომების შედეგია.

— რამდენად მნიშვნელოვანია შენთვის მაყურებლის მხარდაჭერას და რამდენად აზარტულია ქართველი მაყურებელი?

— მაყურებლის დარბაზში ყოფნისას თამაშს აზრი ეძლევა. თუმცა ჩვენთან ფანობის კულტურა ჯერ არ არის. უცხოეთში სულ სხვა მიდგომაა. მეორე მხრივ, მაყურებელს ვერ დაადანაშაულებ, იმიტომ რომ არ ვართ ისეთ დონეზე. აი, ნახევარფინალებსა და ფინალებში ეტყობა ხალხს, რომ მართლა გულიანად უჭერს მხარს თავის ფავორიტს.

— უცხოეთში თუ გყავთ გულშემატკივრები?

— არ მქონია შესაძლებლობა და ახლა მინდა მადლობა გადავუხადო სლოვაკეთსა და ირლანდიაში ჩატარებულ მატჩებზე მოსულ ქართველ გულშემატკივრებს. შედარებით ნაკლები ქომაგი გვყავდა შვედეთში ჩატარებულ მატჩზე, მაგრამ ესეც, ალბათ, იმ მიზეზით, რომ მატჩი დედაქალაქში არ ჩატარებულა. საერთოდ კი, ქართველი გულშემატკივრები მოდიან და მხარს გვიჭერენ, ეს ყოველთვის იგრძნობა.

— რა მიზეზით დატოვე რუსთავის „ენერჯი ინვესტი“?

— „ენერჯი ინვესტი“ კი არ დავტოვე, დამატოვებინეს. მწვრთნელთან კონფლიქტი მქონდა აზრთა სხვადასხვაობის გამო. გუნდი თებერვალში დამატოვებინეს, თან ისეთ დროს, სხვა გუნდში გადასვლა რომ არ შემეძლო. ამ სეზონში კი „ავიამშენს“ შევუერთდი.

— როგორ შეაფასებ სუპერლიგის პირველ წრეს?

— უკეთესი შედეგის მიღწევაც შეიძლებოდა. მეორე წრეში მეტი მონდომებით ვითამაშებთ. ბევრი მაქვს დასამტკიცებელი, პირადად მეც და ჩვენი გუნდის თითოეულ მოთამაშესაც.

— ჯერ ადრეა, მაგრამ თუ გიფიქრია, რას გააკეთებ კარიერის დასრულების მერე?

— არ ვიცი, როდემდე ვითამაშებ. „სანამ შევძლებ“, ცოტა ცუდად ჟღერს... როცა მივხვდები, რომ ჩემი თამაშიც გუნდს ველარ ვეხმარები, თამაშსაც შევეშვები. არ ვიცი, მომავალში რას გავაკეთებ. არასდროს იცი, ცხოვრება სად გადაგახვევინებს, მაგრამ ერთი ვიცი, ყოველთვის მექნება შეხება კალათბურთთან.

**სალომე ძლიერაშვილი**






ვიქტორ სანიკიძის და გიორგი ცინცაძის „ტარტუმ“ მთავარი კონკურენტი დაამარცხა

# როკერების კარგი დროება

**ზაზა ფაჩულიამ** „ტორონტო რეპტორზთან“ 87:84 მოგებულ მატჩში მოედანი უქულოდ დატოვა. 10 წუთში ვერაფერი გამოადნო და ამით გაბრაზებულმა სტუმრად „ბულზთან“ გამოიდო თავი. ქართველმა ცენტრმა, ვინც მთავარი კონკურენტის ალ ჰორფორდის არყოფნაში ძირითადის მოთამაშედ იქცა, ჩიკაგოელებს მიმდინარე სეზონში სარეკორდო 18 ქულა ჩაუგდო. ამას 4 მოხსნა, 1 პასი და 1 დაფარება დაამატა და ჯორჯიელებს გამარჯვებაში გვარიანად დაეხმარა — 105:102. ქართველმა მოედანზე 39 წუთი დაჰყო.

„ატლანტამ“ კი მიჯრით მესამე თამაში მოიგო. ფაჩულიას გუნდმა „მილუოკი ბაქსი“ გამოიჭირა — 117:87. ზაზამ 22 წუთში 9 ქულა, 6 მოხსნა, 2 პასი და 1 დაფარება გაჩარხა.

ესპანეთში ნიკა ცქიტიშვილის „ფუენლაბრადამ“ თორნიკე შენგელიას „ვალენსიას“ 77:64 მოუგო. შენგელიას არ უთამაშია. ცქიტიშვილმა კი 19 წუთში 2 ქულა, 6 მოხსნა და 1 პასი მოაგროვა. 18 ტურის შემდეგ „ცქიტოს“ გუნდი მე-8 ადგილზეა.

შინ წააგო „ვივამენორკამ“ 64:68 ბილბაოს „იურბეტიასთან“. ვლადიმერ ბოისა 17 წუთში 3 მოხსნას დასჯერდა. ქართველის გუნდი მე-13 ადგილზეა.

კარგი დროება უდგათ ქართველ „როკერებს“. გიორგი ცინცაძის და ვიქტორ სანიკიძის „ტარტუმ“ ჩემპიონატში მთავარ კონკურენტ „კალევს“ 80:62 მოუგო — ვიქტორმა 28 წუთში 15 მოხსნა, 11 ქულა და 1 პასი გააკეთა. ეს მისი ზედიზედ მეორე ორმაგი დუბლია. ცინცაძემ კი 36 წუთში 16 ქულა, 2 მოხსნა, 5 პასი და 4 ჩაჭრა გაჩარხა.

„როკერებმა“ ბალტიის ლიგაზეც იყოჩაღეს. რიგაში „ბარონსი“ 88:86 დაამარცხეს. ახლა 6 მოგების წილ 8 მარცხი აქვთ. ჩვენებმა ერთად 42 ქულა გააკეთეს. ცინცაძემ 38 წუთში 21 ქულა, 6 პასი და 2 ჩაჭრა გაშანსა. სანიკიძის აქტივში 31 წუთში 21 ქულა, 7 მოხსნა, 5 პასი, 1 დაფარებაა.

უკრაინის ჩემპიონატში ზედიზედ ორჯერ მოიგო მანუჩარ მარკოიშვილის „ბკ კიევმა“ და ლიდერობა შეინარჩუნა. კიეველებმა „ნიკოლაევს“ 91:60 აჯობეს. მანუჩარმა 22 წუთში 15 ქულა, 2 პასი და 2 ჩაჭრა დააგროვა.

მარკოიშვილის გუნდს არც „პოლტავას“ სტუმრად დაჩაგვრა გასჭირვებია — 90:80. ქართველმა 28 წუთში 7 ქულა, 4 მოხსნა, 2 პასი და 1 ჩაჭრა იკმარა.

ჭადრაკი

# ნონა ისევ დამარცხდა

**საქართველოს** მოჭადრაკეთა ჩემპიონატს ვაჟთა შორის მიხეილ მჭედლიშვილი ლიდერობს 5,5 ქულით. მან მე-8 ტურში თეთრი ფიგურებით დავით ბენიძე დაამარცხა. მეორე ადგილზე 5 ქულით მერაბ გაგუნაშვილია. ლიდერებს მნიშვნელოვნად ჩამორჩება ლევან ფანცულაია — 3,5. ქალთა შორის ლიდერობას ნაზი პაიკიძე და მაია ლომინეიშვილი იყოფენ 5,0 ქულით. პაიკიძემ შავი ფიგურებით ნონა გაფრინდაშვილს მოუგო. ლომინეიშვილმა კი თეთრი ფიგურებით ქეთი წაწალაშვილს აჯობა.

სუმო

# ქართველები გადარჩნენ

**იანვრის** ბაშოზე 23-ედ იჩემპიონა ლეგენდად ქცეულმა მონღოლმა იოკუძუნა ასასიორიუმ, ვინაც ოდენ ერთი ბრძოლა წააგო, უფრო დაწვრილებით კი ქართველთა ამბები ვთქვათ.

კოკაიდ წოდებულმა ლევან ცაგურიამ ძალიან ცუდად იჭიდავა და 10 წაგების წილ ოდენ 5 მოგება დაუგროვდა. ახლა უეჭველია, რომ კოკაი დასავლეთის მე-4 მაეგაშირობიდან დაქვეითდება, თუმცა მაკუუჩი დივიზიონიდან გავარდნა არ ემუქრება.

აი, მეორე ქართველი ლევან გორგაძე კი რეალურად იდგა უმაღლესი დივიზიონიდან გავარდნის საფრთხის წინაშე და სასწაულად გადარჩა. ბოლო ოთხ ორთაბრძოლაში ოთხივე უნდა მოეგო გადასარჩენად და მოახერხა.

რანგით დაბალ, მაკუშიტა დივიზიონში კი თეიმურაზ ჯუღელმა (გაგამარუ) 6 ბრძოლა მოიგო და ერთი წააგო. ამ შედეგით ის რანგით ამაღლდება, ოღონდ რამდენად, ჯერ ცნობილი არ არის.

საქართველოს თასი

# უფულო თსუ კიდევ 1000 ლარით გაღარიბდა

**მეოთხედფინალი**

**ნტდ 75:72 დინამო**

23:21 18:9 20:17 14:25

**ნტდ:** ჩიტაშვილი (2), ფაშაევი (8), სარიევი (10), ნიფტალიევი (7), სუხიშვილი (8), როდუმტა (4), დ. ბარბაქაძე (8), ათუაშვილი (16), ბახშიევი (12)

**დინამო:** გ. ბაქრაძე (8), ნანიტაშვილი (2), ლაფანაშვილი (32), სიგუა (32), ვ. ბოლქვაძე (2), კობიძე (6), ხიზანიშვილი (6), ქადარია (1), ხანიაშვილი (2)

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, გ. მიქელაძე

**ავიამშენი 117:63 ბათუმი**

33:16 27:29 35:13 22:15

**ავიამშენი:** ბერაია (19), ი. ბერიშვილი (13), ნიკოლაძე (7), კვიმსაძე (8), მინაშვილი (11), მათიაშვილი (21), დ. ბერიშვილი (7), ვახანია (4), პირველაშვილი (5), შერმადინი (10)

**ბათუმი:** გვაზავა (4), თავართქილაძე (8), ჩხატარაშვილი (12), კუშელავა (22), მ. ბოლქვაძე (10), კვერნაძე (7)

მსაჯები: დ. ბერეკაშვილი, ხ. გაბედავა

კომისარი: თ. ქიქოძე

**ენერჯი 96:56 შსს**

22:18 21:14 30:7 23:17

**ენერჯი:** გამყრელიძე (14), ბაბიაშვილი (8), დვალიშვილი (3), ლეჟავა (11), დიდია (13), ცაკავა (6), უგრეხელიძე (2), არნიეიძე (11), მაჭავარიანი (4), ტუჯანი (8), ჭოჭუა (16)

**შსს:** ი. ბაქრაძე (2), ბერუაშვილი (4), აბულაძე (6), ბ. ნოზაძე (5), ნინუა (18), პატარაია (9), ქვილითაია (2), გოლეთიანი (8), ფაიქრიძე (2)

მსაჯები: მ. კუპატაძე, გ. მიქელაძე

კომისარი: მ. ქურიძე

**რუსთავის** საკალათბურთო დარბაზში საქართველოს თასის მეოთხედფინალი და ნახევარფინალი გაიმართა, ფინალი კი ხვალ თბილისში, სპორტის სასახლეში ჩატარდება.

მეოთხედფინალში კი, ოქმებს თუ გადაავლებთ თვალს, ორი რამ გენიშნებათ: ერთი, რომ მოულოდნელობა არ მომხდარა და ძლიერებმა იმარჯვეს; მეორე კი ის, რომ ოთხის ნაცვლად სამი თამაში ჩატარდა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი სასოფლო უნივერსიტეტთან სათამაშოდ არ გამოცხადდა, რისი მიზეზიც უსახსრობაა, თუმცა კალათბურთის ფედერაციის წინაშე ეს მიზეზი გასამართლებელ საბუთად ვერ გამოდგება.

გუნდი არ გამოცხადდა და დებულებით 1000-ლარიანი ჯარიმაც გამოეწერება.

ნახევარფინალში მატჩები ასეთი შედეგებით დასრულდა:

**ავიამშენი 73:71 ნტდ**

20:20 19:13 17:19 17:19

**ენერჯი 91:74 სსსუ**

18:24 24:9 30:22 19:19



გერმანელმა ნიჩბოსნებმა იმკე ლუდვიგმა, იუდიტ შულცმა და სიბილ როლერმა 24 საათის განმავლობაში 229 კილომეტრი დაფარეს. ეს ამბავი ბერლინის სანიჩბოსნო კლუბში მოხდა 2003 წლის 2-3 აგვისტოს და ქალთა შორის გინესის რეკორდად ითვლება.

# სახალისო ფოტო



# რას არ გაიგებ კომენტატორისგან

ცაცია — ესაა კარგად შემობრუნებული მარჯვენა.

ნიკოლა ანელკამ საკუთარ ფეხებს გაასწრო.

აუტის ხაზთან ვიღაც წევს და მოედნიდან გასვლას ცდილობს.

სლოვაკეთის ნაკრებს ჰყავს ფეხბურთელები, რომლებსაც კარში დარტყმაც შეუძლიათ.

მოედნის კიდესთან მწვრთნელი ნერვიულობს, ხტუნავს, ხელებს იქნევს, ყვირის, სვამს და ზოგჯერ ეწევა კიდეც.

„ბარსელონა“ 3:1-ს იგებს... უკაცრავად, 2:1-ს, მაგრამ ხომ შეიძლებოდა 3:1-იც ყოფილიყო?

წვიმს. ჰოლანდიაში, საერთოდ, ხშირად და უმიზეზოდ წვიმს.

# სპორტული აფორიზმები

*პენალტის პროვოცირებით, ძალიან იოლად შეიძლება გარიგებული მატჩის ჩატარება.*

*საფეხბურთო კომენტატორი: კაცი, რომელიც პროფესიონალურად გვიშლის ხელს თამაშის ყურებაში.*

*ფეხბურთის მატჩი: მსაჯის საჯტვენის და მაყურებელთა სტვენის ორთაბრძოლა.*

*ფეხბურთში ყველაზე სახიფათო დისტანცია თერთმეტმეტრიანია.*

*კარში დამიზნება საკმარისი არ არის, მეკარესაც უნდა ააცილო.*

*ფეხბურთელმა ხელში ბურთი კი არა, საკუთარი თავი უნდა აიყვანოს.*

*ნუ იტყვი გოლს, სანამ მეკარეს არ მოატყუებ.*

*მატჩის მერე მეკარემ არათუ აკოცა ძელს, ხელიც სთხოვა.*

*ამერიკული ფეხბურთი ბირთვული ომივითაა — აქ არ არიან გამარჯვებულები, მხოლოდ გადარჩენილები არიან.*

*კრივში ყველაზე რთულია, ხელთათმანით რინგიდან საკუთარი კბილები აკრიფო.*

*გამარჯვებული არასდროს ამბობს: „ეს მხოლოდ თამაშია“.*

*ყველაზე მამაკაცური სპორტის სახეობა: ფეხბურთი ტელევიზორში.*

*თუ თქვენ უყურებთ თამაშს — ეს დასვენებაა, თუ მონაწილეობთ — ეს გართობაა, თუ შრომობთ თამაშის დროს — ეს გოლფია.*

*პინგ-პონგის თამაში გვიჩვენებს, პატარა ბურთით როგორი საოცრებების ჩადენა შეიძლება.*

*ნუ განიცდით ძლიერთან წაგებას, დაე, მათ სინდისი ქეჯნიდეთ, სუსტი რომ დაამარცხეს.*

*მას განსაკუთრებით ფალსტარტი ეხერხებოდა.*

*ზედმეტად ჯანსაღ სხეულში სულისთვის ადგილი არ რჩება.*

*მორბენლებს განდიდების მანია ვერაფერში დაეხმარება, სხვა საქმეა, დევნის მანია.*

*გასამარჯვებლად მსუბუქ წონაშიც კი მძიმე შტანგის აწევაა საჭირო.*

*სპორტულ შეჯიბრშიც კი, ზოგჯერ ფული იმარჯვებს.*

*ტვინის ვარჯიშის გარეშე მთელი დატვირთვა კუნთებზე გადავა.*

*თუ ადამიანს სირბილი არ სურს, მას ვერავინ შეაჩერებს.*

*თუკი სპორტში მთავარი გამარჯვება არ არის, მაშინ მასში მხოლოდ სულელები მიიღებდნენ მონაწილეობას.*

*ჭადრაკის პარტიას იგებს ის, ვინც ბოლოსწინა უშვებს შეცდომას.*

# ანეკდოტები

სასტუმროში:
— სამწუხაროდ, თავისუფალი ადგილები არ გვაქვს. მხოლოდ ფეხბურთელების ნომრები შეგვიძლია შემოგთავაზოთ.
— რა განსხვავებაა?
— ფეხბურთელების ნომრებში საწოლების ნაცვლად სათადარიგოთა სკამები დგას.

ქალების საუბრიდან:
— ჩემი ცხოვრების ყველაზე სასიამოვნო მოგონებები ფეხბურთს უკავშირდება.
— ხშირად დადიხარ სტადიონზე?
— არა, როცა ჩემი ქმარი დადის, ჩემთან მეგობარი მოდის.

საქართველოს ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატის მოგების ორი გზა აქვს — რეალისტური და ფანტასტიკური.
რეალისტური: მოფრინდებიან უცხოპლანეტელები და მოგვაგებინებენ.
ფანტასტიკური: ნაკრები დაუხმარებლად მოიგებს.

ცოლ-ქმარი ტელევიზორში მძლეოსნობის შეჯიბრს უყურებს.
ცოლი: ნახე, რა კარგად დარბის ის ბიჭი წითელზოლიანი მაისურით.
ქმარი: კი, ოღონდ ის წითელი ზოლი არ არის, ენა აქვს გადმოგდებული.

სკანდალი ოლიმპიადაზე: მონღოლი მოფარიკავე შეჯიბრიდან მოხსნეს. აღმოჩნდა, რომ თავსი რაპირა შხამში ჰქონდა ამოვლებული.

ფენომენალური შედეგი აჩვენა ესტონელმა ბადროს მტყორცნელმა იაკ ჰოოტსმა. მისმა ნატყორცნმა ბადრომ 6,45 მეტრის გაფრენას 1 საათი 13 წუთი მოანდომა.

საფრანგეთის და ჰოლანდიის ნაკრებთა მატჩმა ერთხელაც დაგვარწმუნა: აფრიკელები ჯობნიან ევროპელებს.

# ალილუია, გრძნობამ მატერია დაამარცხა! სიტი: ტყუილია, კაკა აიძულეს...

**ისტორია, კაკას „მილანიდან“ „მანჩესტერ სიტიში“ გადასვლის შესახებ დასრულდა. გულმა ფულს აჯობა — მოკლედ ასე შეგვიძლია ავღწეროთ ის, რაც მოხდა. უფრო ვრცლად კი ამბავს ქვემოთ მოგიყვებით...**




### ადრიანო გალიანიმ ვერ დაიძინა

„მილანის“ ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ შინა ორშაბათს განაცხადა, დილემის წინაშე ვდგავართო:„სალაროს გვარიანი თანხით შევსებაც ვცსურს, მაგრამ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელიც არ გვემეტება გასაშვებადო: „ჯერჯერობით არ ვიცი, რას გადავწყვეტთ კაკასთან დაკავშირებით. სულ ამაზე ვფიქრობ და გუშინ ღამე თითქმის არც მეძინა. ერთი მხრივ, იგივე გრძნობა მაქვს, რაც ჩვენს გულშემატკივრებს. მეორე მხრივ, როგორც კლუბის წარმომადგენელი, ვალდებული ვარ, რაციონალურად ვიაზროვნო.“

### მთელი მილანი, ოღონდ არა კაკა

თავისი აზრი გამოთქვა განთქმულმა დიზაინერმა და „მილანის“ თავგადაკლულმა ფანმა ჯორჯო არმანიმაც: „ჯობს მთელ „მილანს“ შეველიოთ, ვიდრე კაკას. ჩვენ ცდუნებას უნდა გავუძლოთ. თავად კაკამაც უნდა გაუძლოს. საერთოდ კი, რაც ხდება, არასწორია. ადამიანები არარეალურ ფულს უხდიან მსახიობებს, ფოტოგრაფებს, სპორტსმენებს. ასე არ შეიძლება. ძალიან დამწყდება გული, თუ წავა. კაკასთან და მის ცოლთან მშვენიერი ურთიერთობა მაქვს. კაკა რამდენჯერმე ჩემი კოლექციების ჩვენებებშიც მყავს მიწვეული.“

სხვათა შორის, ბევრისთვის უცნობი ფაქტია: 74 წლის ჯორჯო არმანი „მილანის“ კალათბურთის გუნდის მფლობელია.

კომენტარი გააკეთა იტალიის ნაკრების მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმაც: „სავსებით გასაგებია, რომ ასეთი წინადადების მიღების მერე კლუბს უჭირს გადაწყვეტილების მიღება. ძალიან დიდ ფულზეა ლაპარაკი. არაბ შეიხებს მოსწონთ დასავლური ფეხბურთი და თავიანთი უნიკალური ფინანსური შესაძლებლობების წყალობით საუკეთესო ფეხბურთელების ხელში ჩაგდებას ცდილობენ. და მაინც, ვფიქრობ, კაკა „მილანში“ დარჩება.

იმის გათვალისწინებით, რომ „მილანმა“ გადაწყვეტილების მიღება თავად ფეხბურთელს ანდო, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს კაკას მამის და ამავდროულად აგენტის ბოსკუ ლეიტეს მოსაზრებები, რაც მან „კორიერე დელო სპორტთან“ ინტერვიუში გამოთქვა: „დიახ, „მანჩესტერ სიტიმ“ არნახული პირობები შემოგვთავაზა, მაგრამ კითხვები მაინც გვაქვს — როგორც „სიტისთან“, ასევე „მილანთან“.

და თუ რას გულისხმობს კაკას მამა ამ კითხვებში, ფეხბურთელის პრესმდივანმა განმარტა: „ძალიან მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, თუ განვითარების როგორი გეგმა აქვს „სიტის“. თუმცა, მათი ფინანსური შესაძლებლობებიდან გამომდინარე ვფიქრობთ, ძალიან მალე შექმნიან ევროპული მასშტაბით კონკურენტუნარიან გუნდს.“

### სამშაბათი: მთავარი დღე

„მილანის“ მფლობელმა სილვიო ბერლუსკონიმ გამოაცხადა, რომ კაკა კლუბში რჩება! „მილანმა“ და კაკამ ერთობლივად უთხრეს უარი „სიტის“, რომელმაც ბოლო ინფორმაციით 107 მილიონი გირვანქა შეაძლია იტალიურ კლუბს, ფეხბურთელს კი ჯამაგირად კვირაში ნახევარი მილიონი აღუთქვა.

„კლუბში დარჩენას ვერავის აიძულებ — თქვა ბერლუსკონიმ — ამიტომაც მივეცით კაკას სრული თავისუფლება არჩევანის გაკეთების საშუალება. „სიტი“ გაცილებით დიდ ხელფასს სთავაზობდა, ვიდრე ჩვენ ვუხდით და რომ შევეხვეწულა, თავს დაჩაგრულად იგრძნობდა. ახლა კი ბედნიერები ვართ, რომ კაკამ თავად გააკეთა არჩევანი „მილანის“ სასარგებლოდ. ფულს სიყვარული აჯობინა. როდესაც კაკამ გამოგვიცხადა, რომ „მილანში“ რჩებოდა, აშკარად ეტყობოდა, რომ სულაც არ მისტიროდა ხელფასის გაზრდის გაშვებულ შანსს. მივხვდი, რას ნიშნავს მისთვის „მილანის“ მაისურით თამაში. როგორ აფასებს ის მეგობრობას და ერთგულებას. როგორ სურდა „მილანის“ გულშემატკივრის გახარება, რომლებიც ასე განიცდიდნენ კაკას შესაძლო წასვლას. და როცა კაკამ გამოაცხადა, რომ „მილანში“ რჩება, მე ვთქვი: „ალილუია!“ და ჩვენ ერთმანეთს გადავეხვიეთ“.

მალევე „მილანის“ საკლუბო არხით ადრიანო გალიანი გამოვიდა და ფანებს ახარა: „გრძნობამ მატერიაზე გაიმარჯვა! ჩვენ ვძლიეთ ცდუნება და უარი ვთქვით ასტრონომიულ თანხაზე, რაც ახალი მსოფლიოს სატრანსფერო რეკორდიც იქნებოდა.

„სკაი სპორტი“ კი იუწყება, რომ კაკამ არც ისურვა „სიტისთან“ პირადი კონტრაქტის პირობებზე საუბარი. ეგებ, იმიტომ, რომ ეშინოდა, ცდუნებას ვერ გავუძლებო?

### კაკა მილანში ღმერთმა დატოვა

კაკამ კი აი, რა თქვა: „მილანში ხალხს ვუყვარვარ და ამით ბედნიერი ვარ. ოჯახსაც მოვეთათბირე და მითხრეს, რომ გადაწყვეტილება პირადად მე უნდა მიმეღო. ამ დღეებში უამრავი ადამიანი მაძლევდა რჩევას და მათ რომ ვუსმენდი, ვგრძნობდი, რომ გულისთქმას უნდა მივყოლოდი. გული კი დარჩენას მეუბნებოდა.

არასდროს მომითხოვია ხელფასის გაზრდა და არც ახლა ვაპირებ. კლუბი ყოველთვის თავად მიზრდიდა ჯამაგირს, როცა ხედავდა, რომ ამას ვიმსახურებდი. ამგვარი სამართლიანობისთვის მადლობის მეტი რა მეთქმის.

ბოლო დღეებში ბავშვებისგანაც კი ვიღებდი სურათებს, რომლებშიც „მილანის“ მაისურით ვიყავი დახატული. როდესაც ჩემი გადაწყვეტილება ოჯახს გავაცანი, ყველას გაუხარდა და მცირე ოჯახური წვეულებაც მოვაწყეთ. მე რელიგიური ადამიანი ვარ და მჯერა, ჩვენს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს ღმერთი განსაზღვრავს. ის გვკარნახობს, როგორ მივიქცეთ. სიმართლე გითხრათ, „მანჩესტერ სიტის“ ფეხბურთელად თავის წარმოდგენა ვერაფრით შევძელი.“

### დაუსრულებელი ამბავი

მოკლედ, კაკა „მილანში“ დარჩა, მაგრამ ისე როგორ იქნებოდა, ამბავიც ამით დასრულებულიყო.

შეგახსენებთ, სანამ კაკა ფიქრობდა, „მილანმა“ თადარიგი დაიჭირა და კაკას შემცვლელად ფრანკ რიბერის დაადგა თვალი.

კაკა დარჩა, „მილანს“ რიბერი აღარ სჭირდება, მაგრამ „ბაიერნის“ მენეჯერმა ული ჰიონესმა მაინც თქვა: „არ ვიცი, „მილანს“ კიდევ აინტერესებს თუ არა რიბერი, მაგრამ თუ კაკა 120 მილიონი ღირს, რიბერის ფასი 150 მილიონზე ნაკლები ვერ იქნება. ამიტომ ნაკლებს ნურავინ შემოგვთავაზებს“.

„მილანის“ კაპიტანმა პაოლო მალდინიმ კი თქვა, კაკას დარჩენა ქომაგების დამსახურებააო: გულშემატკივრებმა დაამტკიცეს, რომ ფეხბურთში გრძნობა ყველაფერს სწონის. მათ კაკას უსაზღვრო სიყვარული დაანახეს და კაკამაც სიყვარულითვე უპასუხა.“

„მანჩესტერ სიტის“ აღმასრულებელმა დირექტორმა ჰარი კუკმა, ვინაც უშუალოდ აწარმოებდა მოლაპარაკებას ამბავი ასე მოყვა: „თავად კაკას მოლაპარაკებაში მონაწილეობა საერთოდ არ მიუღია. მას მამა წარმოადგენდა, რომელსაც ძალიან უნდოდა, მისი შვილი „სიტიში“ გადმოსულიყო. მაშ, რა მოხდა? ვფიქრობ, „მილანმა“ ძალიან კარგად იმუშავა და ფეხბურთელი პოლიტიკური და საზოგადოებრივი აზრის შექმნით აიძულა, უარი ეთქვა. სხვაგვარად როგორ უნდა ეთქვა კაკას უარი, როცა არც კი დაგველაპარაკებია?“

### მარადიული ამბავი

და არც ეს არის დასასრული. სულ მალე „რეალის“ და „ბარსელონას“ საპრეზიდენტო არჩევნებია და ესპანურ მედიაში უკვე იწერება, რომ კანდიდატები ამომრჩევლებს ასეთ დაპირებას მისცემენ: ჩვენ მაინც გიყიდით კაკას...

**ქოტე ქეჩელია**



კაკა, ჯორჯო არმანი და კაკას ცოლი



სილვიო ბერლუსკონი




„ბაიერნს“ ივიცა ოლიჩი მოჰყავს და ლუკაშ პოდოლსკის უშვებს

# ბუნდესლიგის ტრანსფერები

**ბაიერნი** — მივიღნენ: ლანდონ დონოვანი (ფორვარდი, ლოს ანჯელეს გალაქსი, აშშ), ივიცა ოლიჩი (ფორვარდი, ჰამბურგი);

წავიდნენ: ლუკაშ პოდოლსკი (კიოლნი);

**არმინია** — მივიღნენ: კევინ კერი (ნახევარმცველი, მეორე გუნდიდან), ვლად მუნტიანუ (ნახევარმცველი, ვოლფსბურგი);

წავიდნენ: შტეფან აიგნერი (მიუნხენ 1860), სიაბონგა ნკოსი (მაკაბი, ისრაელი), ნილს ფიშერი (ვუპერტალი);

**ბოხუმი** — მივიღნენ: დიეგო კლიმოვიჩი (ფორვარდი, დორტმუნდი);

წავიდნენ: მარკ სანდი (კერნტენი, ავსტრია), დანი ფუკსი (კაიზერსლაუტერნი), ტომას სდებელი (ლევერკუზენი);

**ვერდერი** — მივიღნენ: ჟოზე იკენგი (ნახევარმცველი, შტუტგარტი), ალექსანდროს ციოლისი (ნახევარმცველი, პანათინაიკოსი, საბერძნეთი);

წავიდნენ: კარლოს ალბერტო (ვასკუ და გამა, ბრაზილია);

**კოტბუსი** — მივიღნენ: იან რაინოხი (მცველი, ბოლესლავი, ჩეხეთი), ნილს პეტერსენი (ფორვარდი, კარლ ცაისი), ოვიდიუ ბურკა (მცველი, პეკინ გოანი, ჩინეთი), ადი როჩა (ფორვარდი, კერნტენი);

წავიდნენ: იგორ მიტრესკი (ბეერსხოტი, ბელგია);

**დორტმუნდი** — მივიღნენ: კევინ ბოატენგი (ნახევარმცველი, ტოტენჰემი, ინგლისი);

წავიდნენ: დიეგო კლიმოვიჩი (ბოხუმი), მარკ კრუშკა (ბრიუგე, ბელგია), ჯოვანი ფედერიკო (კარლსრუე);

**აინტრახტი** — მივიღნენ: ლეონარდ კვეუკე (ფორვარდი, დუნაისკა სრედა, სლოვაკეთი);

წავიდნენ: აარონ გალინდო (დეპორტივო, მექსიკა);

**ჰამბურგი** — წავიდნენ: ვადის ოჯიჯა-ოფოე (ბრიუგე), ნაიჯელ დე იონგი (მანჩესტერ სიტი, ინგლისი);

**ჰოფენჰაიმი** — მივიღნენ: ტიმო ჰილდებრანდი (მეკარე, ვალენსია, ესპანეთი);

წავიდნენ: იოჰენ ზაიცი (ალემანია), ფრანსისკო კოპადო (უნტერჰახინგი), ტორსტენ კირშბაუმი (ვადუცი, ლიხტენშტაინი);

**კარლსრუე** — მივიღნენ: ჯოვანი ფედერიკო (ნახევარმცველი, დორტმუნდი), მარკო ენგელჰარტი (ნახევარმცველი, ნიურნბერგი);

**კიოლნი** — მივიღნენ: ლუკაშ პოდოლსკი (ფორვარდი, ბაიერნი);

წავიდნენ: ტობიას ნიკენიგი (ვადუცი);

**ლევერკუზენი** — მივიღნენ: ტომაშ ზდებელი (ნახევარმცველი, ბოხუმი);

წავიდნენ: მარსელ რისე, სტეფან რეინარცი (ნიურნბერგი);

**მიონხენგლადბახი** — მივიღნენ: პოლ სტალტერი (მცველი, ტოტენჰემი), ტომაშ გალაშეკი (ნახევარმცველი, ბანიკი, ჩეხეთი), კრისტიან დორდა (მცველი, მეორე გუნდიდან), ლოგან ბეილი (მეკარე, გენკი, ბელგია), დანტე (მცველი, სტანდარდი, ბელგია);

წავიდნენ: სებასტიან სვარდი (ჰანზა), საშა როსლერი (მიუნხენ 1860), ალექსანდრ ფოიტი (ფიურტი);

**შალკე** — მივიღნენ: დანი ლატცა (ნახევარმცველი, მეორე გუნდიდან);

წავიდნენ: მარკუს ჰიოპკე (ობერჰაუზენი), ზე რობერტო (ფლამენგო, ბრაზილია), მარვინ პოური (მიუნხენ 1860), პეტერ ლოვენკრანდსი, გუსტავო ვარელა (უკლუბოდ), რალფ ფარმანი (აინტრახტი);

**შტუტგარტი** — მივიღნენ: ტიმო გებჰარტი (ნახევარმცველი, მიუნხენ 1860);

წავიდნენ: პაველ პარდო (ამერიკა, მექსიკა), მანუელ ფიშერი (კობლენცი);

**ვოლფსბურგი** — მივიღნენ: იოშიტო ოკუბო (ფორვარდი, კობე, იაპონია);

წავიდნენ: მამე ნიანგი (ვიკინგი, ნორვეგია), ბერნდ კორჟინეცი (დუისბურგი), ვლად მუნტიანუ (არმინია);

*შენიშვნა: ივიცა ოლიჩი „ბაიერნში“ და ლუკაშ პოდოლსკი „კიოლნში“ სეზონის დასრულების შემდეგ გადავლენ.*

# ხმის ნაკრებები

**უეფას** ოფიციალური ვებგვერდის მომხმარებელმა — დაახლოებით 256 ათასმა ქომაგმა — ევროპის 2008 წლის სიმბოლური ნაკრები ხმის მიცემით გამოავლინა. ევროპის განვლილი ჩემპიონატის მომგები ესპანეთის ნაკრებიდან სიმბოლურში ექვსი ფეხბურთელია, თითო-თითო კი — ინგლისელი, გერმანელი, პორტუგალიელი, ფრანგი და არგენტინელი, ხოლო მწვრთნელი ალექს ფერგიუსონი გახდა.

ფანების ნაკრები 2008 ასე გამოიყურება: იკერ კასილიასი (რეალი, ესპანეთი) — სერხიო რამოსი (რეალი, ესპანეთი), ჯონ ტერი (ჩელსი, ინგლისი), კარლეს პუიოლი (ბარსელონა, ესპანეთი), ფილიპ ლამი (ბაიერნი, გერმანია) — კრიშტიანუ რონალდუ (მანჩესტერი, პორტუგალია), ხავი ერნანდესი (ბარსელონა, ესპანეთი), ფრანსესკ ფაბრეგასი (არსენალი, ინგლისი), ფრანკ რიბერი (ბაიერნი, საფრანგეთი) — ლიონელ მესი (ბარსელონა, ესპანეთი), ფერნანდო ტორესი (ლივერპული, ესპანეთი).

# ყველა ჯურის მონაგარი

**ფეხბურთის** ისტორიისა და სტატისტიკის ფედერაციამ მსოფლიოს კლუბთა მონაგარს მოუყარა თავი და 204 გუნდის რეიტინგ-ნუსხა გამოაქვეყნა. შეკრებილია 1991-2008 წლებში ყველა ჯურის შეჯიბრში (ჩემპიონატი, ევროთასები, ფიფას საკლუბო ტურნირი) მიღწეული შედეგები და ქულებიც ამის მიხედვითაა დაწერილი. ოცეული ასეთია:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 757 ქულა | 11. ლივერპული | 435 |
| 2. მანჩესტერი | 678 | 12. პორტუ | 425 |
| 3. იუვენტუსი | 621 | 13. ბოკა ხუნიორსი | 417 |
| 4. მილანი | 611 | 14. რომა | 405 |
| 5. რეალი | 605 | 15. აიაქსი | 400 |
| 6. ინტერი | 567 | 16. პარმა | 373 |
| 7. ბაიერნი | 563 | 17. სან პაულუ | 367 |
| 8. არსენალი | 550 | 18. ვალენსია | 367 |
| 9. რივერ პლეიტი | 503 | 19. რეინჯერსი | 364 |
| 10. ჩელსი | 442 | 20. ლაციო | 342 |

# დავეწიოთ და გავასწროთ

ბუნდესლიგის მეორე წრე 30 იანვარს „ჰამბურგი“ — „ბაიერნით“ და მთავარმეგოლე ვედად იბიშევიჩის გარეშე დაიწყება. მანამდე კი, 27 იანვარს გერმანიის თასის მერვედფინალური მატჩები გაიმართება.

„ჰოფენჰაიმის“ 24 წლის ბოსნიელმა ფორვარდმა იბიშევიჩმა პირველი წრის 17 მატჩში 18 გოლი გაიტანა. გერდ მიულერის (40 გოლი სეზონში) რეკორდს უმიზნებდა, მაგრამ „ჰამბურგთან“ ამხანაგურ მატჩში მყესები გაუწყდა და მისთვის სეზონი დასრულდა. მიულერიც უკან დარჩა და სანამ ბოსნიელი მუხლს მოირჩენს, ალბათ, სხვა ვინმე გადაასწრებს. ვნახოთ, ვინ არიან იბიშევიჩის კონკურენტები:

***პატრიკ ჰელმესი,*** *ლევერკუზენი, 12 გოლი* — „ლევერკუზენში“ „კიოლნიდან“ შარშან გადასულ ფეხბურთელს ბუნდესლიგაში გაშინაურება არ გასჭირვებია. გუნდის გოლების მესამედი მის ანგარიშზეა.

***გრაფიტე,*** *ვოლფსბურგი, 11* — ედინალდო ბატიშტა ლიბანო ანუ გრაფიტე ფელიქს მაგათმა „ლე მანიდან“ შარშანწინ წაიყვანა და ბრაზილიელმა ფორვარდმა გაამართლა. პირველი სეზონის 24 მატჩში 11 შეაგდო, ამჯერად კი იგივე რაოდენობისთვის 17 მატჩი იკმარა.

***არტურ ვიხნიარეკი,*** *არმინია, 10* — იბიშევიჩის გარეშე „ჰოფენჰაიმი“ ბუნდესლიგიდან არ გავარდება, მაგრამ „მეფე არტური“ რომ დაშავდეს, „არმინიას“ ჩაქვეითება არ ასცდება, გუნდის 15 გოლიდან 10 ვიხნიარეკმა შეაგდო. მათ შორის, პირველიდან მეექვსე ტურის ჩათვლით, ყველა მატჩში თითო-თითო.

***კლაუდიო პიზარო,*** *ვერდერი, 10* — შარშანწინ „ბაიერნიდან“ „ჩელსიში“ წასული პერუელი გასულ ზაფხულს „ვერდერმა“ ითხოვა.

პიზარომ ბრემენულ კლუბში ათი უკვე გაიტანა და „ვერდერის“ შემტევი ფეხბურთის გათვალისწინებით, ამ რაოდენობაზე არ უნდა გაჩერდეს. მეორე წრის პირველ მატჩს დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვებს.

***მილივოიე ნოვაკოვიჩი,*** *კიოლნი, 10* — მეტსახელად „ნოვა“ გასულ სეზონში გუნდის მთავარმეგოლე (20) გახდა, როცა „კიოლნი“ მეორედან პირველ ბუნდესლიგაში გადავიდა. სლოვენიელს სამიზნე ელიტაში გადასვლის შემდეგაც არ გამრუდებია.

***ლუკა ტონი,*** *ბაიერნი, 9* — იტალიელმა ფორვარდმა წინა სეზონშიც ასე დაიწყო. პირველი წრის მერე ცხრა გოლი ჰქონდა, მაგრამ მეორეში მიაყოლა, 24-ს უწია და ბუნდესლიგის ბომბარდირი გახდა.

***მლადენ პეტრიჩი,*** *ჰამბურგი, 8* — ხორვატ ფორვარდს „დორტმუნდშიც“ გაჰქონდა და „ჰამბურგში“ გადასულსაც არა უშავს. 16 მატჩში რვა, ანუ საშუალოდ ორ ტურში ერთხელ გააქვს, მაგრამ ასე თუ გააგრძელებს, იბიშევიჩს ვერ დაეწევა.

***შტეფან კისლინგი,*** *ლევერკუზენი, 8* — შეტევაში პატრიკ ჰელმესის მეწყვილეს უფრო მეტიც ექნებოდა, ექვსი საგოლე პასი ჰელმესისთვის რომ არ მიეცა და თვითონ გაეტანა.

***დემბაბა,*** *ჰოფენჰაიმი, 7* — ტრავმირებული ვედად იბიშევიჩის გასაკეთებელი, საფრანგეთში დაბადებულმა სენეგალელმა უნდა იტვირთოს. ოღონდ ეგაა, რომ მეათე ტურიდან ერთზე მეტი არ გაუტანია.

***მარიო გომესი,*** *შტუტგარტი, 7* — ორი წლის წინ „შტუტგარტი“ ჩემპიონი რომ გახდა, „სუპერმარიომ“ 14 შეაგდო, გასულ სეზონში 22, ამჯერად კი ჯერჯერობით შვიდს ვერ ასცდა, თუმც მთლიანობაში ვერც მისი გუნდი ბრწყინავს.

**ირაკლი ნინიძე**



პატრიკ ჰელმესი



ვედად იბიშევიჩი










# ხვევნა-კოცნა, მტლაშა-მტლუში
## გერმანელებმა დიეგოს სარ(მ)ა გამოსდეს



**ტურინის** „იუვენტუსი“, მადრიდის „რეალი“, მილანის „ინტერი“– რომელი ერთი ჩამოვთვალოთ — ბრაზილიელი დიეგო ყველა დიდი კლუბის სამიზნეზეა, თუმცა ბრემენის „ვერდერი“ თავის ვარსკვლავბიჭუნას ჯერჯერობით ინარჩუნებს.

ზემოთ ჩამოთვლილი სამეულიდან ყველაზე ღიად დიეგოს ტრანსფერს „იუვენტუსი“ ებლაუჭება. „ბებერი ქალბატონის“ არაერთმა წარმომადგენელმა არაერთხელ თქვა, დიეგოს შეძენა ჩვენი მთავარი პრიორიტეტიაო.

„ბებერი ქალბატონისა“ რა გითხრათ, მაგრამ დიეგო ახალგაზრდა ქალბატონების ლუკმა რომ უფრო იოლად ხდება, ფაქტია.

ბრაზილიელი „მუსიკოსი“ და პოპ-მუსიკის უპოპულარულესი მომღერალი სარა კონორი სექს-სკანდალში გაეხვნენ.

გერმანიაში ამ ამბავმა დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია.

პაპარაცების მიერ ერთ-ერთ პრესტიჟულ რესტორანში გადაღებულმა ფოტოებმა თითქმის ყველა ჟურნალ-გაზეთი მოიარა და ბევრმა ამას სპორტული სარჩულიც დაუდო — დიეგო „ვერდერიდან“ იმიტომ არ მიდის, რომ სარა კონორის გერმანიაში დატოვება არ უნდაო.

მოკლედ, დიდი რია-რია ატყდა, თუმცა დიეგო ამ ამბავს ძალიან მშვიდად შეხვდა და ტელევიზიაში მისულმა თავისი „ნამდვილი“ შეყვარებულიც იახლა, რომელმაც სარა კონორთან თავისი სატრფოს რომანზე ბევრი არაფერი თქვა. მხოლოდ ის გამოაცხადა, დიეგო ჩემია და ერთად ბედნიერები ვართო...

**მაია ანჩაბაძე**



# ერიქსონს პასპორტი ურტყეს



**სვენ გორან ერიქსონს** სათვალე შუბლზე აუვიდა იმ რიარიის გამო, რაც მექსიკის ნაკრებში ოთხი ნატურალიზირებული ფეხბურთელის გამოძახებას და ნაკრებს მიღმა მექსიკელების დატოვებას მოჰყვა.

მეკარე გილერმო ოჩოამ ერიკსონს პოლიტიკა დაუწუნა: „ძალიან დელიკატური ვითარებაა. ბევრი მექსიკელი გუნდში ვერ ხვდება და ეს არასწორია. პირველ რიგში მათ უნდა მიეცეთ შანსი და მერე ნატურალიზირებულებს. პირადად მე არ მომეწონება, ნაკრებში 11 გამექსიკელებული ფეხბურთელი თუ ითამაშებს“.

28 იანვარს მექსიკა კალიფორნიაში შვედეთს ამხანგურად შეხვდება. ერიკსონის გუნდში მექსიკურპასპორტიანი ორი არგენტინელია — მატიას ვუოსო, ლუკას აიალა და ორი ბრაზილიელი — ლეანდრო აუგუსტო, ანტონიო ნაელსონი.

„ლუკას აიალა კარგი ნახევარმცველია და გამოძახებას იმსახურებდა. მაგრამ, ჩემი აზრით კი, მის პოზიციაზე ჩვენ ჩემპიონატში ორი უკეთესი მექსიკელი გვყავს — განცხადა „ნეკაქსას“ თავკაცმა რაულ არიასმა — მაგრამ ასე რომ ხდება, ერიკსონის და ფედერაციის ბრალია“.

„რაკი ისინი კარგი ფეხბურთელებიც არიან და თან ამ ქვეყნის მოქალაქეები, ამიტომ ეროვნულ გუნდში უნდა ითამაშობდნენ — ასეთია შვედის არგუმენტი — თუ მექსიკურპასპორტიან ფეხბურთელს პრეზიდენტის არჩევნებში ხმის მიცემის უფლება აქვს, ნაკრებში თამაშის უფლებაც უნდა ჰქონდეს. ჩემთვის არავის უთქვამს, რომ გამექსიკელებული უცხოელების მოწვევა ნაკრებში აკრძალულია. ამაში პრობლემას ვერ ვხედავ.

თუ ვუოსოს ან ნაელსონს არ გამოვიძახებ, მაკრიტიკებენ, თუ აიალას გამოვიძახებ, მაინც მაკრიტიკებენ. როგორლა მოვიქცე?

ქვეყანაში ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელია და მათგან საუკეთესო 23-ს ნაკრებში ვუხმე. ფავორიტები და მეგობრები გუნდში არ მყავს.“

მარტო ნატურალიზირებული ფეხბურთელების გამო კი არა, ერიკსონი ცუდი შედეგებისთვისაც აითვალწუნეს.

მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ბოლო სწინა ეტაპიდან ძლივს გააღწია — იამაიკას და ჰონდურასს მხოლოდ ბურთების უკეთესი სხვაობით გაუსწრო, თან ამ ორივე ნაკრებთან სტუმრად დამარცხდა.

**გაგა ხუციშვილი**

# ვენგერი ბენიტესს წილში ჩაუჯდა

**არსენ ვენგერს** მიაჩნია, რომ პრემიერლიგის კალენდარი „მანჩესტერის“ პატივსაცემადაა შედგენილი, რაც უსამართლო უპირატესობას ანიჭებს საჩემპიონო რბოლაში.

რაფაელ ბენიტესის მიერ ფერგიუსონის წინაამდეგ დაწყებული ომი „არსენალის“ ფრანგმა მწვრთნელმა გააგრძელა.

ცოტა ხნის წინ ბენიტესმა თქვა, რომ „მანჩესტერს“ შუა კვირის მატჩების შემდეგ უქმეებზე გასამართ ტურამდე, სხვებთან შედარებით დასასვენებლად მეტი დრო აქვთ და ეს არასწორიაო.

ვენგერმა ამ კვირის თამაშებზე დაიჩივლა — „არსენალი“ „ევერტონს“ ოთხშაბათს ხვდება, მომდევნო შეხვედრა კი შაბათს „ვესტ ჰემთან“ აქვს. მატჩებს შორის ორდღიანი სხვაობაა.

„მანჩესტერი“ სამშაბათს „ვესტ ბრომვიჩს“ ეთამაშება, ხოლო იქით ორშაბათს „ევერტონს“. აქ სხვაობა ხუთდღიანია.

„ეს სწორედ ბენიტესის თემაა — განაცხადა ვენგერმა — არ ვიცი, რატომაა კალენდარი ისე შედგენილი, რომ „მანჩესტერს“ სხვებთან უპირატესობა აქვს. ჩვენ ყველანი ხომ თანაბარ პირობებში უნდა ვიყოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში დიდი უსამართლობა გამოდის.



ამის გაგებას დიდი სამწვრთნელო განათლება არ სჭირდება.

მალე გამოჩნდება თუ როგორ იმოქმედებს ეს საჩემპიონო ბრძოლაზე.

ადრე მე „მანჩესტერს“ მხარს ვუჭერდი, როცა ისინი „ლივერპულისთვის“ შედგენილ კალენდარს აპროტესტებდნენ, ახლა კი ბენიტესის გვერდით ვარ.

კალენდრის ასეთი უკუღმართობა არც ჩემი, არც ბენიტესის და არც ფერგიუსონის ბრალია. არასწორად შეადგინეს ორგანიზატორებმა, რომლებმაც სამი თვის წინ გადაწყვიტეს, რომ „მანჩესტერი“ — „ვესტ ბრომვიჩის“ მატჩი „სკაიზე“ უნდა ეჩვენებინათ.

**ირაკლი ნინიძე**






ტრანსფერის მონაწილენი: ემილ ჰესკი და აჰმედ ჰიდო

# ჰესკის წასვლა და მიდოს მისვლა

**„უიგანმა“** ემილ ჰესკი „ასტონ ვილას“ 3 მილიონ 500 ათას გირვანქად მიჰყიდა და „მიდლსბროდან“ აჰმედ მიდო სეზონის ბოლომდე ითხოვა.

ჰესკისთვის „ასტონ ვილას“ მწვრთნელი მარტინ ონილი ძველი ნაცნობია. ინგლისელი ფორვარდი ადრე ირლანდიელის „ლესტერში“ თამაშობდა და 2001 წელს „ლივერპულმა“ 11 მილიონ გირვანქად შეიძინა.

ვილელები პრემიერლიგაში მეოთხე ადგილზე არიან და ჩემპიონთა ლიგის საგზურს უმიზნებენ. ჰესკიც შეტევის გასაძლიერებლად იყიდეს. ფეხბურთელმა კლუბთან სამწლინახევრიანი კონტრაქტი გააფორმა.

# ინგლისელთ მოძულე

## ჟერმენ პენანტს მშობლიური ენა მოენატრა

**ჟერმენ პენანტი** რაფაელ ბენიტესს „ლივერპულიდან“ მისი ინგლისელობის გამო გაუგდია.

ფეხბურთელი გასულ კვირაში „პორტსმუთში“ სეზონის ბოლომდე გაანათხოვრეს.

„პორტსმუთის“ მწვრთნელს ტონი ადამსს ინგლისურად მაინც დაველაპარაკები — თქვა პენანტმა — წინა სეზონში 34 მატჩი ვითამაშე, მანამდე ჩემპიონთა ლიგის ფინალშიც ძირითად შემადგენლობაში ვიყავი, მაგრამ ბენიტესმა ბოლო დროს ამითვალწუნა.

არ ვიცი, ინგლისელები სძულს თუ რა, მაგრამ ფაქტია, რომ გუნდში ორნიღა დარჩნენ: კაპიტანი ჯერარდი და ვიცე-კაპიტანი კარაგერი.

მე „არსენალში“ ყოფნისასვე შევამჩნიე, რომ უცხოელ მწვრთნელებთან ბედი არ მწყალობს. იქ ვენგერთან, აქ კი ბენიტესთან.

უცნაურია — ადრე ყოველთვის მათამაშებდა, მერე კი უცბად მიმაგდო და მხოლოდ ვარჯიშებზე დავდიოდი.

ასეთია რაფაელ ბენიტესი და არა მგონია, რომ ბევრ ლივერპულელს ესმოდეს თუ რატომ იქცევა ასე.

თანაგუნდელებიც მეუბნებოდნენ, ვერ ვხვდებით, რატომ არ გათამაშებსო. შეცვლაზეც კი არ შევყავდი მაშინ, როცა გუნდი შინ ვერ იგებდა.

ზუსტად ამ დღეში იყო პიტერ კრაუჩი და ამიტომაც წავიდა „პორტსმუთში“.

კრაუჩს ველაპარაკე და მასთან გადასვლა მირჩია, მითხრა, რომ ტონი ადამსი მეტ სათამაშო დროს მომცემს“.

ჟერმენ პენანტი „ლივერპულმა“ 2006 წელს „ბირმინგემიდან“ იყიდა. ბენიტესის ხელში 81 მატჩი ითამაშა, მაგრამ ამ სეზონში ძირითად შემადგენლობაში მხოლოდ ორჯერ მოხვდა. მისი შეძენით „რეალი“ და „მილანიც“ იყვნენ დაინტერესებულნი, თუმც საქმე ინტერესს არ გასცილებია.

**ვაჟა ხუციშვილი**

*ტოტალიზატორი*

# 1X2 ამფსონები

**სათამაშო სახლში ყურმოკრული სამშაბათობით და შაბათობით**

კოდი წყვილი

(რუბრიკის სპონსორია ტიჯანი ბაბანგიდა)

— ფედერერის იქსდვა და როდიკის აძინიქსილა მქონდა დარჩენილი და ცხრა ლარს ვიგებდი, ტო!

— ეგენი ხო დაჯდა...

— ეგ კი დაჯდა, მარა „იუტა“-„კლივლენდი“ მეწერა ნაკლებში და 199 და მეტში გამექცა. ის ბოლო ბურთი არ უნდა ჩაეგდოთ, ტო! კლასნი მსროლელი თუ ხარ, თავიდანვე ჩააგდე, რა! ბოლო წამზე ჩაგდება რა პონტია, ხო მაგრა ტეხავს. ეგრე არ არი, ძმაო?

— ეეე... აბა მე მკითხე, რა თამაში გამომიძვრა სერია ბეში. ვააჰ, ჩემი ჩიტადელა...! ეს რა პიაჩენცობა დამემართა...

— ცვეტში უეჭველი ლაბავოი ჩიტადელიზმი გეწერა?

— არა, ბიჭო. იცი რა იყო? მასტმა იმენა ჩემ თვალწინ „ჩიტადელა“ - „პიაჩენცა“ ათასდოლარიან ერთიანში ხია. მეთქი, ნალდი იცის და მეც მივაწერე ლარიან ბილეთში.

— მერე?

— რაღა მერე... ბოლოსწინა წუთზე ჩიტირი ტრის ვიგებდი და იმენა ბოლო წამზე, მეთქი, დაამთავრე სუდია... დაარეფრეშა და ოთხით ოთხი არ დამიწერა? იმენა გა-მო-ვპი-ა-ჩე-ნც-დი.

— აბა, რა, ტო! მაგას არ ვამბობ? ბოლო წუთზე რატო გაგაქვს, იგროკი თუ ხარ, პირველ ტაიმში შეაგდე, რა, ტო!

— ეს პიაჩენცობა რო გადავიტანე, რაც მაყუთი დამრჩა, „ნუმანსიას“ ორიანი ავიღე „ბარსასთან“ ლობში, მარა იქაც მაგრა გამპარსეს.

— ეეე... ეხლა უკვე... გასაპარსი კი არა, ცვეტში ტაიმბოლით საცემი ხარ. „ბარსას“ წაგება რამ დაგაწერინა, ფუტბოლს არ უყურებ, ტო?

— რა, არ უნდა წაეგო?

— რატო, ტო! რატო უნდა წაეგო...

— იმიტო, რო არ სჭირდებოდა, ძმაო, „ნუმანსიას“ კიდე უეჭველში უნდოდა.

— მთვრალი ხარ? თუ „ნუმანსიას“ ბალეშჩიკი ხარ, რეებს ბაზრობ, ტო!

— ვააა... ბიჭო, გაიგე, რა! უეჭველი ორიანის კუში ეწერა და მაღლა იყო გაისანებული რო უნდა დამჯდარიყო. ხო ნახე, პერერივამდე ნოლნოლ რო დამთავრდა. რატო დამთავრდა ნოლნოლი? იმიტო რო იქსდვისკენ იხრებოდა, მარა პერერივზე მაღლიდან სვოლკები მივიდა, გვარდიოლას ყუფარაძემ დაურეკა, მიდი, შეუბერეო. ჰოდა, მერე შეაგდეს ოთხი გოლი. მოწვი?

— შენთვის ლივერპულიდან ხო არ დაურეკიათ, ოთხშაბათს „ევერტონი“ - „არსენალთან“ რა გგონია?

— „ევერტონი“ მისცემს.

— რა პონტში?

— „ლივერპულს“ ხო წაართვა ორი ქულა, ჰოდა, ჯიბრზე „არსენალს“ მისცემს, რო ვენგერის სასტავი „ლივერპულს“ დაეწიოს. აი, ნახე, თუ თავის კარში არ გაიტანოს „ევერტონმა“...

**ქუში ქოშმარია**

ჩემი წაგებული ბილეთი:

| | წყვილი | შედეგი | |
|---|---|---|---|
| 001 | რომორანტინი — სედანი | 1 და მეტი | (0:0) |
| 002 | სტრანრარი — სტირლინგი | 11 და მეტი | (2:8) |

მომდევნო ამფსონებში შეიტყობთ თუ რატომ არ დაუწვა „ბარსელონა“ „ნუმანსიას“.

**114140 ✻**



# ევერტონით ფერნანდო ტორესს იყიდი და ხურდაც დაგრჩება

**გასული** კვირის მერსისაიდულ დერბიში „ლივერპული“ — „ევერტონი“ 1:1 დამთავრდა. 85-ე წუთზე რაფაელ ბენიტესმა შეცვალა ფეხბურთელი, რომლის ფასიც, „ევერტონის“ მთელი ძირითადი შემადგენლობის თერთმეტივე ფეხბურთელის ფასზე მხოლოდ 600 ათასი გირვანქით ნაკლებია.

ფერნანდო ტორესში „ლივერპულმა“ 26 მილიონ 400 ათასი გირვანქა გადაიხადა, ხოლო „ევერტონის“ სასტარტო თერთმეტეულის ღირებულება 27 მილიონია.

„გარდიანმა“ შეადგინა ცხრილი, სადაც მითითებულია კლუბების იმ ძირითადი შემადგენლობების ფასები, რომლითაც წინა ტურში ითამაშეს. აგრეთვე, ქულა და ადგილი პრემიერლიგაში:

| | ფასი | ქულა | ადგილი |
|---|---|---|---|
| 1. ჰალი | 5 300 000 | 27 | 9 |
| 2. ვესტ ბრომვიჩი | 11 000 000 | 21 | 20 |
| 3. სტოკი | 12 500 000 | 21 | 19 |
| 4. უიგანი | 15 750 000 | 31 | 7 |
| 5. ბოლტონი | 19 100 000 | 23 | 13 |
| 6. ბლექბერნი | 19 100 000 | 21 | 17 |
| 7. მიდლსბრო | 23 600 000 | 21 | 18 |
| 8. ვესტ ჰემი | 25 000 000 | 29 | 8 |
| 9. სანდერლენდი | 25 700 000 | 23 | 15 |
| 10. ევერტონი | 27 000 000 | 36 | 6 |
| 11. ფულემი | 29 800 000 | 26 | 10 |
| 12. არსენალი | 34 000 000 | 41 | 5 |
| 13. პორტსმუთი | 36 600 000 | 24 | 12 |
| 14. ნიუკასლი | 42 050 000 | 23 | 14 |
| 15. ასტონ ვილა | 63 500 000 | 44 | 4 |
| 16. სიტი | 77 500 000 | 25 | 11 |
| 17. ტოტენჰემი | 83 900 000 | 21 | 16 |
| 18. მანჩესტერი | 88 050 000 | 47 | 1 |
| 19. ლივერპული | 89 300 000 | 47 | 2 |
| 20. ჩელსი | 111 500 000 | 45 | 3 |

# ქვირფასი ვეფხვი

**„ჰალმა“** „ფულემის“ ნახევარმცველი ჯიმი ბალარდი შეიძინა და კლუბისთვის სარეკორდო თანხა — 5 მილიონი გირვანქა გადაიხადა.

30 წლის ფეხბურთელმა ოთხწლინახევრიანი კონტრაქტი გააფორმა პრემიერლიგის დებიუტანტთან „ვეფხვებთან“.

ბალარდი შაბათს „მილუოლთან“ ასოციაციის თასის მატჩის წინ ოფიციალურად წარუდგინს მედიას, მაგრამ არ უთამაშია.

იგი „ფულემში“ „უიგანიდან“ 2006-ში გადავიდა, მაგრამ მუხლის მძიმე ტრავმის გამო 14-ჯერ გავიდა მოედანზე.

# ესპანეთი

## პრიმერადივიზიონი. XX ტური

# მამის სიტყვა

**ბარსელონა 4:1 ნუმანსია**
1:0 მესი (49), 2:0 ეტოო (53), 2:1 ბარკერო (61), 3:1 ანრი (71), 4:1 მესი (76)
გაფრთხილება: პიკე, ხავი (ბარსელონა), დიმასი, პალასიოსი, დელ პინო, პალასიოსი, ორტეგა (ნუმანსია)
გაძევება: პალასიოსი (81)

**ვილიარეალი 1:1 ოსასუნა**
1:0 როსი (28), 1:1 დადი (65)
გაფრთხილება: სენა, ბრუნო (ვილიარეალი), ფონტი, პანდიანი (ოსასუნა)

**ალმერია 2:1 ბილბაო**
1:0 ორტისი (26), 2:0 კალუ უჩე (39), 2:1 დელ ოლმო (66)
გაფრთხილება: ბრუნო (ალმერია), ბალენსიაგა, ორბაისი (ბილბაო)

**ხეტაფე 5:1 ხიხონი**
1:0 სოლდადო (14), 2:0 გრანერო (17), 2:1 ბარალი (45), 3:1 სოლდადო (57), 4:1 უჩე (70), 5:1 სოლდადო (72პ)
გაფრთხილება: კორტესი, გავილანი (ხეტაფე), ბარალი (ხიხონი)

**უელვა 1:0 ბეტისი**
1:0 კამუნიასი (73)
გაფრთხილება: სისი, ფუეგო (უელვა), სერხიო გარსია, ვეგა (ბეტისი)

**მალაგა 1:1 ატლეტიკო**
1:0 აპონო (21), 1:1 შეიტინგა (44)
გაფრთხილება: ელისეუ, კალება, ველინგტონი (მალაგა), პერეა, უიფალუში, მანიშე (ატლეტიკო)

**მალიორკა 3:1 ვალენსია**
1:0 მარინი (8), 2:0 მარტი (41პ), 3:0 მარინი (43), 3:1 ვისენტე (72)
გაფრთხილება: სუარესი (მალიორკა), ალბიოლი (ვალენსია)

**ვალიადოლიდი 1:1 ესპანიოლი**
1:0 გოიტომი (40), 1:1 სერხიო სანჩესი (79)
გაფრთხილება: ვალდო, სერხიო სანჩესი, ლაკრუსი (ესპანიოლი)

**სევილია — რასინგი**

**რეალი — დეპორტივო**

იხილეთ 31-ე გვერდზე. მათი შედეგები ცხრილში შეტანილი არ არის

**ამ სეზონის** პრიმერაში ერთადერთ გამამწარებელს „ბარსელონამ“ საკადრისი პასუხი გასცა — 4:1.

პირველ ტურში ნუმანსიაში ხოსეპ გვარდიოლა სადებიუტო მატჩში 0:1 დამარცხდა. შაბათსაც სტუმრები პირველ ტაიმში ყოჩაღად იდგნენ და არ გაუშვეს, მაგრამ დაიწყო მეორე ტაიმი და, 27 წუთში „ნუმანსიას“ კარში ოთხი გოლი გავიდა.

ერთი, მაგრამ ძალიან ლამაზი, „ბარსას“ კარშიც შევარდა — ბარკერომ ჯარიმა საუცხოოდ შეასრულა და ბურთი ცაციით ცხრიანში ისე ჩააბზრიალა, რომ ვალდესი უშანსოდ დატოვა.

მანამდე კი ლიონელ მესიმ შეაგდო, რასაც უმალ მეორე მიაყოლა სამუელ ეტოომ.

კამერუნელმა შუა კვირაში ვარჯიშზე მწვრთნელს აურია და გვარდიოლამ ვარჯიშიდან გაუშვა. ეტოოს წამალმა არგო და „ნუმანსიასთან“ სეზონში მე-19 გოლი მიითვალა.

ბარკერომ ამის შემდეგ შეამცირა სხვაობა, მაგრამ მასპინძლებმა არად ჩააგდეს და ანრიმ სუსტი, მაგრამ ზუსტი დარტყმით, ბურთი დაბალ კუთხეში შეასრიალა.

დაუღალავმა მესიმ მეოთხე გაიტანა და „ბარსა“ მერელა დაცხრა.

მატჩის დასრულებამდე ცხრა წუთით ადრე სტუმრებს პალასიოსი გაუძევეს და ათნი ცხრა წუთში რაღას იზამდნენ.

ნამატჩევს მესიმ, რომლის გარშემოც ამბავი ატყდა — „რეალის“ პრეზიდენტობის კანდიდატი ფლორენტინო პერესი ფანებს მესის ყიდვას შეპირდა — თქვა: „ბარსელონა ჩემი სახლია და აქედან თუ გამაგდებენ, ნებით კი არასოდეს წავალ. ამ კლუბმა ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის იმდენი გააკეთა, რომ მუდამ ვალში ვიქნები“.

მესის მამამ შვილს კვერი დაუკრა: „ის აქ ბედნიერია. „რეალს“ შეუძლია, რამდენიც უნდა უნდა, ილაპარაკოს, მაგრამ ლეო მადრიდში არ გადავა“.

ხუან ლაპორტას აზრით კი მთელი ეს სპექტაკლი მესის გარშემო „რეალმა“ „ბარსელონაში“ არეულობის გამოსაწვევად მოიგონა.

„ეს ფანდია, რომლითაც საკუთარი პრობლემების მიჩქმალვას და ჩვენ დესტაბილიზაციას ცდილობენ“ — თქვა „ბარსელონას“ პრეზიდენტმა.

**ვაჟა ხუციშვილი**



„ნუმანსიასთან“ გოლით დივეზიონის მთავარმეგოლე სამუელ ეტოოც გაუმასპინძლდა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 20 | 17 | 2 | 1 | 63:14 | 53 |
| რეალი | 19 | 12 | 2 | 5 | 40:27 | 38 |
| სევილია | 19 | 11 | 5 | 3 | 28:16 | 38 |
| ვალენსია | 20 | 10 | 4 | 6 | 39:30 | 34 |
| ვილიარეალი | 20 | 9 | 7 | 4 | 33:26 | 34 |
| ატლეტიკო | 20 | 9 | 5 | 6 | 43:31 | 32 |
| მალაგა | 20 | 9 | 5 | 6 | 32:28 | 32 |
| დეპორტივო | 19 | 9 | 3 | 7 | 23:27 | 30 |
| ბილბაო | 20 | 7 | 5 | 8 | 28:31 | 26 |
| რასინგი | 19 | 6 | 7 | 6 | 21:23 | 25 |
| ხეტაფე | 20 | 6 | 6 | 8 | 29:31 | 24 |
| ვალიადოლიდი | 20 | 7 | 3 | 10 | 28:31 | 24 |
| ალმერია | 20 | 6 | 6 | 8 | 22:29 | 24 |
| ხიხონი | 20 | 8 | 0 | 12 | 27:44 | 24 |
| უელვა | 20 | 6 | 5 | 9 | 18:28 | 23 |
| ბეტისი | 20 | 6 | 3 | 11 | 25:27 | 21 |
| ნუმანსია | 20 | 6 | 2 | 12 | 25:41 | 20 |
| მალიორკა | 20 | 4 | 5 | 11 | 21:38 | 17 |
| ესპანიოლი | 20 | 3 | 7 | 10 | 18:33 | 16 |
| ოსასუნა | 20 | 2 | 8 | 10 | 21:29 | 14 |

**ბომბარდირები**

ეტოო (ბარსელონა) 19
ვილია (ვალენსია) 15

**სეგუნდადივიზიონი**
**XXI ტური**

ალავესი — ალბასეტე 0:2; კასტელიონი — ტენერიფე 2:2; ხირონა — უესკა 2:0; მურსია — კორდობა 1:0; ხერესი — სელტა 2:0; ლას პალმასი — ლევანტე 1:2; სოსიედადი — ელჩე 0:0; ერკულესი — სალამანკა 2:2; სევილია B — ალიკანტე 2:3; სარაგოსა — რაიო ვალეკანო 2:3. ხიმნასტიკი — ეიბარი გადადიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხერესი | 21 | 10 | 7 | 4 | 37:22 | 37 |
| ტენერიფე | 21 | 10 | 4 | 7 | 38:32 | 34 |
| ერკულესი | 21 | 8 | 9 | 4 | 31:19 | 33 |
| სარაგოსა | 21 | 9 | 6 | 6 | 35:24 | 33 |
| კასტელიონი | 21 | 8 | 9 | 4 | 30:22 | 33 |
| სალამანკა | 21 | 9 | 6 | 6 | 28:23 | 33 |
| სოსიედადი | 21 | 7 | 11 | 3 | 21:15 | 32 |
| ლევანტე | 21 | 9 | 5 | 7 | 28:28 | 32 |
| რაიო ვალეკანო | 21 | 7 | 10 | 4 | 26:23 | 31 |
| სელტა | 21 | 8 | 7 | 6 | 23:21 | 31 |
| ხირონა | 21 | 8 | 7 | 6 | 21:21 | 31 |
| უესკა | 21 | 7 | 8 | 6 | 28:25 | 29 |
| მურსია | 21 | 8 | 4 | 9 | 22:27 | 28 |
| ხიმნასტიკი | 20 | 6 | 9 | 5 | 31:25 | 27 |
| ლას პალმასი | 21 | 6 | 9 | 6 | 27:22 | 27 |
| ალბასეტე | 21 | 7 | 6 | 8 | 23:28 | 27 |
| ელჩე | 21 | 6 | 8 | 7 | 24:23 | 26 |
| ალავესი | 21 | 6 | 5 | 10 | 22:34 | 23 |
| კორდობა | 21 | 5 | 6 | 10 | 13:27 | 21 |
| ეიბარი | 20 | 5 | 6 | 9 | 14:26 | 21 |
| ალიკანტე | 21 | 3 | 6 | 12 | 17:35 | 15 |
| სევილია B | 21 | 1 | 6 | 14 | 13:35 | 9 |



„ბარსელონა“ „რეალს“ ლეო მესის გამო შემოწყრა

# ჩემი ბრალი არ არის!

**მუშტისმქნეველმა** სტივენ ჯერარდმა პარასკევს სასამართლოზე განაცხადა, რომ უდანაშაულოა.

„ლივერპულის“ კაპიტანი და მისი ორი დამქაში ექვმიტანილიები არიან დიჯეის ცემაში და ციხეში ჩაყუდება ემუქრებათ. შეგახსენებთ, ამბავი 29 დეკემბერს საუთპორტის ღამის კლუბში მოხდა.

სასამართლოს პირველი მოსმენა იმით შემოიფარგლა, რომ ეჭვმიტანილებმა საკუთარი გვარ-სახელი და მისამართები დაადასტურეს და დანაშაული უარყვეს.

მომდევნო სხდომა 20 მარტისთვის დაინიშნა. მანამდე მოწმეთა ჩვენებებს აკინძავენ.

ჯერარდს საუკეთესო ადვოკატები დაუქირავებია და ტონა ფულიც რომ დაუჯდეს, ამ საქმიდან სუფთად გამოსვლას ეცდება — უთხრა ფეხბურთელის მავანმა მეგობარმა „სანს“.



# ბრძოლა ტყუპების გამო

**„მანჩესტერის“** ტყუპები ფაბიო და რაფაელ და სილვები, ალბათ, პორტუგალიის ნაკრებში თამაშს იუარებენ და ბრაზილიელობას მოისურვებენ. „პენტაკამპეონების“ სამშობლოში დაბადებულებს პორტუგალიური პასპორტები აქვთ და არჩევანის წინაშე დადგნენ.

ორივეს უთამაშია ბრაზილიის 15 და 17-წლამდელთა ნაკრებში. პორტუგალიის ნაკრების მწვრთნელი კარლუშ კეიროში ჯერ კიდევ იმედოვნებს, რომ ტყუპები ევროპელობას არჩევენ. სწორედ კეიროშის წყალობით მოხვდნენ ბიჭები „მანჩესტერში“. რაფაელი რამდენჯერმე ძირითად შემადგენლობაში გამოჩნდა და „არსენალს“ გოლიც გაუტანა.

„ორივე ძალიან დიდ პატივს მცემს და ხშირად მირეკავენ, იმედი არ დამიკარგავს, რომ პორტუგალიელებად ვაქციო, მაგრამ ეს ძნელი იქნება, რადგან ყველა ბრაზილიელი ბავშვი ყვითელ-მწვანე მაისურაზე ოცნებობს“ — თქვა კეიროშმა.

# ჰილ ვუდი ხედვა: თავხედობა





პიტერ ჰილ-ვუდი და ფლორენტინო პერესი

**„არსენალის“** თავმჯდომარემ პიტერ ჰილ-ვუდმა ფლორენტინო პერესის საკრიტიკოდ მოიცალა.

„რეალის“ ყოფილმა პრეზიდენტმა ამას წინათ თქვა, თუ კვლავაც გავიმარჯვებ არჩევნებში და პრეზიდენტი გავხდები, „რეალის“ მწვრთნელად არსენ ვენგერს მოვიყვან და ფაბრეგასსაც მოვაყოლებო.

რამონ კალდერონის გადადგომის შემდეგ კლუბის მთავარი სავარძლის დაპატრონების ბევრი მსურველი გამოჩნდა — მათ შორისაა ფლორენტინო პერესი, რომელიც ზაფხულში გასამართი არჩევნებისთვის ჯამთარშივე ემზადება და ისე გაუტია, რომ ქომაგებს ლეო მესის ყიდვასაც კი ჰპირდება.

ჰილ-ვუდმა თქვა, რომ ვენგერის წასვლა გამორიცხულია: „ეს ხომ სასაცილოა, პერესის მხრიდან ამის თქმა უპატივცემულობა და უმეცრებაა. ვენგერი თოჯინა არ არის, რომ მისით ითამაშო და შენ ჭკუაზე ატარო. სხვა კლუბთან კონტრაქტის მქონე მწვრთნელზე ასე ლაპარაკი თავხედობაა.

რაც შეეხება ფაბრეგასს, ის არ იყიდება. არც „რეალისთვის“ და არც სხვა გუნდისთვის. სესკი „არსენალში“ ბედნიერია. ძალიან გამიკვირდება, აქედან „რეალში“ წასვლას თუ მოისურვებს“.

**ქოტე ქექელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ვაი, თქვენს სკუდეტოს!

**მასიმო მორატი** ჟოზე მოურინიუს ვექილად დაუდგა და იტალიურ მედიას შეუტია მისი კლუბის კრიტიკის საპასუხოდ.

„სამპდორიასთან“ წუხანდელ მატჩამდე „ინტერმა“ ზედიზედ ორ ტურში ქულა შეაკოწიწა, ეს კი საკმარისი იყო საიმისოდ, რომ „ერთადერთი და განსაკუთრებული“ ჟოზე მოურინიუ გაზეთებში კალმით ჩაეწიხლათ.

„სულაც არ ვღელავ — თქვა კლუბის პრეზიდენტმა მორატიმ — ბერგამოში „ატალანტასთან“ წაგებული მატჩი ვითომ, არც ყოფილა და ვითომ, გუნდი მოედანზე არც გასულა. რამე პრობლემა ხომ არაა გუნდში? არავისთვის — მით უმეტეს ფანებისთვის — იმის მტკიცება არ მჭირდება, რომ ფეხბურთელებს, მწვრთნელს და კლუბის შეფებს შორის სრული იდილიაა და საპანიკო არაფერი შეიმჩნევა.

მიუხედავად იმისა, რომ სეზონის დასაწყისიდან მოურინიუს ხელში გუნდი ყველა ტურნირში კარგ შედეგს აჩვენებს, ზოგი გაზეთი დაუმსახურებლად მაინც წაჰკბენს ხოლმე ვილაცებს, ალბათ, „ინტერის“ ზედიზედ ჩემპიონობა არ ასვენებს და ხელიდან არ უშვებს ჩვენი გაქილიკების შანსს.

ჟოზე ჯერ კიდევ მიუჩვეველია აქაურობას და მედიის ასეთ შმაგ შეტევებს, მაგრამ თუ წნეხზე ვისაუბრებთ, მეეჭვება, რომ მას კეფაში „იუვენტუსის“ სუნთქვა აშინებდეს“.

„ატალანტასთან“ მარცხის მერე დაწერეს, თითქოს პორტუგალიელმა ფეხბურთელები დამნაშავე ბავშვებივით ჩაამწკრივა და გამოუცხადა, ზედიზედ სამი სკუდეტო რომ მოიგეთ, არც ერთის ღირსები არ იყავითო.“

მწვრთნელმა ეს ამბავი უარყო — ჩემი პირიდან მსგავსი რამ არ ამოსულაო და დამწერს სასამართლოში უჩივის.

„მან თავისი სიმართლის დამტკიცება იურისტების დახმარებით გადაწყვიტა და ეს მისი უფლებაა — თქვა მორატიმ — მოურინიუს გაზეთისთვის საჯაროდ რომ არ უპასუხია, იმას ნიშნავს, რომ საქმისგან მოწყვეტა და დებატებში მონაწილეობა არ სურს. მე მას სრულიად ვეთანხმები“.

„ატალანტას“ შემდეგ „ინტერმა“ „რომას“ თასზე თამაშგარედან გატანილი გოლით მოუგო და ამასაც დიდი ხმაური მოჰყვა.

მორატის პასუხი ასეთია: „ მატჩის მეორე დღეს რომაელთა პრეზიდენტის როსელა სენსის კომენტარი გავიგე და მეუცნაურა, რადგან ნამატჩევს შევხვდი და პრეტენზია არ ჰქონია. ეგებ ეპიზოდი კარგად ვერ დაინახა?“

**როზან თურქია**

# გახვრეტილია!

**გახეული** ბადის გამო ბრაზილიაში კარიოკას ჩემპიონატის მატჩი 10 წუთით შეწყდა. „ბოავიშტასა“ და „ბოტაფოგოს“ შეხვედრისას სტუმარმა ალესანდრომ თავურით გაიტანა და მსაჯიც ცენტრისკენ ხელგაშვერილი წავიდა. ტელეგამეორებაზე კი გამოჩნდა, რომ ბურთი კარში გარედან, გახვრეტილი ბადის გავლით შევარდა.

ბოავიშტელებმა გააპროტესტეს, მთავარმა მსაჯმაც გვერდითთან ილაპარაკა და ხელი ცენტრისკენ გაიშვირა — გოლი მეორედ ჩათვალა.

მასპინძლები მაინც აუხირდნენ არბიტრს, რომელიც ლაინსმენთან მორიგი სამწუთიანი ლაქლაქის შემდეგ ისევ ცენტრისკენ წავიდა — მესამედ ჩათვალა.

ბოავიშტელებმა თამაშის გაგრძელება იუარეს, და მორიგი ბჭობის მერე მსაჯმა გოლი გააუქმა — კარიდან დარტყმა დანიშნა.

მატჩის შემდეგ უკვე „ბოტაფოგოს“ მწვრთნელი ნეი ფრანკო გამოვიდა სიტყვით: „არბიტრს ტელეგამეორების გამოყენების უფლება არ ჰქონდა. კაცი, რომელიც ოთახში იჯდა და იქ ნახა გამეორება, მსაჯებთან სალაპარაკოდ ჩამოვიდა. ეს კი აკრძალულია“.

„ბოტაფოგომ“ 2:1 მოიგო.

# იტალია

## სერია A. XX ტური

# ბავშვიც კი დაინახავდა

### ტურის მატჩი

**იუვენტუსი 1:0 ფიორენტინა**

1:0 მარკიზიო (21)

**იუვენტუსი:** ბუფონი, გრიგერა, ლეგროტალიე, მელბერგი, დე ჩელიე, მარკიონი, კ. ძანეტი (პოულსენი 89), მარკიზიო, ნედვედი, დელ პიერო (ჯოვინკო 76), ამაური

მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი

**ფიორენტინა:** ფრეი, ძაური, კროლდრუპი, გამბერინი, პასკუალი, მელო, მონტოლივო, გობი (კუზმანოვიჩი 46), სანტანა (ბონაცოლი 72), იოვეტიჩი, ჯილარდინო

მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი

გაფრთხილება: გრიგერა, კ. ძანეტი, ჯოვინკო, მელო, მონტოლივო

მსაჯი: საკანი

57 400 მაყურებელი

**რეჯინა 0:1 კიევო**

0:1 იტალიანო (90)

გაფრთხილება: კოცა, კორადი (რეჯინა), იეპესი, მანდელი (კიევო)

გაძევება: კარმონა (41, რეჯინა)

**ბოლონია 1:4 მილანი**

1:0 დი ვაიო (9პ), 1:1 ზეედორფი (13), 1:2, 1:3 კაკა (17პ, 43პ), 1:4 ბექჰემი (59)

გაფრთხილება: მუდინგაი, მუდინგაი (ბოლონია), ძამბროტა (მილანი)

გაძევება: მუდინგაი (41)

**ჯენოა 1:1 კატანია**

0:1 მარტინესი (67), 1:1 მილიტო (73)

გაფრთხილება: ფერარი, ფერარი (ჯენოა), კარბონი, ტერლიცი, ტედესკო (კატანია)

გაძევება: ფერარი (61)

**ლაციო 1:4 კალიარი**

1:0 როკი (4), 1:1, 1:2 ჯედა (6, 9), 1:3 აკუაფრესკა (21პ), 1:4 მატრი (42)

როკიმ ვერ გაიტანა პენალტი (44, ლაციო), ზარატემ ვერ გაიტანა პენალტი (52, ლაციო)

გაფრთხილება: მაური, კარიცო (ლაციო), კონტი, მარჩეტი, ბრეიხო, ბიონდინი (კალიარი)

გაძევება: ფირმანი (73, ლაციო)

**ლეჩე 3:3 ტორინო**

1:0 მუნარი (12), 2:0 ჯაკომაცი (45), 2:1 საუმელი (47), 2:2 დელაფიორე (56), 3:2 კასტილიო (73), 3:3 ნატალი (77)

გაფრთხილება: კასტილიო (ლეჩე), ნატალი, სამუელი, დელაფიორე, ოგბონა (ტორინო)

**პალერმო 3:2 უდინეზე**

0:1 პეპე (2), 1:1 სიმპლისიო (17), 2:1 სუკი (53), 3:1 კავანი (57), 3:2 დი ნატალე (63)

კვალიარელამ ვერ გაიტანა პენალტი (52, უდინეზე)

გაფრთხილება: კაროციერი, ნოჩერინო, ბრეშიანო (პალერმო), კვალიარელა, ლუკოვიჩი, ისლა (უდინეზე)

გაძევება: ბალძარეტი (90, პალერმოს მწვრთნელი)

**ნაპოლი 0:3 რომა**

0:1 მექსეში (18), 0:2 ჟუანი (32), 0:3 ვუჩინიჩი (50)

გაფრთხილება: პაზიენცა, კონტინი, პ. კანავარო, გარგანო, მონტერვინო (ნაპოლი), ტადეი (რომა)

**სიენა 1:0 ატალანტა**

1:0 ფრიკი (44)

გაფრთხილება: კოდრია (სიენა), გუარენტე, მანფრედინი, სერსი (ატალანტა)

**ინტერი — სამპდორია**

იხილეთ 31-ე გვერდზე. მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არ არის

**77-Ე ᲬᲣᲗᲖᲔ** შეცვლილმა და ამით გაბრაზებულმა დელ პიერომ ბალახზე მიაგდო მიწოდებული პიჯამო, კლაუდიო რანიერის კი კაპიტნის გაყვანის გამო უსტვინეს.

„იმიტომ მოვისროლე, რომ ჩემი ზომა არ იყო — იხუმრა კაპიტანმა — გულიანად ვიყავი თამაშში ჩართული და რასაკვირველია, შეცვლა მეწყინა. კარგად არ მოვიქეცი, მაგრამ არ ვნანობ. მოედნიდან გასვლა ვის სიამოვნებს? წუთის მერე გადამიარა, დავმშვიდდი და ამ ამბის გაბერვა არ ღირს“.

დელ პიეროს დახატული პასით კლაუდიო მარკიზიო მეკარესთან პირისპირ დარჩა და „იუვეს“ მაისურით პირველი გოლი გაიტანა, რამაც ძალიან გაახარა: „დიდი მადლობა დელ პიეროს საუცხოო პასისთვის. მწვრთნელმა შეტევაში ჩართვა დამავალა და მეც კარგად გამომივიდა“.

„ფიორენტინას“ პრეზიდენტი ანდრეა დელა ვალე მსაჯობით უკმაყოფილო დარჩა. მისი აზრით, ჯილარდინოს 32-ე წუთზე ალალი გოლი თამაშგარეს გამო არ ჩაუთვალეს, იოვეტიჩის წაქცევისთვის კი პენალტი არ დაუნიშნეს.

„უკვე რამდენიმე მატჩია, მსაჯები ჩვენს წინააღმდეგ უსტვენენ — თქვა დელა ვალემ — გაოგნებული და აღშფოთებული ვარ, რადგან აშკარად გვჩაგრავენ. ისეთ რამეებს ვერ ხედავენ, რასაც ნებისმიერი ბავშვი დაინახავდა.

რა ვუთხრა ჩემს ფეხბურთელებს, ფლორენციაში კი ჩვენს ფანებს? ეს უკვე მეტისმეტია, ყელში ამომივიდა. მეტის მოთმენა აღარ შეიძლება და ამიტომ მომავალ კვრაში, როცა ცოტა დავცხრები, ცივი გონებით საგანგებო განცხადებას გავაკეთებ. მსაჯებისგან კი საჯაროდ ბოდიშის მოხდას მოვითხოვ. „ფიორენტინა“ და ფლორენცია პატივისცემას იმსახურებენ.

ჯილარდინომ პალერმოში ხელით რომ გაიტანა და დისკვალიფიკაცია მისცეს, მას შემდეგ მსაჯები სულ გვჩაგრავენ.

პიერლუიჯი კოლინასგან (მსაჯების შეფი) ყველაფერზე ახსნა-განმარტებას მოვითხოვ.

ერთხელ მსაჯიც შეიძლება შეცდეს, მაგრამ ყოველთვის „ფიორენტინას“ წინააღმდეგ? უნდა გავიგო, რატომ ხდება ასე და ვინ დგას ამის უკან. ისევ ბნელ დროში ხომ არ ვბრუნდებით? ჩემი გუნდი ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძვის, მაგრამ ასე მსაჯობა თუ გაგრძელდა, მიზანს ვერ მივაღწევთ“.

ბოლონიაში კი, სადაც მასპინძლები კაცნაკლულნი იყვნენ, ერთი გოლი დევუიდ ბექჰემმაც გაიტანა, რაც მისი პირველი გოლი იყო „მილანის“ შავ-წითელი მაისურით.

**მამუკა ხუციშვილი**



მარკიზიოს პირველი გოლი „იუვენტუსის“ მაისურით

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 20 | 13 | 4 | 3 | 33:14 | 43 |
| ინტერი | 19 | 13 | 4 | 2 | 33:15 | 43 |
| მილანი | 20 | 12 | 4 | 4 | 35:21 | 40 |
| ჯენოა | 20 | 10 | 6 | 4 | 30:18 | 36 |
| ნაპოლი | 20 | 10 | 3 | 7 | 27:21 | 33 |
| რომა | 20 | 10 | 3 | 7 | 29:25 | 33 |
| ფიორენტინა | 20 | 10 | 2 | 8 | 26:18 | 32 |
| პალერმო | 20 | 10 | 2 | 8 | 29:25 | 32 |
| ლაციო | 20 | 9 | 4 | 7 | 31:29 | 31 |
| კალიარი | 20 | 8 | 4 | 8 | 27:23 | 28 |
| ატალანტა | 20 | 8 | 3 | 9 | 26:24 | 27 |
| კატანია | 20 | 7 | 5 | 8 | 20:24 | 26 |
| სიენა | 20 | 7 | 4 | 9 | 15:20 | 25 |
| უდინეზე | 20 | 6 | 5 | 9 | 28:32 | 23 |
| სამპდორია | 19 | 5 | 5 | 9 | 16:23 | 20 |
| ბოლონია | 20 | 4 | 7 | 9 | 23:33 | 19 |
| ლეჩე | 20 | 3 | 9 | 8 | 19:30 | 18 |
| ტორინო | 20 | 4 | 4 | 12 | 21:36 | 16 |
| კიევო | 20 | 4 | 4 | 12 | 13:29 | 16 |
| რეჯინა | 20 | 3 | 4 | 13 | 17:38 | 13 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| დი ვაიო (ბოლონია) | 15 |
| დ. მილიტო (ჯენოა) | 13 |
| ჯილარდინო (ფიორენტინა) | 12 |
| იბრაჰიმოვიჩი (ინტერი) | 12 |

### სერია B. XXII ტური

ტრიესტინა — ბარი 1:2; ალბინოლეფე — მოდენა 2:1; ბრეშა — ემპოლი 2:0; ჩიტადელა — პიაჩენცა 4:4; ფროზინონე — მანტოვა 1:2; გროსეტო — პიზა 4:1; ლივორნო — აველინო 0:0; რიმინი — პარმა 0:0; სასუოლო — სალერნიტანა 1:0; ვიჩენცა — ასკოლი 3:1; ანკონა — ტრევიზო დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარი | 22 | 12 | 7 | 3 | 25:16 | 43 |
| ლივორნო | 22 | 9 | 12 | 1 | 28:14 | 39 |
| ბრეშა | 21 | 11 | 5 | 5 | 27:19 | 38 |
| სასუოლო | 21 | 10 | 6 | 5 | 33:21 | 36 |
| პარმა | 22 | 8 | 11 | 3 | 25:17 | 35 |
| გროსეტო | 22 | 10 | 5 | 7 | 36:33 | 35 |
| ემპოლი | 22 | 9 | 6 | 7 | 26:24 | 33 |
| ვიჩენცა | 22 | 8 | 8 | 6 | 28:15 | 32 |
| ტრიესტინა | 22 | 8 | 8 | 6 | 28:23 | 32 |
| რიმინი | 22 | 8 | 6 | 8 | 26:28 | 30 |
| მანტოვა | 22 | 7 | 8 | 7 | 22:22 | 29 |
| ალბინოლეფე | 22 | 6 | 9 | 7 | 19:21 | 27 |
| ანკონა | 21 | 7 | 5 | 9 | 28:26 | 26 |
| ფროზინონე | 22 | 6 | 8 | 8 | 25:29 | 26 |
| პიზა | 22 | 7 | 5 | 10 | 28:36 | 26 |
| პიაჩენცა | 22 | 6 | 7 | 9 | 20:25 | 25 |
| სალერნიტანა | 22 | 6 | 5 | 11 | 20:30 | 23 |
| ჩიტადელა | 22 | 4 | 10 | 8 | 19:23 | 22 |
| ტრევიზო | 21 | 4 | 10 | 7 | 19:25 | 22 |
| აველინო | 22 | 4 | 10 | 8 | 20:30 | 22 |
| ასკოლი | 22 | 5 | 6 | 11 | 14:26 | 21 |
| მოდენა | 22 | 3 | 7 | 12 | 25:38 | 16 |

## ინგლისი

### ჩემპიონატი
### გადადებული მატჩი

ბლექპული — ბირმინგემი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვულვზი | 28 | 18 | 5 | 5 | 57:35 | 59 |
| რედინგი | 28 | 16 | 6 | 6 | 57:26 | 54 |
| ბირმინგემი | 28 | 15 | 7 | 6 | 35:26 | 52 |
| შეფილდი | 28 | 13 | 8 | 7 | 40:25 | 47 |
| პრესტონი | 28 | 14 | 5 | 9 | 41:34 | 47 |
| კარდიფი | 27 | 11 | 12 | 4 | 37:26 | 45 |
| ბარნლი | 28 | 12 | 7 | 9 | 41:39 | 43 |
| ქუინზ პარკი | 28 | 11 | 9 | 8 | 28:27 | 42 |
| სუონსი | 28 | 9 | 14 | 5 | 37:30 | 41 |
| კრ. პალასი | 27 | 11 | 7 | 9 | 39:32 | 40 |
| იფსვიჩი | 28 | 10 | 9 | 9 | 40:30 | 39 |
| უენსდი | 28 | 10 | 8 | 10 | 30:39 | 38 |
| ქოვენთრი | 28 | 9 | 10 | 9 | 32:33 | 37 |
| ბრისტოლი | 27 | 8 | 11 | 8 | 32:34 | 35 |
| ბლექპული | 28 | 8 | 10 | 10 | 29:35 | 34 |
| პლიმუთი | 27 | 9 | 6 | 12 | 27:31 | 33 |
| ბარნსლი | 28 | 9 | 5 | 14 | 28:37 | 32 |
| ნოტინგემი | 28 | 7 | 9 | 12 | 30:38 | 30 |
| ნორვიჩი | 28 | 8 | 5 | 15 | 36:43 | 29 |
| დერბი | 27 | 7 | 8 | 12 | 28:39 | 29 |
| უოტფორდი | 28 | 7 | 6 | 15 | 38:50 | 27 |
| დონკასტერი | 27 | 7 | 6 | 14 | 19:32 | 27 |
| საუთჰემპტონი | 28 | 6 | 8 | 14 | 24:42 | 26 |
| ჩარლტონი | 28 | 4 | 7 | 17 | 29:51 | 19 |

### I ლიგა

ბრისტოლი — კოლჩესტერი 0:0; ჩელტენემი — ბრაიტონი 2:2; ლიდსი — პიტერბრო 3:1; ლესტერი — ჰადერსფილდი 4:2; ნორთჰემპტონი — ქრიუ 5:1; ოლდემი — სტოკპორტი 3:1; სკანთორპი — ლეიტონი 2:1; საუთენდი — იოვილი 0:1; ტრანმერი — კარლაილი 4:1; უოლსოლი — ჰერეფორდი 1:1

### II ლიგა

აკრინგტონი — ბარნეტი 1:1; ბორნმუთი — უიკომბი 3:1; ბარი — ალდერშოტი 2:1; ჩესტერფილდი — მორეკომბი 1:2; დაგენემი — როჩდეილი 3:2; ჯილინგემი — ექსეტერი 1:0; გრიმსბი — როტერჰემი 3:0; ლინკოლნი — ჩესტერი 1:1; ლუთონი — ბრედფორდი 3:3; მაკლსფილდი — ბრენტფორდი 2:0; ნოთსი — პორტ ვეილი 4:2; შრიუსბერი — დარლინგტონი 1:0

### კონფერენსლიგა

რექსემი — კემბრიჯი 2:0; რაშდენი — ფორესტ გრინი 2:2; ბაროუ — კიდერმინსტერი 1:0; ბარტონი — ალტრინჩემი 1:1; ქრიული — ოქსფორდი 0:1; ისტბურნი — იორკი 2:1; ლიუისი — მანსფილდი 0:1; სალისბერი — სტივენეიჯი 2:4; ვეიმუთი — ნორთვიჩი 3:0; უოკინგი — ებსფლითი 1:0. ჰისტონი — გრეისი გადაიდო

### სამხრეთ კონფერენსლიგა

ბათი — სტ ალბანსი 1:0; სტორტფორდი — მეიდენჰედი 2:0; ბოგნორი — ჰაიესი 1:1; ბრომლი — დორჩესტერი 1:0; ჩელმსფორდი — უოლინგი 2:0; ისტლი — თიმ ბათი 1:3; ჰემპტონი — თაროკი 3:1; ნიუპორტი — ბასინგსტოკი 3:0; ვესტონი — ფიშერი 3:1; უიმბლდონი — ბრეინთრი 5:1; ვორჩესტერი — ჰავანთი 2:2

### ჩრდ. კონფერენსლიგა

ბარსკო — ჰინკლი 1:1; ფლიტვუდი — ტელფორდი 1:0; გეიმსბრო — ალფრეტონი 0:2; ჰაროგეითი — სტაფორდი 3:3; ჰაკნალი — საუთპორტი 0:0; ჰაიდი — თამვორთი 1:2; კინგს ლინი — ბლითი 2:3; რედიჩი — დროილსდენი 0:4; სტალიბრიჯი — ვორკინგტონი 1:4; ვოქსჰოლი — ფარსლი 2:0

### ასოციაციის თასი

დერბი — ნოტინგემი 1:1; ჰარტლპული — ვესტ ჰემი 0:2; ჩელსი — იფსვიჩი 3:1; ჰალი — მილუოლი 2:0; კეტერინგი — ფულემი 2:4; პორტსმუთი — სუონსი 0:2; შეფილდი — ჩარლტონი 2:1; სანდერლენდი — ბლექბერნი 0:0; ტორკი — ქოვენთრი 0:1; უოტფორდი — კრისტალ პალასი 4:3; ვესტ ბრომვიჩი — ბარნლი 2:2; ვულვზი — მიდლსბრო 1:2; მანჩესტერი — ტოტენჰემი 2:1; კარდიფი — არსენალი 0:0; ლივერპული — ევერტონი 1:1

### კარლინგის თასი

ბარნლი — ტოტენჰემი 3:2 დ.დ. (3:0)
მანჩესტერი — დერბი 4:2

## საფრანგეთი

### III ლიგა

როდეზი — პარიზი 1:0; კრეტეი — ლიბურნი 4:0; კანი — კრუა დე სავოი 2:0; ლავალი — ბოვე 1:0; ლუანი — სეტე 1:1; ეური — გენიონი 0:0; ბაიონი — შერბური და ლენტენტი — კალე გადაიდო

### თასი

აიაჩო — ვანი 2:0; დიუნკერი — ლილი 0:3; კონკარნო — ლიონი 0:6; დიჟონი — საონი 4:1; შირეინი — ტულუზი 0:8; ლორიანი — ტური 2:1დ.დ. (1:1); ბულონი — კაენი 3:1; ტრუა — როდეზი 1:2; ვიტრი — კრეტეი 1:1 (9:8პ); რომორანტინი — სედანი 0:0 (5:6პ); რენი — სტ ეტიენი 2:0; სინტი — გრენობლი 1:3; ლე ავრი — ლე მანი 0:1დ.დ.; აიაჩო GFCO — პსჟ 0:3

## თურქეთი

### სუპერლიგა. XVII ტური

ანკარა — ქონია 3:0; ანკარაგიუჯიუ — ანთალია 0:1; ესქიშეჰირი — გაზიანთეფი 1:1; ქაისერი — გენჩლერი 1:3; სივასი — გალათასარაი 2:0; ბეშიქთაში — დენიზლი 1:0; ბურსა — ისთანბული 2:0; ქოჯაელი — ჰაჩეტეპე 4:0; ფენერბაჩე — ტრაბზონი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სივასი | 17 | 11 | 4 | 2 | 30:12 | 37 |
| ტრაბზონი | 17 | 10 | 5 | 2 | 24:14 | 35 |
| გალათასარაი | 17 | 10 | 3 | 4 | 38:21 | 33 |
| ანკარა | 17 | 10 | 3 | 4 | 27:12 | 33 |
| ფენერბაჩე | 17 | 10 | 3 | 4 | 31:18 | 33 |
| ბეშიქთაში | 17 | 9 | 4 | 4 | 28:18 | 31 |
| ქაისერი | 17 | 7 | 6 | 4 | 18:10 | 27 |
| გაზიანთეფი | 17 | 7 | 5 | 5 | 24:22 | 26 |
| ბურსა | 17 | 7 | 4 | 6 | 23:24 | 25 |
| ესქიშეჰირი | 17 | 4 | 7 | 6 | 20:25 | 19 |
| ისთანბული | 17 | 5 | 4 | 8 | 17:23 | 19 |
| გენჩლერი | 17 | 4 | 5 | 8 | 21:26 | 17 |
| ქონია | 17 | 4 | 5 | 8 | 15:26 | 17 |
| ანთალია | 17 | 3 | 7 | 7 | 17:24 | 16 |
| დენიზლი | 17 | 4 | 3 | 10 | 22:32 | 15 |
| ანკარაგიუჯიუ | 17 | 3 | 6 | 8 | 14:24 | 15 |
| ქოჯაელი | 17 | 3 | 3 | 11 | 23:40 | 12 |
| ჰაჩეტეპე | 17 | 2 | 3 | 12 | 9:30 | 9 |

## შოტლანდია

### პრემიერლიგა. XXIII ტური

აბერდინი — რეინჯერსი 0:0; სელტიკი — ჰიბერნიანი 3:1; დანდი იუნ. — სენტ მირენი 3:2; ჰართსი — ინვერნესი 3:2; მოზერუელი — ფოლკირკი 1:1; კილმარნოკი — ჰამილტონი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 23 | 17 | 3 | 3 | 52:25 | 54 |
| რეინჯერსი | 23 | 15 | 5 | 3 | 51:18 | 50 |
| დანდი იუნ. | 23 | 10 | 8 | 5 | 33:28 | 38 |
| ჰართსი | 23 | 11 | 5 | 7 | 25:24 | 38 |
| აბერდინი | 23 | 11 | 4 | 8 | 29:24 | 37 |
| ჰიბერნიანი | 23 | 8 | 6 | 9 | 29:31 | 30 |
| მოზერუელი | 23 | 8 | 4 | 11 | 26:32 | 28 |
| კილმარნოკი | 23 | 8 | 2 | 13 | 22:31 | 26 |
| ჰამილტონი | 23 | 8 | 2 | 13 | 21:36 | 26 |
| სენტ მირენი | 23 | 7 | 4 | 12 | 18:27 | 25 |
| ფოლკირკი | 23 | 4 | 7 | 12 | 24:35 | 19 |
| ინვერნესი | 23 | 5 | 2 | 16 | 22:41 | 17 |

### I დივიზიონი

ერდრი — დანდი 1:0; კლაიდი — როსი 2:0; მორტონი — ლივინგსტონი 2:2; ქუინი — პარტიკი 2:2; სტ ჯონსტონი — დანფერმლაინი გადაიდო

### II დივიზიონი

ალოა — რაითი 0:0; ბრეჩინი — პიტერჰედი 1:1; ისტ ფაიფი — ქუინზ პარკი 4:2; სტრანრარი — სტირლინგი 2:8; ეირი — არბროა 2:1

### III დივიზიონი

ანანი — ისტ სტირლინგი 4:0; ბერვიკი — დამბარტონი 1:2; ქოუდენბითი — ალბიონი 2:1; სტენჰაუზმური — მონტროუზი 1:3. ფორფარი — ელგინი გადაიდო

### ასოციაციის თასი

კილმარნოკი — ეირი 3:1

## უელსი

### პრემიერდივიზიონი

კერმარფონი — ტნს 0:5; აბერისვითი — ბანგორი 1:2; კონაჰი — კარმართენი 1:3; ჰევერფორდვესტი — რილი 1:3; ლანელი — ველშპული 4:1; ნითი — ქეარსი 0:0; ნიუთაუნი — დრუიდსი 4:0; პორთმადოგი — აირბასი 3:4; პრესტატინი — პორტ ტალბოტი 0:3

## ბელგია

### I დივიზიონი. XIX ტური

სერკლი — კორტრაიკი 0:1; დენდერი — ბევერსხოტი 0:1; გენკი — მონსი 2:0; მეხელენი — მუსკრონი 2:2; რუზელარე — შარლერუა 3:1; ტუბიცე — ლოკერენი 2:1; ზულტე ვარეგემი — ბრიუგე 3:1; ვესტერლო — სტანდარდი 0:1. გენტი — ანდერლეხტი გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტანდარდი | 19 | 12 | 4 | 3 | 34:19 | 40 |
| ანდერლეხტი | 18 | 12 | 2 | 4 | 44:19 | 38 |
| ბრიუგე | 19 | 10 | 4 | 5 | 33:26 | 34 |
| გენკი | 19 | 10 | 3 | 6 | 29:25 | 33 |
| ვესტერლო | 19 | 9 | 4 | 6 | 24:22 | 31 |
| სერკლი | 19 | 10 | 1 | 8 | 31:30 | 31 |
| ლოკერენი | 19 | 7 | 9 | 3 | 25:17 | 30 |
| მუსკრონი | 19 | 8 | 5 | 6 | 31:25 | 29 |
| კორტრაიკი | 19 | 7 | 7 | 5 | 21:25 | 28 |
| ვარეგემი | 19 | 8 | 3 | 8 | 29:26 | 27 |
| გენტი | 18 | 7 | 5 | 6 | 35:25 | 26 |
| ბევერსხოტი | 19 | 5 | 6 | 8 | 22:24 | 21 |
| შარლერუა | 19 | 6 | 3 | 10 | 24:31 | 21 |
| მეხელენი | 19 | 4 | 7 | 8 | 21:33 | 19 |
| ტუბიცე | 19 | 5 | 3 | 11 | 23:38 | 18 |
| მონსი | 19 | 3 | 6 | 10 | 20:28 | 15 |
| დენდერი | 19 | 3 | 6 | 10 | 23:37 | 15 |
| რუზელარე | 19 | 3 | 4 | 12 | 17:36 | 13 |

### II ლიგა

ანტვერპენი — რონსე 2:1; ოსტენდე — ეუპენი 1:3; ტურნაი — დაინცე 2:2; ლიეჟი — ლიერსი 1:1; ჰამე — ბევერენი 0:1; ნამური — ლომელი 0:2; შარლერუა — ვირტონი 4:2; ლეუვენი — ბრიუსელი 2:0; ვაასლანდი — ტიენენი 3:0

### თასი

სერკლი — შარლერუა 2:1დ.დ. (1:1)

## ჰოლანდია

### ერედივიზიონი. XIX ტური

ჰერენვენი — როდა 2:0; ალკმაარი — გრააფსხაპი 2:0; პსვ — ბრედა 2:2; ფეიენოორდი — ტილბურგი 1:1; ვიტესი — ნაიმეგენი 0:0; გრონინგენი — აიაქსი 1:0; ჰერაკლესი — ტვენტე 1:2; უტრეხტი — სპარტა 3:3; ვოლენდამი — დენ ჰააგი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალკმაარი | 19 | 14 | 3 | 2 | 35:11 | 45 |
| აიაქსი | 19 | 13 | 2 | 4 | 45:20 | 41 |
| ტვენტე | 19 | 12 | 4 | 3 | 37:18 | 40 |
| ჰერენვენი | 19 | 10 | 5 | 4 | 41:38 | 35 |
| პსვ | 19 | 9 | 5 | 5 | 33:20 | 32 |
| ბრედა | 19 | 9 | 4 | 6 | 29:28 | 31 |
| გრონინგენი | 19 | 9 | 3 | 7 | 38:25 | 30 |
| ნაიმეგენი | 19 | 7 | 6 | 6 | 27:22 | 27 |
| უტრეხტი | 19 | 7 | 6 | 6 | 27:25 | 27 |
| ტილბურგი | 19 | 7 | 4 | 8 | 25:28 | 25 |
| სპარტა | 19 | 5 | 6 | 8 | 34:39 | 21 |
| ჰერაკლესი | 19 | 5 | 6 | 8 | 20:30 | 21 |
| ფეიენოორდი | 19 | 5 | 5 | 9 | 32:30 | 20 |
| დენ ჰააგი | 19 | 5 | 4 | 10 | 22:28 | 19 |
| ვიტესი | 19 | 3 | 7 | 9 | 16:32 | 16 |
| გრააფსხაპი | 19 | 4 | 4 | 11 | 13:36 | 16 |
| როდა | 19 | 3 | 6 | 10 | 22:37 | 15 |
| ვოლენდამი | 19 | 3 | 2 | 14 | 19:48 | 11 |

### ერსტე დივიზიონი

დენ ბოსხი — ომნივოლდი 3:1; ემენი — ეინდჰოვენი 1:4; ჰელმონდი — ვეენდამი 1:3; მაასტრიხტი — დორდრეხტი 2:2; როზენდალი — იგლზი 0:1; ტელსტარი — ვენლო 2:1; ვალვაიკი — ოსი 5:0; ზვოლე — აპელდორნი 3:2; ექსელსიორი — ჰაარლემი 1:1. კამბური — სიტარდი გადაიდო

### თასი

ალკმაარი — ახილესი 3:0; ნაიმეგენი — სპარტა 2:1; როდა — ლინდენი 2:0 დ.დ.; ვოლენდამი — ექსელსიორი 3:0; ბრედა — გრონინგენი 1:1 (7:6პ)

## ჩრდ. ირლანდია

### პრემიერდივიზიონი

კლიფტონვილი — ლისბურნი 3:1; დანგანონი — ლინფილდი 0:1; გლენავონი — ბანგორი 2:3; გლენტორანი — კრუზეიდერსი 1:1; ინსტიტუტი — კოლერეინი 1:0; ნიური — ბალიმენა 0:1

## ფიჯი

### ლიგის თასი

ჰიკ — მიუჰა 2:1; ჰონგა — ჰაკა 1:0

## საბერძნეთი

### სუპერლიგა. XIX ტური

ერგოტელისი — პანათინაიკოსი 1:0; ოლიმპიაკოსი — ოფი 2:1; ტრიპოლისი — ლევადიაკოსი 2:0; პანთრაკიკოსი — ირაკლისი 1:0; ლარისა — პანსერაიკოსი 1:1; ფილისი — ქსანთი 1:1; აეკ — პანიონიოსი 3:0; არისი — პაოკ 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 19 | 15 | 3 | 1 | 33:8 | 48 |
| პაოკ | 19 | 10 | 7 | 2 | 21:9 | 37 |
| პანათინაიკოსი | 19 | 10 | 6 | 3 | 34:14 | 36 |
| აეკ | 19 | 8 | 10 | 1 | 24:16 | 34 |
| ლარისა | 19 | 6 | 9 | 4 | 24:18 | 27 |
| პანიონიოსი | 19 | 7 | 4 | 8 | 23:25 | 25 |
| არისი | 19 | 6 | 7 | 6 | 14:18 | 25 |
| ერგოტელისი | 19 | 7 | 4 | 8 | 23:28 | 25 |
| პანთრაკიკოსი | 19 | 7 | 4 | 8 | 12:18 | 25 |
| ქსანთი | 19 | 5 | 8 | 6 | 13:14 | 23 |
| ლევადიაკოსი | 19 | 6 | 4 | 9 | 16:18 | 22 |
| ირაკლისი | 19 | 5 | 7 | 7 | 15:19 | 22 |
| ტრიპოლისი | 19 | 4 | 8 | 7 | 19:20 | 20 |
| ოფი | 19 | 3 | 5 | 11 | 20:33 | 14 |
| ფილისი | 19 | 3 | 4 | 12 | 16:32 | 13 |
| პანსერაიკოსი | 19 | 2 | 6 | 11 | 10:27 | 12 |

### თასი

ოფი — ოლიმპიაკოსი 0:2; აეკ — კერკირა 1:0

## პორტუგალია

### სუპერლიგა. XV ტური

მარიტიმუ — ლეიშოეში 0:0; ბელენენსეში — ბენფიკა 0:0; ამადორა — რიუ ავე 2:0; სეტუბალი — ნავალი 0:1; ნასიონალი — სპორტინგი 1:1; ბრაგა — პორტუ 0:2; ტროფენსე — ფერეირა 1:3; აკადემიკა — გიმარაეში 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 15 | 9 | 4 | 2 | 26:11 | 31 |
| ბენფიკა | 15 | 8 | 6 | 1 | 25:12 | 30 |
| სპორტინგი | 15 | 9 | 3 | 3 | 19:8 | 30 |
| ლეიშოეში | 15 | 7 | 6 | 2 | 17:12 | 27 |
| ნასიონალი | 15 | 7 | 4 | 4 | 23:19 | 25 |
| ბრაგა | 15 | 6 | 5 | 4 | 14:8 | 23 |
| მარიტიმუ | 15 | 6 | 5 | 4 | 17:14 | 23 |
| ნავალი | 15 | 5 | 4 | 6 | 14:15 | 19 |
| ამადორა | 15 | 5 | 4 | 6 | 12:18 | 19 |
| გიმარაეში | 15 | 4 | 6 | 5 | 13:15 | 18 |
| აკადემიკა | 15 | 4 | 5 | 6 | 10:14 | 17 |
| ფერეირა | 15 | 4 | 3 | 8 | 20:26 | 15 |
| ბელენენსეში | 15 | 3 | 5 | 7 | 12:22 | 14 |
| ტროფენსე | 15 | 3 | 3 | 9 | 13:21 | 12 |
| სეტუბალი | 15 | 3 | 3 | 9 | 7:18 | 12 |
| რიუ ავე | 15 | 2 | 4 | 9 | 10:19 | 10 |

### II ლიგა

ჟილ ვისენტე — ოლიანენსე 3:0; ესტორილი — ავეში 3:2; ფრეამუნდე — პორტიმონენსე 0:0; გონდომარი — ოლივეირენსე 0:0; კოვილია — ბოავიშტა 1:0; ვიზელა — ვარზიმი 1:1; ლეირია — ბეირა მარი 2:1; სანტა კლარა — ფეირენსე 1:0

## მექსიკა

### პრიმერადივიზიონი

კრუს ასული — ატლასი 4:0; სან ლუისი — პაჩუკა 1:2; გვადალახარა — ტეკოსი 1:0; ტიგრესი — ჩიაპასი 0:3; ატლანტე — მონარკასი 2:0

## სამხრეთ ამერიკა

### U-20 ჩემპიონატი

კოლუმბია — პერუ 1:0; ეკვადორი — ვენესუელა 0:0; ბრაზილია — ბოლივია 2:1; არგენტინა — პერუ 2:1; პარაგვაი — ურუგვაი 2:4

## კვიპროსი

### I დივიზიონი

აპეპ — პაფოსი 0:1; ათრომიტოსი — პარალიმნი 1:1; ენოსისი — ლარნაკა 0:0; აპოელ — კონიოსი 1:0; დოქსა — ლიმასოლი 3:2; აპოლონი — ალკი 7:1; ანორთოსისი — ომონია 1:2

### თასი

ანორთოსისი — აპოლონი 2:1

## კონკაკაფი

### UNCAF ერთა თასი

სალვადორი — ნიკარაგუა 1:1; ჰონდურასი — ბელიზი 2:1; კოსტა რიკა — პანამა 3:0; ბელიზი — სალვადორი 1:4; ჰონდურასი — ნიკარაგუა 4:1

## იტალია

### სერია A

### ინტერი 1:0 სამპდორია

1:0 ადრიანო (45)

გაფრთხილება: კივუ, სტანკოვიჩი (ინტერი), სტანკვეიჩუსი, სამარკო, პაცინი, ფრანჩესკინი (სამპდორია)

### სერია C1/A

კრემონეზე — სპალ 0:0; ლეკო — ვენეცია 1:0; ლენიანო — პერგოკრემა 2:2; მონცა — პრო პატრია 1:1; პადოვა — ნოვარა 1:0; პორტოგრუარო — ჩეზენა 0:2; რავენა — პრო სესტო 4:1; რეჯანა — ლუმეცანე 2:1; სანბენედეტეზე — ვერონა 4:2

### სერია C1/B

ბენევენტო — ტარანტო 2:0; კავეზე — ფოჯა 1:1; სტაბია — არეცო 0:0; პესკარა — ტერნანა 2:2; პოტენცა — ლანჩანო 2:0; მარკიანიზე — კროტონე 3:1; სორენტო — პერუჯა 1:0; პისტოიეზე — პაგანეზე დღეს გაიმართება

### კოპა იტალია

უდინეზე — სამპდორია 1:1 (1:4პ); ინტერი — რომა 2:1; ლაციო — ტორინო 3:1

## ესპანეთი

### პრიმერადივიზიონი

### სევილია 0:2 რასინგი

0:1 ნავასი (24), 0:2 ჟიგიჩი (47)

გაფრთხილება: ჩევანტონი (სევილია), ესპრინი, მუნიტისი, პინილიოსი, ტონო, ჟიგიჩი (რასინგი)

გაძევება: სერანო (32, რასინგი)

### კოპა დელ რეი

ვალენსია — სევილია 3:2; ესპანიოლი — ბარსელონა 0:0; ბილბაო — ხიხონი 0:0; მალიორკა — ბეტისი 1:0

## ამხანაგური მატჩები

ლეგია — ბრანი 2:1; ბოხუმი — ზილინა 1:0; ჰანოვერი — ააჰენი 2:3; გლადბახი — ბოლესლავი 1:0; ოსნაბრიუკი — არმინია 0:5; ზტ. პაული — ვოლფსბურგი 0:3; სტაბეკი — გეტებორგი 0:0; ფიურტი — აინტრახტი 1:3; კარლსრუე — ნიურნბერგი 3:2; ლილესტრიომი — ჰამ კამი 2:0; ზალცბურგი — პარტიზანი 2:4; ლევსკი — ცრვენა ზვეზდა 2:0; ზანდჰაუზენი — ფრაიბურგი 3:4; უნტერჰახინგი — იანგ ბოიზი 3:2; ბრონდბიუ — ჰერფიოლგე 2:1; ოდ გრენლანდი — ლინი 1:1; მაინცი — ბაიერნი 0:5; შახტარი — ტრომსიო 2:2; კოშიცე — მოსკვა 0:1; ალიკანტე — სტიაუა 0:2; დინამო (კ) — ვიკინგი 2:0; სოშო — გრასჰოპერი 1:0; ჰანოვერი — მილანი 2:3; ქუვეითი — სირია 2:3; აშშ — შვედეთი 3:2; ეგვიპტე — კენია 1:0

## ჩოგბურთი

### კაცები
### IV ეტაპი

ნოვაკ ჯოკოვიჩი (3, სერბეთი) — მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი) 6:1 7:6 6:7 6:2; როჯერ ფედერერი (2, შვეიცარია) — ტომას ბერდიხი (20, ჩეხეთი) 4:6 6:7 6:4 6:4 6:2; ენდი როდიკი (7, აშშ) — ტომი რობრედო (21, ესპანეთი) 7:5 6:1 6:3; ხუან მარტინ დელ პოტრო (8, არგენტინა) — მარინ ჩილიჩი (19, ხორვატია) 5:7 6:4 6:4 6:2

### ქალები
### IV ეტაპი

მარიონ ბარტოლი (16, საფრანგეთი) — ელენა იანკოვიჩი (1, სერბეთი) 6:1 6:4; დინარა საფინა (3, რუსეთი) — ალიზ კორნე (15, საფრანგეთი) 6:2 2:6 7:5; ელენა დოკიჩი (ავსტრალია) — ალისა კლებიანოვა (29, რუსეთი) 7:5 5:7 8:6; ვერა ზვონარიოვა (7, რუსეთი) — ნადია პეტროვა (10, რუსეთი) 7:5 6:4

## მსოფლიოს თასის ეტაპი. 24-25 იანვარი. თბილისი. სპორტის სასახლე

# ბლომად ხალხი და ბევრიც მედალი

## უბრალოდ მაგარი ლიპარტელიანი

ქართველმა გულშემატკივარმა ტრადიციას არ უღალატა. ორი დღე სპორტის სასახლის ტრიბუნები თითქმის ბოლომდე შეავსო და ჩვენ ძიუდოისტებს გულმოდგინედაც უქომაგა. ძიუდოისტებმა კი ლამაზი და ეშხიანი ჭიდაობით მოხიბლეს ქომაგი და არც მედლების მონაგარით დასწყვიტეს გული. ხაბარელის კრებულმა 3 ოქროს, 5 ვერცხლის და 4 ბრინჯაოს მედალი ჩააჩხრიალა ქართულ ყულაბაში და არაოფიციალური პირველი ადგილიც დაიკავა. ტრავმის გამო დავით ქევხიშვილი და ირაკლი ცირეკიძე ისვენებდნენ, დანარჩენებმა კი კიმონო მოირგეს და წლეულს პირველ საერთაშორისო ტურნირზე იჭიდავეს...



ვარლამ ლიპარტელიანი

### 60 კგ

ქართული ფინალი გვარიანად დაძაბული გამოვიდა. ძიუდოისტებმა ძირითადი და დამატებითი დრო უქულოდ გალიეს და საუკეთესოს გამოვლენა მსაჯებს დაევალათ. დამატებითში მცირე უპირატესობა თითქოს ლევან ჩუბინიძეს ჰქონდა, მაგრამ მას ერთი გაფრთხილება ჰქონდა და ამის გამო სამივე მსაჯმა პაპინაშვილის სასარგებლოდ ასწია ალამი.

ფინალამდე კი პაპინაშვილმა ბერძენი მანაუსარიდისი, აზერბაიჯანელი მუშკიევი, შვეიცარიელი ჩამარტინი და რუსი ლავრენტიევი დაამარცხა.

ჩუბინიძე პირველ წრეში რუსეთის სახელით გამომსვლელ რობერტ მშვიდობაძეს დაემშვიდობა, მერე შვეიცარიელი იტენი და აზერი დადაშზადე მოინელა.

მჩატე წონაში ბრინჯაო ბეთქილ შუკვანმა მოგვიტანა. შუკვანს საწყისი გზა გაუმრუდდა და მედლის მოპოვება რეპეშაჟის გავლით შეძლო. გადამწყვეტ ორთაბრძოლაში რუს ლავრენტიევს მოუგო. აქ სოსო ნიჟარაძემ ერთი შეხვედრის მოგება მოახერხა...

### 66 კგ

გიორგი ფერსაშვილს დამამშვიდებელში ჩართვის საშუალებაც არ მისცემია. ამის გაკეთება შალვა ქარდავამ და მინდია ხომიზურმა შეძლეს და საბოლოოდ მხოლოდ მე-7 ადგილები გაიყვეს. მედალი კი ნესტორ ხერგიანმა მოგვიტანა, ვინც ერთი წონით მაღლა იჭიდავა. ნესტორმა საწყის წრეში დაისვენა, მერე შვეიცარიელ ბალტისბერგერს, იაპონელ ეგუსას, ფრანგ ლაროსეს მოუგო და ფინალში გავიდა. იქ კი რუს კლესტოვთან წააგო...

### 73 კგ

წონა არ დააკლებინეს ზაზა კედელაშვილსაც. ზაზამ 73-ში იჭიდავა და ფინალშიც გავიდა. „კედელამ" კანადელი გაგნონი, ბელგიელი ტიჩელტი, აზერი ნაბისადე, უკრაინელი იევანოვი მოინელა და ფინალში ასევე უკრაინელ სოროკას პირისპირ დადგა.

აქაც დამატებითი დროის დანიშვნა გახდა საჭირო და ბოლოს საქმე მსაჯებზე მიდგა. სამივემ უკრაინელის სასარგებლოდ ასწია ალამი, არადა, ზაზა ნამდვილად აქტიურობდა და რა პრინციპით გადაწყვიტეს გამარჯვებულის ბედი, ვერ გეტყვით...

თენგიზ პაპოშვილმა კარგად იჭიდავა და ბრინჯაოსაც გამორჩა. დავით კუპრაშვილიც და ამბაკო ავალიანიც იაპონელებთან დამარცხდნენ და მერე არც რეპეშაჟის შანსი მისცემიათ.

### 81 კგ

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ლევან წიკლაურმა ყველაზე თავგამოდებით იჭიდავა. რაც შეეძლო ყველაფერი გაიღო, ტატამზე სული და გული დადო და მართლა ცოდვა იყო, ჩემპიონი რომ ვერ გახდა. კანადელი ვალოის-ფორტიერის, იაპონელი კავაჰარას, მერე კი შვეიცარიელი კელერის სუფთად დამარცხების შემდეგ ნახევარფინალში თანამემამულე ხვიჩა ხუციშვილსაც სუფთაზე აჯობა და ფინალში იაპონელ ტომოუჩისთან იბრძოლა, თუმცა დამატებითში, შებოჭვაზე წამოეგო.

გრიგოლ შინჯიკაშვილმა ბრინჯაო შვეიცარიელ კრისტოფ კელერს მოუგო. ხვიჩა ხუციშვილი ფრანგ ჟენინთან დამარცხდა. საბა გავაშელიშვილი ადრევე გამოეთიშა შეჯიბრს.

### 90 კგ

გრიგოლ მამრიკიშვილმა ბრინჯაოს ფინალი რუს სემიონოვთან წააგო. მინდია ბოდაველი და რევაზ ჩიკოიძე მალევე დამარცხდნენ. და ვარლამ ლიპარტელიანი? არაფერი, უბრალოდ გეტყვით, რომ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ძალიან, ძალიან მაგარია და მისი შემჩერებელი კაცი არ იყო...

### 100 კგ

ნაკრები ყველაზე სუსტად ამ წონაში გამოვიდა. ერთადერთი მედალი დავით ლორიაშვილმა მოიგო. მას ბრინჯაოს ფინალში მოწინააღმდეგე არ გამოუცხადდა. უმედლოდ დავით ტურაშვილი, ვალერი იმერლიშვილი და ლევან ჟორჟოლიანი დარჩნენ. ჟორჟოლიანმა ტრავმის გამო დამამშვიდებელშიც ველარ იჭიდავა.

### +100 კგ

კარგი სანახავი გამოვიდა ქართული ფინალი. ადამ ოქრუაშვილმა ლაშა გუჯეჯიანი შებოჭვაზე გამოიჭირა და ოქროს მედალიც მოიგო. ლაშა ვერ იყო ჩვეულად აქტიური.

სხვებისგან ზვიად ხანჯალიაშვილს შეეძლო ბრინჯაოს აღება, მაგრამ რუს სტერხოვთან წააგო. ალექსი დავითაშვილი თავიდანვე დამარცხდა.

**ლევან მაისურაძე**



ნესტორ ხერგიანი



ადამ ოქრუაშვილი

*მსოფლიოს თასის თბილისის ეტაპის პარალელურად ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაშიც ჩატარდა მსოფლიოს თასის ეტაპი, ოღონდ ქალებს შორის.*

*ამ შეჯიბრში საქართველოდან შვიდმა სპორტსმენმა იჭიდავა, თუმცა უშედეგოდ. ვერც ერთმა მათგანმა საპრიზო ადგილის დაკავება ვერ შეძლო.*

*ქართველთაგან სოფიაში ესენი გამოვიდნენ: ნაია ვეშაგური (48კგ), მარიამ ტარუაშვილი (52), ლუიზა ფშავაძე (57), მორენა შარაძე (63), სალომე წოწკოლაური (70), ნინო ოძელაშვილი (78)ირინე ლეონიძე (მძიმე).*

**60 კგ**
1 ამირან პაპინაშვილი (საქართველო)
2 ლევან ჩუბინიძე (საქართველო)
3 დაისუკე ასანო (იაპონია)
3 ბეთქილ შუკვანი (საქართველო)

**66 კგ**
1 დმიტრი კლესტოვი (რუსეთი)
2 ნესტორ ხერგიანი (საქართველო)
3 ტიგრან კაზარიანი (უკრაინა)
3 დავიდ ლაროსე (საფრანგეთი)

**73 კგ**
1 ვლადიმირ სოროკა (უკრაინა)
2 ზაზა კედელაშვილი (საქართველო)
3 რიო საიტო (იაპონია)
3 თენგიზ პაპოშვილი (საქართველო)

**81 კგ**
1 მასაჰიკო ტომოუჩი (იაპონია)
2 ლევან წიკლაური (საქართველო)
3 ანტონ ჟანინი (საქართველო)
3 გრიგოლ შინჯიკაშვილი (საქართველო)

**90 კგ**
1 ვარლამ ლიპარტელიანი (საქართველო)
2 ანდრეი კაზუსიონაკი (ბელარუსი)
3 დომინიკ ფიშერი (საფრანგეთი)
3 ვიქტორ სემიონოვი (რუსეთი)

**100 კგ**
1 პაგირ ზაიბულაევი (რუსეთი)
2 იუენ ბაიდულინი (ბელარუსი)
3 დავით ლორიაშვილი (საქართველო)
3 სტანისლავ ჩერნეგა (მოლდოვა)

**+100 კგ**
1 ადამ ოქრუაშვილი (საქართველო)
2 დაშა გუჯეჯიანი (საქართველო)
3 ჰიროკი ტაჩიამა (იაპონია)
3 დიმიტრი სტერხოვი (რუსეთი)

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი ლარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე

ქართული ფეხბურთი: ილია ნანობაშვილი, მაია ჯიჯავა
უცხოური ფეხბურთი: გია აბულელიანი, ვაჟა ხუციშვილი
სპორტი: ლექსო მაისურაძე, ირაკლი ფირაშვილი
კომპიუტერული ცენტრი: მაყვლა ლოგრაშვილი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. ტელეფონი: 39 48 29

ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge